| 2.1.2.5. | **მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს** | **მათემატიკა:** განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკების შექმნისას უმჯობესია, კრიტერიუმები თემის ფარგლებში მოსწავლეთა შედეგების ინდიკატორების მიხედვით იქნას შედგენილი. შეფასების რუბრიკები სასურველია გადამუშავდეს და შემოქმედებით დავალებაზე მეტად იყოს მორგებული და მეტად მიემართებოდეს კონკრეტულ სამიზნე ცნებებს. შეფასების რუბრიკების ნაწილი ემყარება სამიზნე ცნებებს, ნაწილი კი უფრო ზოგადი ხასიათისაა.<br><br>სასურველია, მომავალში კათედრა მთლიანად გადავიდეს ისეთ შეფასების რუბრიკებზე, რომლებიც დამყარებული იქნება მოსწავლის მიერ სამიზნე ცნებების გააზრებაზე. |
| 2.2.1.1. | **სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად** | **საზოგადოებრივი მეცნიერებები:** კურიკულუმებში გაწერონ იმ რაოდენობის კომპლექსური/შემოქმედებითი ტიპის დავალება, რამდენის განხორციელებაც მათი გამოცდილებით შესაძლებელია. |
| 2.2.1.1. | **სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად** | **უცხოური ენები:**<br>სწავლების პროცესში შენარჩუნდეს და გაძლიერდეს ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებული, ინტერაქციული და პრაქტიკული აქტივობების გამოყენება, რომლებიც ხელს შეუწყობს კომუნიკაციურ უნარებს და გაზრდის საგაკვეთილო პროცესში ყველა მოსწავლის ჩართულობას. |
| 2.2.1.1. | **სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად** | **სპორტი:**<br>კურიკულუმებში წარმოდგენილი სასწავლო თემები გაამრავალფეროვანოს ეროვნული სასწავლო გეგმით |

| | | |
|---|---|---|
| | | გათვალისწინებული როგორც თეორიული ასევე პრაქტიკულად გასანხორციელებელი თემებით. |
| *2.2.1.3.* | შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი | **უცხოური ენები:**<br><br>სწავლების პროცესში გირჩევთ მომავალშიც განაგრძოთ შეფასების მრავალფეროვანი ფორმების აქტიური გამოყენება და საჭიროების მიხედვით, პერიოდულად განაახლოთ, რათა შეესაბამებოდეს სასწავლო პროცესის მოთხოვნებს და მოსწავლეთა საჭიროებებს;<br><br>ასევე, სასარგებლოა მასწავლებლების გამოცდილების გაზიარება ინსტრუმენტების გამოყენების საუკეთესო პრაქტიკის გამოვლენისა და დანერგვის მიზნით, რაც კიდევ უფრო გააუმჯობესებს შეფასების ხარისხსა და მოსწავლეთა მოტივაციას. |
| *2.2.1.3.* | შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი | **სახელმწიფო ენა:**<br>სწალებისას შეფასება ეყრდნობოდეს სტანდარტით გათვალისწინებული მიღწევის ინდიკატორებს და მიემართებოდეს როგორც შუალედურ ,ასევე გრძელვადიან მიზნებს. შეფასების სანდოობისთვის კარგი იქნება მეტად გამოიყენონ კონკრეტულ საკითხზე, შემაჯამებელ დავალებაზე, თუ შემოქმედებით პროდუქტზე მორგებული შეფასების კრიტერიუმები, სადაც გათვალისწინებული იქნება შესაფასებელი დავალების თითოეული ელემენტი. |
| *2.2.1.3.* | შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი | **მათემატიკა:**<br>სასურველია, კათედრამ გაითვალისწინოს, რომ შეფასების რუბრიკები მომავალში უფრო მეტად იყოს ორიენტირებული გრძელვადიან მიზნებზე და მომავალში ყველა თემის შემაჯამებელ ან შემოქმედებით დავალების რუბრიკებში ყველა სამიზნე ცნების აღქმა-გააზრება შეფასდეს მოცემული საკითხის კონტექსტში. კარგი იქნება თუ სკოლაში ინტენსიურად |

| | | |
|---|---|---|
| | | იმუშავებენ შეფასების სისტემის გადამუშავებაზე და შექმნიან უფრო მეტ კონკრეტულ დავალებაზე მორგებულ შეფასების რუბრიკებს. |
| *2.2.2.1* | **კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში** | **უცხოური ენები:** სწავლებისას მასწავლებლებმა მომავალშიც გააგრძელონ სასწავლო პროცესში მრავალფეროვანი და ინტერაქტიული რესურსების გამოყენება, განსაკუთრებით ციფრული პლატფორმების, რაც უზრუნველყოფს მოსწავლეთა აქტიურ ჩართულობასა და ენობრივი უნარების განვითარებას. |
| *2.2.2.1.* | **კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში** | **ესთეტიკური აღზრდა: ესთეტიკური აღზრდა: ესთეტიკური აღზრდა:** სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების კურიკულუმში თითოეული თემატური ბლოკისთვის შეივსოს რესურსების ველი, სადაც გამოყენებული იქნება როგორც ძირითადი, ასევე დამატებითი რესურსები, რათა თვალნათლივ გამოჩნდეს, როგორ ამუშავებს მასწავლებელი ე.ს.გ.-ში გათვალისწინებულ სავალდებულო თემატურ ბლოკებს, სამიზნე ცნებებსა და ქვეცნებებს და როგორ აღწევს შედეგს. შესაძლებელია, მოთხოვნის შემდეგ, წარმოდგენილი რესურსების ბმულების გამოყენებაც. |
| *2.2.2.3.* | **კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით** | სასურველია, **უცხოური ენების** სწავლებისას გაგრძელდეს არსებული რესურსების რაციონალური გამოყენება და მათი შევსება საჭიროების შესაბამისად, მათ შორის ციფრული და ვიზუალური მასალით, რაც კიდევ უფრო გააძლიერებს ენის პრაქტიკული გამოყენების შესაძლებლობებს. |

| | | |
|---|---|---|
| *2.4.1.2.* | **კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს** | **ზოგადი მიმართულებით:**<br>სასურველია,<br>რომ სკოლის მიერ ყოველი წინა წლის კურიკულუმის რევიზიისა და ანგარიშის წარმოდგენისას, საკლასო და საკათედრო დონეზე საკითხების განხილვების პარალელურად მეტი ყურადღება დაეთმოს სასკოლო დონეზე კურიკულუმის მონიტორინგისა და შეფასების საკითხებს. |

## VI. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

## VII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

*გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.*

აღსანიშნავია, რომ სკოლას წარმოდგენილი ჰქონდა თვითშეფასების კითხვარი, რომელიც ასახავდა სკოლის აქტუალურ რეალურ მდგომარეობას. თვითშეფასების კითხვარის შესაბამისად, სკოლას შემუშავებული ჰქონდა შესაბამისობის გეგმა, რომელიც მან წარმოადგინა ავტორიზაციის პროცესში. ექსპერტებმა გააანალიზეს სკოლაში არსებული გარემოება, შეუსაბამეს ავტორიზაციის სტანდარტებს, სკოლის თვითშეფასების კითხვარსა და შესაბამისობის გეგმას. შედეგად, შეიმუშავეს დასკვნის პროექტი, რომლის შესაბამისადაც სკოლას მიეცა რეკომენდაციები და რჩევები. სკოლამ წარმოადგინა არგუმენტირებული

პოზიცია, ასევე შესაბამისი მტკიცებულებები, რომელიც ასახავდა დასკვის პროექტში ასახული ხარვეზების გამოსწორების გარემოებებს.

კერძოდ;

**ესთეტიკური აღზრდის ექსპერტის** მიერ დახარვეზდა **ინდიკატორი 2.1.2.2.** (**კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს):** დაწყებითი საფეხურის V -VI კლასის სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების კურიკულუმში არ მუშავდებოდა საგნის სტანდარტით განსაზღვრული ყველა სამიზნე ცნება. არ იყო გათვალისწინებული მეხუთე სამიზნე ცნება – ***„სხვადასხვა ეპოქის/კულტურის ხელოვნების სახასიათო ნიშნები/მხატვრული მახასიათებლები“. სკოლამ წარმოადგინა კორექტირებული კურიკულუმი, შესაბამისად, 2.1. კომპონენტი შეფასდა, როგორც სრულად შესაბამისი.***

საზოგადოებრივი მეცნიერებების ექსპერტმა დაახარვეზა **ინდიკატორი*2.1.2.5* (მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს):** საბაზო და საშუალო საფეხურზე შეფასების განსხვავებული მოდელი, კერძოდ, საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივ ჯგუფში შემავალ საგნებში მოსწავლე ფასდებოდა <u>**მხოლოდ საკლასო დავალების კომპონენტში**</u> (სასკოლო სასწავლო გეგმა, გვ. 17), არ ფასდებოდა მოსწავლე არც საშინაო დავალების და არც შემაჯამებელი დავალების კომპონენტში. ***სკოლამ აღნიშნული ხარვეზის პასუხად, წარმოადგინა წერილი საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ზოგადი განათლების დეპარტამენტის წერილი, რომლის მიხედვითაც მოქმედი ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, განმსაზღვრელი შეფასების კომპონენტები აღარ არის დაკონკრეტებული - მე-7 მუხლის თანახმად, განმსაზღვრელი შეფასების კომპონენტებს ადგენს თავად სკოლა. სამინისტრომ განმარტა რომ სკოლის მიერ წარმოდგენილი შეფასების მოდელი არ სცდება ეროვნული სასწავლო გეგმის ჩარჩოს და სკოლის უფლებამოსილებას. ექსპერტთა ჯგუფმა გაიზიარა სკოლის მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია, შესაბამისად, 2.1. კომპონენტი შეფასდა, როგორც სრულად შესაბამისი.***

საზოგადოებრივი მეცნიერებების ექსპერტმა საბაზო და საშუალო საფეხურზე დაახარვეზა **ინდიკატორი*2.2.1.3.***
**(შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი):** კათედრაზე არსებული შეფასების განსხვავებული ფორმა აჩენდა შეკითხვებს შეფასების ობიექტურობასა და სამართლიანობაზე. ***სკოლამ აღნიშნული ხარვეზის პასუხად, წარმოადგინა წერილი საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ზოგადი განათლების დეპარტამენტის წერილი, რომლის მიხედვითაც მოქმედი ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, განმსაზღვრელი შეფასების კომპონენტები აღარ არის დაკონკრეტებული - მე-7 მუხლის თანახმად, განმსაზღვრელი შეფასების კომპონენტებს ადგენს თავად სკოლა. სამინისტრომ განმარტა რომ სკოლის მიერ წარმოდგენილი შეფასების მოდელი არ სცდება***

*ეროვნული სასწავლო გეგმის ჩარჩოს და სკოლის უფლებამოსილებას. ექსპერტთა ჯგუფმა გაიზიარა სკოლის მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია, შესაბამისად, 2.2. კომპონენტი შეფასდა, როგორც სრულად შესაბამისი.*

ასევე დახარვეზდა ინდიკატორი*3.4.1.1.*
(სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში))

*სკოლამ წარმოადგინა უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, ასევე უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა და მიმართვის წერილი უფლებამოსილი უწყებისთვის შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ. შესაბამისად, 3.4. კომპონენეტი ექსპერტთა მიერ შეფასდა, როგორც სრულად შესაბამისი.*

## ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

### 1. სკოლის ფილოსოფია

### 1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

#### 1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს**

**სსიპ ქალაქ სამტრედიის N1** საჯარო სკოლამ წარმოადგინა ფილოსოფიის (მისიის, ხედვის, ღირებულებების) შემუშავების და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს მმართველობითი პროცესის - სკოლის მისიის, ხედვის და ღირებულებების შემუშავების, სტრატეგიული დაგეგმვისა და განვითარების ძირითად ეტაპებსა და პროცესში ჩართულ მხარეებს. წესი, ასევე, განსაზღვრავს სკოლის ფილოსიფიის, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განხილვის, დამტკიცების, მათში ცვლილებების შეტანის და გაზიარების მექანიზმებს, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის მონიტორინგის, შეფასებისა და წლიური ანგარიშის მომზადებასთან დაკავშირებულ საკითხებს.

ზოგადი განათლების ეროვნული მიზნებიდან გამომდინარე სკოლის მისიაა უზრუნველყოს თავისუფალი აზროვნებისა და ტრადიციების პატივისმცემელი ტოლერანტი მოქალაქის აღზრდა.(პუნქტი 1; 3; 5;7;)

გამომდინარე აქედან, სკოლას აქვს მისია და ხედვა რომელიც შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს. **1.1.1.1 ინდიკატორი არის დაკმაყოფილებული.**

2. **სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს**

სკოლა მისიაში განსაზღვრავს საკუთარ როლს, მიიჩნევს რომ მისი ვალია ფორმალური და არაფორმალური განათლების ხელშეწყობით, ეროვნული ინტერესებითა და მაღალი ინტელექტით განმსჭვალული თაობების აღზრდა. მისიას ამყარებს სკოლის ხედვა, და სწორედ ამ მიმართულებით ის გეგმავს შექმნას ისეთი თვითგანვითარებადი სკოლა, რომელშიც მიღებული ცოდნით მოსწავლე შეძლებს არსებულ ლოკალურ გარემოში თვითდამკვიდრებას და გლობალურ სამყაროში ინტეგრირებას. წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზისა და სკოლის პირველადი ავტორიზაციის საფუძველზე, მისიასა და ხედვაში გათვალისწინებულია სასკოლო საზოგადოების წევრების ფიზიკურ და ემოციური კეთილდღეობასა და უსაფრთხოებაზე ზრუნვა, მკაფიოდაა წარმოჩენილი სკოლის როლი მოსწავლეების, მასწავლებლებისა და სასკოლო საზოგადოების სხვა წევრების ჰოლისტურ განვითარებაში.შესაბამისად სკოლა განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე

ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს. **1.1.1.2 ინდიკატორი არის დაკმაყოფილებული.**

3. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით**

   სკოლამ წარმოადგინა დოკუმენტები სკოლის ფილოსოფიისა (მისია, ხედვა და ღირებულებები) და სტრატეგიული/სამოქმედო გეგმის მოსამზადებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელების მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფის შესახებ (ოქმები; ბრძანებები). აქვს სასკოლო საზოგადოების ჩართულობით მისიის შემუშავების მეთოდოლოგია და გარკვეული სახის პრაქტიკა, კერძოდ, სკოლამ სასკოლო საზოგადოების ჩართულობით და ჩამოაყალიბა იდეები, თუ რა უნდა ყოფილიყო სკოლის პრიორიტეტი. სკოლა გეგმავს მისიის და ხედვის ახალი ვერსიის შექმნის პროცესში შეიმუშავოს შესაბამისი კითხვარები,ჩაატაროს გამოკითხვა (ანკეტირება).

   ვიზიტის დროს სკოლას მიეთითა ოქმებსა და ბრძანებებში ჩაესწორებინათ სკოლის დირექტორის ტიტული,ნაცვლად სკოლის დირექტორისა ჩაეწერათ სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი, რაც ადგილზე გასწორდა. **1.1.1.3 ინდიკატორი არის დაკმაყოფილებული.**

4. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**
   სკოლის მოქმედი მისიისა და ხედვა გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ პედსაბჭოზე, მშობელთა კრებებზე, სამეურვეო საბჭოს სხდომაზე. სკოლამ წარმოადგინა შეხვედრის დამადასტურებელი მასალები, სადაც ასახულია ინფორმაცია თუ როგორ იყვნენ ჩართულები აღნიშნულ პროცესებში მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი; მოსწავლე და მასწავლებლები. რაც ადასტურებს სასკოლო საზოგადოების ჩართულობას აღნიშნულ პროცესში. შესაბამისად, **1.1.1.4 ინდიკატორი არის დაკმაყოფილებული.**
5. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი**
   სკოლაში ვიზუალური დათვალიერებით დადგინდა, რომ სკოლის მოქმედი მისია, ხედვა და ღირებულებების ბანერი გამოკრულია სკოლის შესასვლელში და ყველა საკლასო ოთახში. დოკუმენტს ასევე გაეცვნენ პედაგოგიურ საბჭოზე, მშობელთა კრებებზე. აღნიშნული ინფორმაცია ხელმისაწვდომია სკოლის ვებ გვერდზე (skolebi.emis.ge) რომელთან წვდომაც აქვს ნებისმიერ დაინტერესებულ პირს და შესაბამისად, საჯაროდაა ხელმისაწვდომი. **1.1.1.5 ინდიკატორი არის დაკმაყოფილებული.**
6. **სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს**
   სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს, კერძოდ, საჯარო რეესტრის ამონაწერიდან დგინდება, რომ სკოლის სახელწოდებაა საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ქალაქ სამტრედიის N 1 საჯარო სკოლა,რაც გამომდინარეობს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს 2005 წლის 15 სექტემბრის N448 ბრძანებიდან

,,ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ''. ვინაიდან სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს,**1.1.1.6 ინდიკატორი  არის დაკმაყოფილებული.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1. მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია;
2. 2024-2025 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა;
3. საჯარო რეესტრის ამონაწერი
4. სკოლის ვებგვერდი (skolebi.emis.ge)

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

**1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება**

**1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს**

   სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარების შემუშავების მეთოდოლოგია. დოკუმენტში განსაზღვრულია სტრატეგიული დაგეგმვის პროცესები და ქვეპროცესები. სტრატეგიული დაგეგმვის დროს სკოლა ეყრდნობა SWOT ანალიზს. სტრატეგიული გეგმიდან

გამომდინარეობს სამოქმედო გეგმა. სტრატეგიული გეგმის შემუშავებისას სამუშაო ჯგუფი განისაზღვრება დირექციის წარმომადგენლებით, ადმინისტრაციის წარმომადგენლებით, მასწავლებლებით, მოსწავლითა და მშობლით. სამუშაო ჯგუფში გაერთიანებულია სასკოლო საზოგადოების ყველა რგოლის წარმომადგენელი. შესაბამისად, შეიძლება დავასკვნათ, რომ სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებს და ითვალისწინებს მათ ინტერესს. **1.2.1.1.ინდიკატორი არის დაკმაყოფილებული.**

2. **სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს**

   სკოლამ ექსპერტთა ვიზიტის დროს წარმოადგინა შესაბამისი წესით დამტკიცებული შვიდწლიანი განვითარების სტრატეგიული გეგმა (2024-2031 წლები) რომელიც მოიცავს სკოლის მისიას, ხედვას, ღირებულებებსა და სტრატეგიულ მიზნებს. სტრატეგია განსაზღვრავს თუ როგორ უნდა მიაღწიოს სკოლამ დასახულ მიზნებს არსებული მატერიალურ-ტექნიკური, ადამიანური და ფინანსური რესურსების ეფექტურად გამოყენების გზითა და საჭირო დამატებითი რესურსების მოძიებით. სტრატეგიული გეგმა დეტალურად ახდენს გარემო ფაქტორების და შიდა გარემოს SWOT (სიძლიერე, სისუსტე, შესაძლებლობები და საფრთხე) ანალიზს.

   დოკუმენტში აგრეთვე აღნიშნულია, რომ 7 წლიანი სტრატეგიული გეგმის პროექტის შედგენისას გათვალისწინებული იქნა, როგორც წინარე გამოცდილება, ასევე, ახალი გამოწვევები. გეგმაში სკოლას განსაზღვრული აქვს 6 სტრატეგიული მიმართულება ესენია: მიზანი: 1. უსაფრთხო ორგანიზებული და დისციპლინირებული გარემოს უზრუნველყოფა; მიზანი 2. ადამიანური და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება; მიზანი 3. სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლება; მიზანი 4. მოსწავლეთა მხარდაჭერა გაუმჯობესება 5. სასკოლო საზოგადოების ჩართულობა.6.ადამიანური და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება.

   ინფორმაციის შეჯერების, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საუკეთესო პრაქტიკის გამოყენებითა და თანამედროვე მოთხოვნების გათვალისწინებით: ძირითად ამოცანად სკოლა ისახავს მოსწავლეებს მისცეს ხარისხიანი, 21-ე საუკუნის შესაბამისი განათლება, მოამზადოს ისინი დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის, ხელი შეუწყოს საჭირო უნარჩვევების, პიროვნული ღირებულებების ჩამოყალიბებას შესაბამისი კვალიფიციური კადრების მეშვეობით.

   სკოლა გეგმავს სკოლის ფილოსოფიის და სტრატეგიული დაგეგმვის რევიზირებისთვის ჯგუფის შექმნას და სასკოლო საზოგადოების მეტად ეფექტიანი ჩართულობისთვის კითხვარების შედგენას. სკოლამ წარმოადგინა დირექტორის ბრძანება და სამუშაო ჯგუბის ოქმები, რომლიც შეიქმნა სტრატეგიული გეგმის შემუშავების მიზნით. აღნიშნული ბრძანებითვე ჯგუფის წევრებზე გადანაწილდა შესასრულებელი ფუნქციები. აქედან გამომდინარე სკოლას აქვს სკოლის ფილოსოფიაზე დაყრდნობით შემუშავებული და დამტკიცებული შვდიწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა. **შესაბამისად 1.2.1.2. ინდიკატორი არის დაკმაყოფილებული.**

**3.სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას**

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებით და მოწოდებული მასალებით დგინდება, რომ სკოლას დამტკიცებული აქვს ერთწლიანი სამოქმედო გეგმა. ერთწლიანი სამოქმედო გეგმა ასახავს სტრატეგიულ გეგმაში (შვიდწლიან გეგმაში) წარმოდგენილი მიზნების მიღწევისათვის საჭირო კონკრეტულ ნაბიჯებს და იმისათვის, რომ სკოლამ მიაღწიოს დასახულ სტრატეგიულ მიზნებს, პასუხობს კითხვაზე, თუ რა, როგორ და რა ვადაში უნდა გაკეთდეს აღნიშნული.

შესაბამისად **1.2.1.3 ინდიკატორი არის დაკმაყოფილებული.**

4. **სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია**

სკოლის მიერ წარმოდგენილი და დამტკიცებული ერთწლიანი სამოქმედო გეგმით დგინდება სტრატეგიული მიზნების და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

**რჩევა:** ერთწლიან სამოქმედო გეგმაში გაიწეროს მკაფიო, კონკრეტული და რეალისტური რესურსები.

შესაბამისად, ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, შემუშავებული შვიდწლიან სტრატეგიულ გეგმაზე დაყრდნობით. შესაბამისად **1.2.1.4 ინდიკატორი არის დაკმაყოფილებული.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1. ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
2. სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ ბრძანება
3. სტრატეგიული გეგმის შემუშავების მიზნით სამუშაო ჯგუფის შექმნის ბრძანება და ოქმები

**1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს**

სკოლამ წარმოადგინა სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის დოკუმენტი, რომლებში აღწერილია სტრატეგიულ დაგეგმვასთან დაკავშირებული ყველა პროცესი. მათ შორისაა სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების პროცესები. **1.2.2.1. ინდიკატორი არის დაკმაყოფილებული.**

2. **მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით**

   სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის დოკუმენტში გაწერილი პროცესების მიხედვით, სკოლა გეგმავს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებას. წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და სიტუაციის (სკოლის პირველადი ავტორიზაცია) ანალიზის შედეგად, **1.2.2.2. ინდიკატორი არის დაკმაყოფილებული.**

3. **სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა**

   სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის დოკუმენტის მიხედვით სკოლა გეგმავს მიღებული შედეგების გასაჯაროებას. წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და სიტუაციის (სკოლის პირველადი ავტორიზაცია) ანალიზის შედეგად, **1.2.2.3. ინდიკატორი არის დაკმაყოფილებული.**

**4.სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის**

სამომავლოდ სკოლა გეგმავს, რომ სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგის დროს მიღებული შედეგები გამოიყენოს მომავალი დაგეგმვისათვის. წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და სიტუაციის ანალიზის შედეგად, **1.2.2.4. ინდიკატორი არის დაკმაყოფილებული.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1. სკოლის ფილოსოფიის (მისიის, ხედვის, ღირებულებების) შემუშავების და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია;
2. შვიდწლიანი განვითარების სტრატეგიული გეგმა 2024-2031 წლები;
3. ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა**
**3.1. პერსონალის მართვა**
**3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული**
   სსიპ ქალაქ სამტრედიის N1 საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილი საშტატო განრიგით გათვალისწინებულია შემდეგი თანამდებობრივი პოზიციები: დირექტორი,დირექტორის მოადგილე, ბუღალტერი, საქმისმწარმოებელი, მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი, მასწავლებელი/სპეციალური მასწავლებელი,საინფორმაციო მენეჯერი, ბიბლიოთეკარი, ექიმი, დარაჯი, დამლაგებელი, ცეცხლფარეში აღნიშნული პირების ფუნქციები გაწერილია სტრუქტურული ერთეულების/ პირების თანამდებობრივ ინსტრუქციებში და ინდივიდუალურად გაფორმებულ შრომით ხელშეკრულებებში. შრომითი ხელშეკრულებებითა და თანამდებობრივი ინსტრუქციებით გათვალისწინებული ფუნქციები შეესაბამება ერთმანეთს. აგრეთვე მასწავლებლის ხელშეკრულებები გაფორმებულია შესაბამისი სტატუსის მიხედვით და სრულყოფილად ითვალისწინებს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინსტრის 2019 წლის 20 აგვისტოს N174/ნ ბრძანებით დამტკიცებული „მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის“ მოთხოვნებს. აგრეთვე წარმოდგენილ იქნა სკოლის სტრუქტურა, რომლის მიხედვითაც სკოლაში სტრუქტურული ერთეულების სახით მოქმედებს: სტარტეგიული დაგეგმარების ჯგუფი, მრჩეველთა საბჭო, სამეურვეო საბჭო, პედაგოგიური საბჭო, დისციპლინური კომიტეტი, 7 საგნობრივი ჯგუფის კათედრა, მოსწავლეთა თვითმმართველობა, იკლუზიურ განათლებაში ჩართული სპეციალისტები, ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხადაჭერის ჯგუფი.
   სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებით და სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრებით დადგინდა, რომ სტრუქტურული ერთეულები საქმიანობის განხორციელებისას ხელმძღვანელობენ ,,ზოგადი განათლების შესახებ’’ საქართველოს კანონის შესაბამისი

მუხლებით განსაზღვრული უფლებამოსილების ფარგლებში და საქართველოს განათლებისა და მეცნირების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის N448 ბრძანებით დამტკიცებული ,,საჯარო სკოლის წესდებით''.

დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად ასევე დადგინდა, რომ მოსწავლეთა თვითმმართველობა ხელმძღვანელობს მოსწავლეთა თვითმმართველობის დებულებითა და თვითმმართველობის ქცევის კოდექსით. როგორც სტრუქტურული ერთეულების ოქმებით დგინდება, კოლეგიური სტრუქტურული ერთეულები წლის დასაწყისში ადგენენ სამუშაო გეგმას, რომლის შესაბამისადაც ახორციელებენ საქმიანობას წლის განმავლობაში, იკრიბებიან და განიხილავენ დაგეგმილ და რიგგარეშე საკითხებს. **შედეგად დგინდება, რომ სკოლას მკაფიოდ აქვს განსაზღვრული მოქმედი სტრუქტურული ერთეულების და პირების ფუნქციები, შესაბამისად, 3.1.1.1 ინდიკატორი არის დაკმაყოფილებული.**

2. **სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას**

   სკოლაში არსებობს დელეგირებისა და ფუნქციების განაწილების სისტემა. სკოლის დირექტორის ბრძანებით შექმნილია თანამშრომელთა თანამდებობრივი ინსტრუქციები, სადაც პასუხისმგებლობებია გაწერილი. ბრძანებით შექმნილია სკოლაში სწავლა-სწავლების ხარისხის განვითარების შიდა მექანიზმი- ხარისხის განვითარების ჯგუფი. აგრეთვე სკოლის წარმომადგენლებთან გასაუბრებით და სტრუქტურული ერთეულების ოქმებით დგინდება, რომ პირები/სტრუქტურული ერთეულები საქმიანობას ახორციელებენ წინასწარ განსაზღვრული გეგმის შესაბამისად. სკოლის მიერ წარმოდგენილი მასალებით დგინდება, რომ სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას. შესაბამისად, **3.1.1.2 ინდიკატორი არის დაკმაყოფილებული.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1. სტრუქტურული ერთეულების/ პირების ფუნქციები;
2. სკოლის სტრუქტურა;
3. შრომითი ხელშეკრულებები;
4. სტრუქტურული ერთეულების ოქმები და სამოქმედო გეგმები;
5. საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მიერ დამტკიცებული საშტატო ერთეულის ნუსხა;
6. სტრატეგიული განვითარების გეგმა;
7. ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;

### 3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად**
   სკოლამ წარმოადგინა შემდეგი დოკუმენტები: ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა; სკოლის პერსონალის მართვის პოლიტიკა; ადამიანური რესურსების მოზიდვა და მათი საკვალიფიკაციო მოთხოვნები. აღნიშნულ დოკუმენტებში გაწერილია სკოლაში დასქამებულ პირთა ფუნქციები, რაც უზრუნველყოფს დაწესებულების ადამიანური რესურსების მართვის პროცესების წარმართვას ეფექტიანად და კანონთან, დაწესებულების მისიასთან, ხედვასა და ღირებულებებთან შესაბამისობით.
   სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრებით და წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად დგინდება, რომ პერსონალის მართვა ხორციელდება საქართველოს შრომის კოდექსის, სკოლის დირექტორის მიერ დამტკიცებული სკოლაში თანამშრომლის მიღების წესის, მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის დებულების, ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის და სამეურვეო საბჭოს მიერ დამტკიცებული სკოლის შინაგანაწესის შესაბამისად.
   სკოლის მიერ ჩატარებული კონკურსების შესახებ ინფორმაციის გამოთხოვის შედეგად დადგინდა, რომ ახალი მასწავლებლის მიღება ხორციელდება კონკურსის გზით teacherjobs.ge-ზე გამოცხადებით. კონკურსის მასალებით, დგინდება, რომ კონკურსის გამოცხადება და საკონკურსო კომისიის დაკომპლექტება ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
   **დადგინდა, რომ ვინაიდან სკოლას აქვს შემუშავებული, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი პერსონალის მართვის მექანიზმები, 3.1.2.1 ინდიკატორი არის დაკმაყოფილებული.**
2. **სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა**
   სკოლის მიერ წარმოდგენილი მასალებით, ვაკანტური ადგილების დასაკავებლად გამოცხადებული კონკურსების ამსახველი დოკუმენტებით (ოქმები, ბრძანებები) დადგინდა, რომ სკოლაში მასწავლებლის/ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სპეციალისტის ვაკანტური ადგილების არსებობის შემთხვევაში, კვალიფიციური კადრის შესარჩევად ცხადდება კონკურსი. დასაქმების ვებ-გვერდზე teacherjobs.ge განთავსდება საკვალიფიკაციო მოთხოვნები. სკოლის დირექტორთან გასაუბრების გზით დადგინდა, რომ დასაქმებულის არყოფნის შემთხვევაში ხდება მისი ფუნქციების გადანაწილება სხვა დასაქმებულზე. მაგალითად, მასწავლებლის არყოფნის შემთხვევაში საათების გადანაწილება შესაბამისი საგნობრივი ჯგუფის სხვა მასწავლებელზე. გარდა ამისა, შინაგანაწესი ადგენს სკოლაში სასწავლო-სააღმზრდელო პროცესის ორგანიზაციას, საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე განსაზღვრავს ამ პროცესის მონაწილეთა უფლება-მოვალეობებს, ასევე სკოლასა და მოსწავლეთა მშობლებს (კანონიერ წარმომადგენლებს) შორის

ურთიერთობათა პირობებს; შინაგანაწესი ვრცელდება სკოლაში დასაქმებულ პირებზე, მოსწავლეებსა და მათ მშობლებზე/კანონიერ წარმომადგენლებზე, ასევე სკოლის ტერიტორიაზე მყოფ ნებისმიერ პირზე; იგი წარმოადგენს სკოლასა და სკოლაში დასაქმებულებს შორის გაფორმებული შრომითი ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს. შინაგანაწესით დადგენილი მოთხოვნების დაცვა სავალდებულოა სკოლის ყველა თანამშრომლის, მოსწავლისა და მშობლის (კანონიერ წარმომადგენლის) მიერ. აგრეთვე სკოლის შინაგანაწესით განსაზღვრულია: სკოლის მისია და საქმიანობა; სასწავლო პროცესის მარეგულირებელი ნორმები (სამუშაო კვირის ხანგრძლივობა, სამუშაოს დაწყებისა და დამთავრების დრო; სამუშაო ადგილი; სამუშაო დროის აღრიცხვა; სამსახურში დაგვიანებით გამოცხადება და გამოუცხადებლობის შეტყობინების წესი; შრომის პირობების დაცვის წესი, შრომის ანაზღაურების გაცემა; დასაქმებულისა და მოსწავლის მიერ დისციპლინური გადაცდომა და პასუხისმგებლობის სახეები,სკოლაში ჩაცმულობის წესი, სამუშაო კვირის ხანგრძლივობა, სამუშაო და დასვენების დრო; შვებულების ხანგრძლივობა და მიცემის წესი; დასაქმებულის წახალისების ფორმები და დისციპლინური პასუხისმგებლობა; შრომის პირობებთან დაკავშირებული ზოგადი ინსტრუქციები; განცხადების/საჩივრის განხილვის წესი;

**რჩევა:** სასურველია სკოლის შინაგანაწესის დოკუმენტში დაემატოს ჩანაწერი შრომითი ურთიერთობის წარმოშობის; შრომითი ურთიერთობის შეწყვეტისა და საბოლოო ანგარიშსწორების შესახებ.

ვინაიდან, სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა, **3.1.2.2 ინდიკატორი არის დაკმაყოფილებული.**

**3.პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით**

სკოლის მიერ წარმოდგენილია ადამიანური რესურსების მოზიდვა და მათი საკვალიფიკაციო მოთხოვნების დოკუმენტი სადაც სკოლას გაცხადებული აქვს, რომ ადამიანური რესურსების მოზიდვა და შენარჩუნება წარმოადგენს თანმიმდევრულ პროცესს, აგრეთვე სსიპ სამტრედიის N1 საჯარო საჯარო სკოლაში დასაქმების მსურველთა, დასაქმებულთა მიმართ დაწესებულების მიერ წაყენებულ მოთხოვნებს და მათი შესრულების ანალიზს. სკოლის დირექტორთან გასაუბრების გზით დადგინდა, რომ საკვალიფიკაციო მოთხოვნების განსაზღვრისას სკოლა ხელმძღვანელობს ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონისა და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს N174/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,მასწავლებლის საქმინობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის'' მოთხოვნათა შესაბამისად. სკოლის საკონკურსო დოკუმენტაციის გაცნობით დადგინდა, რომ მასწავლებლის ვაკანტურ საათების შესავსებად გამოცხადებული კონკურსი ტარდება გამჭვირვალობის პრინციპის დაცვით. კერძოდ, სკოლის დირექტორის ბრძანებით განისაზღვრება კონკრეტული ვაკანტური პოზიციისადმი წაყენებული საკონკურსო პირობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები, რომელიც ქვეყნდება საჯაროდ, teacherjobs.ge-ზე. დირექტორის ბრძანებით იქმნება საკონკურსო კომისია, რომელის შემადგენლობაც განსაძღვრულია კანონმდებლობით. თუმცა ადამიანური მართვის

დოკუმენტში საკონკურსო კომისიის წევრად არ იყო განსაზღვრული მასწავლებელთა პროფესიული კავშირის წარმომადგენელი. საკონკურსო კომისიის ოქმებში კი- კომისიის შემადგენლობაში დაფიქსირებული ჰყავდათ მასწავლებელთა პროფესიული კავშირის წარმომადგენელი, რის შესახებაც ვიზიტის დროს სკოლას მიეთითა და ადამიანური მართვის დოკუმენტში ჩანაწერი შეიცვლა.რაც შეეხება სკოლის სხვა პერსონალს, მათი შერჩევა შესაძლებელია როგორც კონკურსის წესით, ასევე დირექტორის მიერ კანდიდატთან გასაუბრების გზით. გარდა ამის, პირადი საქმეების გადამოწმების შედეგად დადგინდა, რომ ყველა მასწავლებლის პირად საქმეში მოთავსებულია ცნობა ნასამართლობის შესახებ, გარდა ამისა 2020 წლის შემდეგ დანიშნულ მასწავლებელთა პირად საქმეებში ასევე წარმოდგენილია ცნობები სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლობის შესახებ და უფლების ჩამორთმევის შესახებ, რაც ადასტურებს იმ ფაქტს, რომ სკოლაში პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით. **შესაბამისად, 3.1.2.3 ინდიკატორი არის დაკმაყოფილებული.**

**4.პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს**

სკოლაში სულ დასაქმებულია 59 მასწავლებლი. მათ შორის 5 არის სპეციალური მასწავლებელი: 3 უფროსი სპეციალური მასწავლებელი და 2 პრაქტიკოსი სპეციალური მასწავლებელი, რომლებიც დარეგისტრირებულნი არიან გამოცდაზე. სკოლაში დასაქმებული მასწავლებლებიდან: 7 მენტორის სტატუსის მქონე მასწავლებელი; 13 წამყვანი სტატუსის მქონე მასწავლებელი; 33 უფროსის სტატუსის მქონე მასწავლებელი; 1 მაძიებლობის სტატუსის მქონე მასწავლებელი; თითოეულ მათგანს აქვს შესაბამისი სტატუსი და გაფორმებული აქვთ ხელშეკრულებები, რომლებიც სრულად შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას. სკოლის მასწავლებელთა ვაკანსიების ელექტრონული განაცხადების გვერდის (https://teacherjobs.ge/ ) გადამოწმების შედეგად აღმოჩნდა, რომ სკოლას გამოცხადებული ჰქონდა კონკურსი 2024 წლის 25 აგვისტოდან 30 აგვისტოს ჩათვლით შემდეგი ვაკანტური ადგილების დასაკავებლად: ბიოლოგიის მასწავლებელი. შეირჩა ბიოლოგიის მასწავლებლის შესაბამისი კანდიდატი. პირადი საქმეების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ თანამშრომელთა საკვალიფიკაციო მოთხოვნები შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას.

არსებული მონაცემებით სკოლაში ირიცხება 757 მოსწავლე. სკოლის სამედიცინო მომსახურების კაბინეტს ემსახურება ორი ექიმი, ამ პოზიციაზე დასაქმებული პირები სრულად აკმაყოფილებს მოთხოვნებს, რომელსაც ითვალისწინებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2022 წლის 21 მარტის №41/ნ/01-23/ნ ერთობლივი ბრძანებით დამტკიცებული ,,საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების/სკოლების სამედიცინო პერსონალის საქმიანობის სტანდარტისა და საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში/სკოლებში სამედიცინო მომსახურების სივრცის (კაბინეტი/პუნქტი) ფუნქციონირების წესი''. სკოლამ იხელმძღვანელა კანონის შესაბამისად და აღნიშნულ პოზიციაზე მიიღო შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები. **3.1.2.4 ინდიკატორი არის დაკმაყოფილებული.**

**5.პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს**

სკოლის მიერ წარმოდგენილი სტრუქტურული ერთეულების ოქმებით დგინდება, რომ სკოლაში მოქმედი სამუშაო ჯგუფები და სრუქტურული ერთეულები მუშაობენ გუნდურობის პრინციპით, იკრიბებიან სხდომებზე როგორც პირისპირ რეჟიმში, ასევე ონლაინ სივრცეში, და ოქმის სახით იღებენ გადაწყვეტილებებს. საგნობრივი კათედრის თითოეული წევრი ჩართულია კურიკულუმების შემუშავების პროცესში. კათედრის წევრები ერთმანეთს უზიარებენ გამოცდილებას, ერთად გეგმავენ სხვადასხვა აქტივობებს. ხდება ერთობლივად ღონისძიებების და პროექტების დაგეგმვა, როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო დონეზე: ხორციელდება სასკოლო, სოციალური და eTwinning-ის პროექტები. სკოლის მენტორი მასწავლებლების მიერ განხორციელდა კვლევა,, უფასო კვების გავლენა მოსწავლეთა ჩართულობასა და მოტივაციაზე''. მიმდინარე წელს მასწავლებლები მუშაობენ კვლევაზე ,,განათლების სისტემის გამოწვევები და მისი მოგვარების ხედვა სასკოლო სამკუთხედის ჩართულობით“. მასწავლებელთა ჯგუფი მუშაობს სამოქმედო-საძიებო კვლევაზე ,,წაკითხულის გააზრების პრობლემები მოსწავლეებში“, რომელიც ხორციელდება საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსა და ბრიტანეთის საბჭოს ეგიდით, საერთაშორისო მენტორების კურირებით. სკოლაში მიმდინარე ყველა პროექტი ხორციელდება სხვადასხვა კათედრებზე მომუშავე მასწავლებლების გუნდური მუშაობით და ჩართულობით.
კათედრები აქტიურად თანამშრომლობენ ერთმანეთთან და გეგმავენ ერთობლივ პროექტებს. სკოლის პედაგოგიურ და სამეურვეო საბჭოებს, საგნობრივ კათედრებს, აქვთ სასწავლო წლის დასაწყისში განსაზღვრული სამუშაო გეგმა, რომლის შესაბამისადაც იკრიბებიან და განიხილავენ საკითხებს. გადაწყვეტილებების მიღება ხდება კენჭისყრის საფუძველზე.
სასკოლო სასწავლო გეგმის შემუშავებაში ჩართულები არიან სკოლის პედაგოგები და დირექციის წარმომადგენლები.
შესაბამისი საფეხურის მოსწავლეთა თვითმმართველობები იკრიბებიან და გუნდურად იღებენ გადაწყვეტილებებს თავმჯდომარის არჩევაზე, აქტივობების დაგეგმვაზე, შეიმუშავებენ თვითმმართელობის ქცევის წესს, ირჩევენ წარმომადგენელს დისციპლინურ კომიტეტში. ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის წევრები მასწავლებლებს ესწრებიან გაკვეთილებზე და აძლევენ განმავითარებელ შეფასებას და რეკომენდაციებს. სკოლის წარმომადგენლებთან გასაუბრებისას აღინიშნა, რომ თავიანთი კოპეტენციის ფარგლებში სკოლის თანამშრომლები და სტრუქტურული ერთეულები ჩართულები იყვნენ თვითშეფასების პროცესში. დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ სკოლის ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს, **შესაბამისად, 3.1.2.5 ინდიკატორი არის დაკმაყოფილებული.**

**6.სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი**

სკოლის საგნობრივი კათედრების წარმომადგენლებთან და დირექციასთან გასაუბრებით დადგინდა, რომ სკოლაში ხორციელდება წარმატებული გამოცდილების აღიარება და გაზიარება, რაც გამოიხატება დირექციის მხრიდან თანამშრომლისადმი სიგელის ან სერტიფიკატის გადაცემით. სკოლამ წარმოადგინა კათედრის დებულება და წინასწარ შემუშავებული გრაფიკი, რომელშიც გაწერილია პედაგოგთა შორის ურთიერთთანამშრომლობა და გამოცდილების გაზიარების გზები, კერძოდ, პედაგოგები გამოცდილების ურთიერთგაზიარების მიზნით უკავშირდებიან და თანამშრომლობენ სხვადასხვა სკოლის პედაგოგებთან; პედაგოგები ერთმანეთს

უზიარებენ საკუთარ გამოცდილებას, გეგმავენ და ატარებენ ურთიერთდასწრებას და სხვადასხვა ერთობლივ პროექტებს.
სკოლის შინაგანაწესით განსაზღვრულია წახალისების ფორმები, კერძოდ: პროფესიულ საქმიანობაში მოპოვებული წარმატებისათვის ან/და შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების მაღალი პროფესიონალიზმით შესრულებისათვის ან/და დიდი მოცულობის, განსაკუთრებული სირთულის ან/და მნიშვნელობის სამუშაოს შესრულებისათვის, ხანგრძლივი და კეთილსინდისიერი სამსახურისთვის ან/და საგანმანათლებლო პროცესში განსაკუთრებულად თავის გამოჩენისათვის, სკოლა უფლებამოსილია დასაქმებულის მიმართ გამოიყენოს წახალისების შემდეგი ფორმები: ა) მადლობის გამოცხადება; ბ) სიგელით დაჯილდოება; გ) ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება; დ) ერთჯერადი (ფულადი) პრემიის გაცემა; ე) დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის ვადაზე ადრე მოხსნა. **აღნიშნულიდან გამომდინარე დგინდება, რომ სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარების და გაზიარების მექანიზმი და 3.1.2.6 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1. სკოლის შინაგანაწესი;
2. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტის დამტკიცების ოქმი N 5 07/09/2024
3. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი
4. შრომითი ხელშეკრულებები;
5. სტრუქტურული ერთეულების ოქმები;
6. ბრძანება N2-334 ,, ქალაქ სამტრედიის N1 საჯარო სკოლაში ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის შექმნის შესახებ“
7. სკოლის სოციალურ გვერდზე გაზიარებული მასალები.
8. პერსონალის შერჩევის და დანიშვნის პროცესის ამსახველი დოკუმენტაცია(ოქმები/ბრძანებები)
9. ბრძანება 2-314 ,, თანამდებობრივი ინსტრუქციების დამტკიცების შესახებ“

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**3.2. პერსონალის განვითარება**
**3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები**

სკოლამ წარმოადგინა როგორც პერსონალის მართვის პოლიტიკის განმსაზღვრელი დოკუმენტი; ადამიანური რესურსების მოზიდვა და მათი საკვალიფიკაციო მოთხოვნები და ასევე მასწავლებელთა საქმიანობის შეფასების მიზნით, სკოლაში შექმნილი მასწავლებელთა ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი. აღნიშნული ჯგუფის საქმიანობა რეგულირდება დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული ,,პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლისთვის სქემაში ჩართულ მასწავლებელთა ხარისხის უზრუნველყოფის დებულებით'', რაც უნდა გასწორდეს ,,ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის უზრუნველყოფის დებულებით''. გაწერილია დებულების მიზანი, ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის საქმიანობა, ჯგუფის წევრების მიერ გაკვეთილზე დაკვირვება/შფასების წესი, მასწავლებლის საქმიანობის შეფასებისა და მათი განვითარების მიზნით სხვადასხვა აქტივობების დაგეგმვის მექანიზმები. გარდა გაკვეთილზე დაკვირვებისა, მასწავლებლის საქმიანობის შეფასება ხორციელდება შემდეგი მიმართულებით: ონლაინ პორთფოლიოს წარმოება, უშუალო ხელმძღვანელის შეფასება, კოლეგების შეფასება, მოსწავლის/ მოსწავლის მშობლის შეფასება, თვითშეფასება.

სკოლას მასწავლებლის საჭიროების დადგენის მექანიზმად წარმოდგენილი აქვს გაკვეთილზე დაკვირვების რუბრიკა, გაკვეთილის გეგმის შეფასების სქემა.

რაც შეეხება პერსონალის შეფასებას და მათ პროფესიული მხარდაჭერას, სკოლას მომავალში დაგეგმილი აქვს, შეფასებისა და წახალისების მიზნით, შექმნას ჯგუფი, რომელიც შეაფასებს ადამიანური რესურსის მუშაობას, საქმიანობას და წახალისების ინიციატივით მიმართავს სკოლის დირექტორს; სკოლას აქვს გაწერილი პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები. სკოლის მიერ შემუშავებულ ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტში მოცემულია ადამიანური რესურსების მართვის ციკლი. მასწავლებელთა შეფასება ხდება ხარისხის ჯგუფის საშუალებით, გაკვეთილებზე დაკვირვებით. ხოლო პერსონალის- უშუალო ხელმძღვანელის, კოლეგების, თანამდებობრივად დაქვემდებარებული თანამშრომლების შეფასებით და თვითშეფასებით.

სკოლამ აგრეთვე წარმოადგინა პერსონალის მართვის პოლიტიკის განმსაზღვრელი დოკუმენტი, სადაც გაწერილია სკოლაში დასაქმებული პერსონალის საქმიანობის შეფასების გამჭვირვალე მექანიზმები. განსაზღვრულია შეფასების მნიშვნელობა, შეფასების გავლენა სწავლების

ხარისხის გაუმჯობესებაზე, შეფასებაში ჩართული პირები, მონაცემთა შეგროვების მეთოდები და სამოქმედო/სტრატეგიულ გეგმებში ასახვის ფორმები.

**რჩევა:** ბრძანებით დამტკიცებულ დებულებასა და ოქმებში სახელწოდება ,,პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლისთვის სქემაში ჩართულ მასწავლებელთა ხარისხის უზრუნველყოფის დებულება '' შეიცვალოს ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის უზრუნველყოფის სახელწოდებით, ვინაიდან კარიერული წინსვლისთვის სქემა არ ფუნქციონირებს.

**რჩევა:** სკოლის ყველა ოქმში დაემატოს ჩანაწერები , დაზუსტდეს მოცემული საკითხები და იყოს ინფორმაციული.

**ვინაიდან სკოლას აქვს პერსონალის შეფასებისა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები, 3.2.1.1 ინდიკატორი არის დაკმაყოფილებული;**

2. **პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად**

მასწავლებლების პროფესიული საჭიროებების დადგენა ხორციელდება ხარისხის მართვის ჯგუფის მიერ გაცემული უკუკავშირის საშუალებით, რაც შეეხება სხვა პერსონალის განვითარებისთვის საჭიროებების დადგენას, ეს ხდება უშუალო ხელმძღვანელის, კოლეგების, თანამდებობრივად დაქვემდებარებული თანამშრომლების შეფასებით და თვითშეფასების
საფუძველზე. აღნიშნულ პუნქტს არეგულირებს სკოლის მიერ შემუშავებული ადამიანური რესურსების მართვის დოკუმენტი. წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და სიტუაციის (სკოლის პირველადი ავტორიზაცია) ანალიზის შედეგად, **3.2.1.2. ინდიკატორი არის დაკმაყოფილებული;**

3. **სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას**

სკოლაში შექმნილია ხარისხის ჯგუფი, წარმოდგენილია ხარისხის ჯგუფის დებულება, რომლის მიხედვით ხარისხის ჯგუფმა ხელი უნდა შეუწყოს მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებას. სკოლამ აღნიშნა, რომ მასწავლებლები აქტიურ მონაწილეობას იღებენ კონფერენციებში, ჩართულები არიან სხვადასხვა ტრენინგში. რაც შეეხება სხვა თანამშრომლებს, სკოლა სამომავლოდ გეგმავს მათი საჭიროებების დადგენასა და ხელშეწყობას.

სკოლას აქვს კარგი პრაქტიკა გამოავლინოს, დააფასოს და შეაფასოს განსაკუთრებულად აქტიური თანამშრომლები და დაეხმაროს მათ კარიერულ წინსვლაში. გასული წლების განმავლობაში სკოლის მიერ განსაკუთრებული წესით სტატუსის მინიჭებაზე წარადგინა 5 მასწავლებელი: მათგან ორმა მასწავლებელმა მიიღო წამყვანი მასწავლებლის სტატუსი, ხოლო სამმა მენტორი მასწავლებლის სტატუსი. სკოლის წარდგინებით მასწავლებლებს მიღებული აქვთ არაერთი აღიარება: რესპუბლიკის საუკეთესო უცხო ენის მასწავლებლის წოდება; გოგებაშვილის პრემია; მრავალწლიანი პედაგოგიური მოღვაწეობისათვის ,,დამსახურებული მასწავლებლის" წოდება და სხვა. სკოლა აქტიურად უწყობს ხელს მაძიებელ მასწავლებლებს. 3 წლის წინ სკოლის დახმარებით ერთი მაძიებელი მასწავლებელი გახდა უფროსი მასწავლებლის სტატუსის მქონე, ამჟამად კი სკოლას ჰყავს ერთი მაძიებელი მასწავლებელი, რომლის კარიერის დაგეგმვასა და ზრდაში აქტიურად არიან ჩართული სკოლის გამოცდილი მასწავლებლები.

წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და სიტუაციის (სკოლის პირველადი ავტორიზაცია) ანალიზის შედეგად,**3.2.1.3 ინდიკატორი არის დაკმაყოფილებული;**

**4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან**

სკოლას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს ,,ახალი თანამშრომლის ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმების გზამკვლევი'' (სკოლის დირექტორის მ/შ ბრძანება 2024 წლის 28 ნოემბერი), სადაც განსაზღვრულია თუ როგორ ზრუნავს სკოლა ახალი კადრის ადაპტაციის პროცესზე. სკოლისათვის ახალი თანამშრომლის სოციალიზაცია მნიშვნელოვან ასპექტს წარმოადგენს, იმისათვის, რომ სკოლის მიერ შერჩეულმა პირმა შეძლოს საკუთარი ცოდნისა და უნარების სრულად გამოვლენა, მნიშვნელოვანია, რომ მან წარმატებით გაიაროს ორგანიზაციასთან ადაპტაციის პროცესი და გახდეს ორგანიზაციის ღირებული წევრი. ამისთვის, სკოლა ზრუნავს ახალი კადრის ადაპტაციის პროცესზე. ახალი თანამშრომლის ადაპტაციის ეტაპებია: 1. მოლოდინები - მუშაობის დაწყებამდე ჩამოყალიბებული მოლოდინი და შთაბეჭდილება სკოლის შესახებ; 2. შეხვედრა - სკოლაში მუშაობის პირველი სამი თვე, ფორმალური და არაფორმალური სოციალიზაციის პერიოდი; 3. „ოჯახის წევრობა" - სკოლის/გუნდის სრულუფლებიან წევრად ჩამოყალიბების განცდა. იმისათვის, რომ სწრაფად მოხდეს ახალი თანამშრომლის ადაპტაცია, სკოლა ეხმარება მათ გაეცნონ დამკვიდრებულ წესებსა და ტრადიციებს. დირექტორთან გასაუბრებით დადგინდა, რომ ახალი მასწავლებლის წარდგენა ხდება შესაბამის კათედრაზე, სხვა პერსონალის წარდგენა კი შესაბამის სტრუქტურული ერთეულის თანამშრომელთან, რა დროსაც ახალ თანამშრომელს გააცნობენ სკოლაში მუშაობის სპეციფიკას, დაკავებული პოზიციის სპეციფიკას და სკოლაში დამკვიდრებულ მიდგომებსა და წესებს. საქმისწარმოებლის და კათედრის თავმჯდომარის მიერ ხდება ახალი თანამშრომლის გაწევრიანება სოციალური ქსელის დახურულ ჯგუფში. ახალ თანამშომელს გასაცნობად გადაეცემა სკოლის შინაგანაწესი. წარმოდგენილი დოკუმენტით და სკოლის დირექციასთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლას აქვს ახალი თანამშრომლის გარემოსთან ინტეგრაციის პრაქტიკა, **შესაბამისად, 3.2.1.4 ინდიკატორი არის დაკმაყოფილებული.**

**5.წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები**

სკოლის შინაგანაწესში გაწერილია თანამშრომლების წახალისების ფორმები. სკოლა აქტიურად იყენებს ამ ფორმებს, რის დასტურადაც შეიძლება მივიჩნიოთ დირექტორის ინდივიდუალურ სამართლებლივი აქტი, მადლობის ბრძანებები. **3.2.1.5 ინდიკატორი არის დაკმაყოფილებული;**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1.ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის სხდომის ოქმი ;

2.ბრძანება N2-30 ,, სსიპ- ქალაქ სამტრედიის #1 საჯარო სკოლაში პრაქტიკანტის მიღებისა და მასზე ზედამხედველი პირის განსაზღვრის შესახებ";

3.სამეურვეო საბჭოს ოქმი N4 02/12/2022 განსაკუთრებული წესით სტატუსის მისანიჭებლად მასწავლებელთა წარდგინების შესახებ"

4.გადაწყვეტილება სტატუსის შეცვლაზე;

5.ბრძანება N2-320 ,, სსიპ-ქალაქ სამტრედიის N1 საჯარო სკოლის თანამშრომელთა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდამჭერი მექანიზმის დამტკიცების შესახებ";

6.ბრძანება N2-331 ,, ქალაქ სამტრედიის N1 საჯარო სკოლის ,,მოსწავლის გარემოსთან ადაპტაციის მექანიზმი" და ,,ახალი თანამშრომლის ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმების გზამკვლევის დამტკიცების შესახებ";
7.ბრძანება N2-334 ,, ქალაქ სამტრედიის N1 საჯარო სკოლაში ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის შექმნის შესახებ";
8.ელექტრონული რესურსი;

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**3.3. პროცესების მართვა**

**3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს**
   სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად (დაგეგმვა, დანერგვა, მონიტორინგი და შეფასება, რევიზია). სკოლას ჰყავს ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი. შემუშავებული აქვს გაკვეთილზე დაკვირვების ფორმა. ჯგუფი თავის საქმიანობის ფარგლებში, ესწრება მასწავლებლებს გაკვეთილებზე და აბრუნებს განმავითარებელ უკუკავშირს. წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზისა და სკოლის პირველადი ავტორიზაციის საფუძველზე,

ვინაიდან სკოლას აქვს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების დოკუმენტი, შესაბამისად, **3.3.1.1 ინდიკატორი არის დაკმაყოფილებული.**

2. **იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები**
   სკოლის ერთწლიან სამოქმედო გეგმაში იდენტიფიცირებულია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები. სკოლას შემუშავებული აქვს თანამდებობრივი ინსტრუქციების დოკუმენტი. აღნიშნულ დოკუმენტში მოცემულია თითოეული მმართველი რგოლის ფუნქციები, რომელშიც ასევე მკაფიოდ არის გაწერილი თანამდებობრივი ვალდებულებები, მაგალითად, დირექტორის მოვალეობები, დირექტორის მოადგილის მოვალეობები, სამეურვეო საბჭოს მოვალეობები, სკოლის ბუღალტრის მოვალეობები, მასწავლებლის მოვალეობები, ბიბლიოთეკარის მოვალეობები და ა.შ. თითოეული ვალდებულება დაკავშირებულია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან. წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზისა და სკოლის პირველადი ავტორიზაციის საფუძველზე, **3.3.1.2. ინდიკატორი არის დაკმაყოფილებული.**
3. **სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა**
   სკოლას შემუშავებული აქვს გასაჩივრებისა და საჩივრის განხილვის წესი, რომელიც ვრცელდება სკოლაში დასაქმებულ ყველა პირზე, მოსწავლეზე, მის მშობელზე/კანონიერ წარმომადგენელზე. ასევე ნებისმიერ დაინტერესებულ პირზე, რომელსაც სურს, სკოლას მიმართოს განცხადებით / საჩივრით. **3.3.1.3. ინდიკატორი არის დაკმაყოფილებული.**
4. **სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები**
   სკოლას შემუშავებული და დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული აქვს „გასაჩივრებისა და საჩივრის განხილვის წესი“, „მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერის წესი“. გასაჩივრებისა და საჩივრის განხილვის წესი მოიცავს მიღებული შედეგის გასაჩივრების ეტაპებსაც. სკოლაში ასევე ფუნქციონირებს სამეურვეო საბჭო და დისციპლინური კომიტეტი. აღნიშნული დოკუმენტები განთავსებულია სკოლის ვებ-გვერდზე. **3.3.1.4. ინდიკატორი არის დაკმაყოფილებული.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1.საჯარო სკოლის დირექტორის 2024 წლის 13 დეკემბრის ბრძანება N2-334 „სკოლაში ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულების“ დამტკიცების შესახებ;
2.საჯარო სკოლის გაკვეთილზე დაკვირვების ფორმა;
3.საჯარო სკოლის გასაჩვრებისა და საჩვრის განხილვის წესი;
4.საჯარო სკოლის დირექტორის 2024 წლის 04 მარტის N2-30 ბრძანება „გასაჩვრებისა და საჩვრის განხილვის წესის“ დამტკიცების შესახებ;

5.საჯარო სკოლის თანამდებობრივი ინსტრუქციები;
6.;საჯარო სკოლის დირექტორის 2024 წლის 21 ნოემბრის N2-314 ბრძანება „თანამდებობრივი ინსტრუქციების“ დამტკიცების შესახებ;
7.საჯარო სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
8.საჯარო სკოლის შინაგანაწესი;
9.საჯარო სკოლის „მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერის წესი“.

**3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები**
 სკოლას შემუშავებული აქვს სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია, დოკუმენტში იკითხება საზოგადოებასთან ურთიერთობის ფორმები და ეტაპები; მაგალითად სამოქმედო გეგმის შეთანხმება ხდება სამეურვეო საბჭოსთან, პედაგოგიურ საბჭოსთან, განხილვისას ხდება უკუკავშირის მოსმენა და გაზიარება. ეს პროცესი თავისთავად გულისხმობს სასკოლო საზოგადოების წევრების ჩართულობას სწავლა-სწავლების პროცესში. ასევე სკოლაში წახალისებულია მოსწავლეთა ინიციატივები და ინფორმაცია ხელმისაწვდომია სკოლის ვებგვერდზე. სკოლას აქვს სოციალური ქსელის Facebook გვერდი, სადაც აზიარებს ინფორმაციას და შემდეგ კომენტარების სახით იღებს უკუკავშირსაც. **3.3.2.1. ინდიკატორი არის დაკმაყოფილებული**
 2.**უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა**
 დაწესებულების მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა უზრუნველყოფილია ზოგადი განათლების შესახებ კანონის შესაბამისად, კერძოდ, საგნობრივი კათედრების შემადგენლობაშია ყველა მასწავლებელი, სამეურვეო საბჭოს შემადგენლობაშია მასწავლებელი, მშობელი და მოსწავლე, საბჭო განიხილავს ითანხმებს ან/და ამტკიცებს სკოლის საქმიანობის სხვადასხვა მარეგულირებელ დოკუმენტს. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა თვითმმართველობა, რომელსაც აქვს შესაძლებლობა ჩართული იყოს სასკოლო ცხოვრებაში. მრჩეველთა საბჭო, რომელიც გამოკვეთს სკოლაში სასწავლო პროცესში გამოკვეთილ საჭიროებებს და იძლევა შესაბამის რჩევებს. **3.3.2.2. ინდიკატორი არის დაკმაყოფილებული**

დასტურდება (მტკიცებულებები):
*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1.საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი;
2.საჯარო სკოლის თვითმმართველობის სხდომის ოქმი;

3.საჯარო მრჩეველთა საბჭოს სხდომის ოქმი;
4.საჯარო სკოლის საგნობირვი კათედრების სხდომის ოქმი;
5.საჯარო სკოლის ვებგვერდი;
6.საჯარო სკოლის Facebook გვერდი

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება**
**3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში)**
   სკოლაში შექმნილია თანამშრომლებისა და სკოლის ტერიტორიაზე მყოფი პირებისთვის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემო. სკოლაში არის 41/*ნ* ბრძანების მოთხოვნებთან შესაბამისად აღჭურვილი სამედიცინო კაბინეტი. სკოლას ჰყავს ორი ექიმი, მათი კვალიფიკაცია შეესაბამება 41/*ნ* ბრძანებით მოთხოვნილ კვალიფიკაციას. სკოლას შემუშავებული აქვს უსაფრთხოების

დაცვის პოლიტიკა, უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე პასუხისმგებელია სკოლის დირექცია და მანდატური. სკოლას ჰყავს სამი მანდატური, აქვს ვიდეო კამერები, რომლებიც შიდა და გარე პერიმეტრს გააკონტროლებს, თავდაპირველ ეტაპზე, თვითშეფასების კითხვარის შევსებისას, სკოლას არ ჰქონდა ევაკუაციის გეგმა, ასევე არ ჰქონდა დასკვნა შენობა - ნაგებობების ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ. აქედან გამომდინარე სკოლამ შეადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის თანახმადაც მან აღნიშნულ ვადებში უნდა მოიპოვებინა შესაბამისი დოკუმენტაცია. კერძოდ, მიემართა :

1. ინფრასტრუქტურიის განვითარების სააგენტოს სკოლის **შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების** დასკვნის გამოთხოვის შესახებ (2025 წლის 22 აპრილი -2025 წლის 30 აპრილი);
2. ევაკუაციის გეგმის შედგენაზე უფლებამოსილი ორგანოს (2025 წლის 10 მაისიდან- 2025 წლის 30 ივლისი);
3. უფლებამოსილ ორგანოს შენობის სახანძრო უსაფრთხოების შესამოწმებლად ( 2025 წლის 30 მაისი-2025 წლის 30 ოქტომბერი);
4. შესაბამის უწყებასთან საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის დასამტკიცებლად (2025 წლის 30 მაისი-2025 წლის 30 აგვისტო);

**შესაბამისობის გეგმაში გაწერილი აქტივობები დროულად შესრულებულია, რის შედეგადაც სტანდარტის კომპონენტის 3.4. შეფასება მეტწილიდან შეიცვალა შესაბამის შეფასებად.**

**3.4.1.1. ინდიკატორი არის დაკმაყოფილებული;**

2. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას**

სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ" №06/ნ ბრძანების საფუძველზე. სკოლაში დასაქმებულია ორი დარაჯი და სოციალური სამსახურის მიერ დასაქმებული პირი. ყოველივე ზემოთ აღნიშნულის გათვალსწინებით სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას,

შესაბამისად **3.4.1.2. ინდიკატორი არის დაკმაყოფილებული;**

3. **სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას**

სკოლა ხელმძღვანელობს „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ " საქართველოს განათლების, მეცნიერების კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის N06/ნ ბრძანების შესაბამისად. სკოლის ტერიტორიაზე უსაფრთხოებას უზრუნველყოფენ სკოლის დარაჯები და სოციალური

სამსახურის მიერ დასაქმებული პირი. სკოლას აქვს სკოლის ტერიტორიაზე შემოსულ პირთა აღრიცხვიანობის ჟურნალი. სკოლაში გამოვლენილი დარღვევების ასასახავად არსებობს ერთიანი ელექტრონული საინფორმაციო ბაზა, სადაც აისახება სკოლის ტერიტორიაზე მომხდარი ყველა სავარაუდო დარღვევა. სკოლაში შემოღებულია მასწავლებელთა მორიგეობა, რომლებიც თვალყურს ადევნებენ სასკოლო დერეფნებში წესრიგის დაცვას. საკლასო ოთახებში წესრიგის დაცვაზე პასუხისმგებელია საგნის მასწავლებელი და კლასის ხელმძღვანელი.სკოლაში მოქმედებს თამბაქოს მოხმარების აკრძალვის წესი. სკოლის შინაგანაწესით განსაზღვრულია დარღვევების სახეები და შესაბამისი პრევენციული ღონისძიებები/დისციპლინარული სახდელები.

სკოლას ჰყავს 3 მანდატური. სკოლაში თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია ქცევის წესები (თამბაქოს მოხმარების აკრძალვა, გადაუდებელი დახმარების ნომრები და ა.შ.), რითაც რეგულირდება წესრიგის დაცვის მექანიზმები. სკოლაში მოქმედებს მრჩეველთა საბჭო, დისციპლინური კომიტეტი. **3.4.1.3. ინდიკატორი არის დაკმაყოფილებული;**

4. **სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს**

   ექსპერტთა ჯგუფის ადგილზე ვიზიტის დროს სკოლას დახვდა პოზიტიური და კეთილგანწყობილი გარემო. გარდა ამისა დერეფნებსა და საკლასო ოთახებში გამოკრულია მოსწავლეთა ნამუშევრები, რაც მათ აღიარებას ნიშნავს. სკოლის ინფრასტრუქტურა (სამასწავლებლო, სამუშაო სივრცეების, საკლასო ოთახები) და სკოლაში დასაქმებული პირები, ერთობლივად ქმნიან ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო გარემოს. სკოლის დერეფნებში და სამუშაო სივრცეებში გამოკრულია მოსწავლეთა მიერ განხორციელებული სხვადასხვა ნამუშევარი, რაც ასევე პოზიტიურ და ფსიქოლოგიურად უსაფრთხო გარემოზე მიუთითებს. ამასთანავე სკოლაში, დამრიგებლებს შემუშავებული აქვთ სადამრიგებლო კლასის პროგრამა, სადამრიგებლო კლასის საათზე განიხილავენ სხვადასხვა თემას. სკოლა ახორციელებს რეფერირების პროცედურებს ბავშვზე ძალადობის/სავარაუდო ძალადობის შემთხვევაში, სადაც ჩართულია მანდატურის სამსახური და სოციალური მუშაკი. სკოლას შემუშავებული აქვს რეფერირების პროცედურების შიდა ინსტრუქცია ბავშვზე ძალადობის / სავარაუდო ძალადობის შემთხვევაში. **3.4.1.4. ინდიკატორი არის დაკმაყოფილებული;**

5. **ინდიკატორი სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას**

   სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას. სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის მიზნით, სკოლაში დასაქმებულია 4 დამლაგებელი, რომლებიც უზრუნველყოფენ დაწესებულების შიდა და გარე ფართის მოწესრიგებას. სანიტარიული კვანძის დასუფთავებისათვის განკუთვნილი სათანადოდ მარკირებული ინვენტარის შესანახად გამოყოფილია ცალკე ოთახი. ასევე, საყოფაცხოვრებო ქიმია და სადეზინფექციო საშუალებები, ინახება სპეციალურად ამ მიზნისათვის განკუთვნილ, ჩაკეტილ სათავსოში. სველ წერტილებში დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები. ყველა სველი წერტილი უზრუნველყოფილია პირადი ჰიგიენის დაცვის საშუალებებით: ქაღალდი, საპონი, ხელსახოცი, ნარჩენების კალათი. მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორთან ერთად სკოლის სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის მონიტორინგი ევალება სკოლის ექიმს, რომელიც აკეთებს აღრიცხვას. შესაბამისად **3.4.1.5. ინდიკატორი არის დაკმაყოფილებული;**

**6.სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას**

დაწესებულების დირექტორის ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრულია პერსონალურ მონაცემთა დაცვის მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირი. მშობელსა და სკოლას შორის გასაფორმებელი ხელშეკრულება მოიცავს რეგულაციებს მოსწავლის პერსონალური მონაცემების გამოყენების შესახებ. სკოლას დამტკიცებული აქვს პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმები. პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი აწესრიგებს სკოლის მიერ მონაცემთა დამუშავების საკითხებს, ის ვრცელდება სკოლაში დასაქმებულ და სკოლის სახელით მოქმედ ნებისმიერ პირზე და სავალდებულოა შესასრულებლად. **3.4.1.6. ინდიკატორი არის დაკმაყოფილებული;**

**7.სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები**

სკოლაში გამოყენებული ნებისმიერი პროგრამა ლიცენზირებულია. სკოლაში არსებულ ყველა კომპიუტერს/კომპიუტერულ მოწყობილობას გააჩნია ანტივირუსული პროგრამა/დამცავი ბარიერი. სკოლაში არსებული პერსონალური ინფორმაცია არ ზიარდება ვებგვერდებზე, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა. სკოლა ახდენს ინფორმაციისა და ფაილების სარეზერვო კოპირებას. სკოლა მუშაობის პროცესში იყენებს სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ მიწოდებულ ინტერნეტს და სხვა ინტერნეტს. სკოლის საქმისმწარმოებელთან არის დაცული სკოლის თანამშრომლების და მოსწავლეების პირადი საქმეები, რომელიც შენახულია და ხელმისაწვდომია მხოლოდ უფლებამოსილი პირებისათვის. **3.4.1.7. ინდიკატორი არის დაკმაყოფილებული;**

**8.სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის**

სკოლა ხელმძღვანელობს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის N06/ნ ბრძანებით. სკოლის უსაფრთხოების დაცვის კონტროლის მიზნით, სკოლა სამომავლოდ გეგმავს სხვადასხვა კითხვარის შექმნას, რათა შეამოწმოს უსაფრთხოების მექანიზმის ეფექტიანობა. წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზისა და სკოლის პირველადი ავტორიზაციის საფუძველზე, შესაბამისად **3.4.1.8. ინდიკატორი არის დაკმაყოფილებული;**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1. სკოლის უსაფრთხოების პოლიტიკის დოკუმენტი;
2. დირექტორის ბრძანება სკოლის ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს უზრუნველყოფის მექანიზმის დამტკიცების შესახებ; (2025/ 20 თებერვალი ბრ. N2-20);
3. დირექტორის ბრძანება საჯარო სკოლაში საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფასა და ინფორმაციის პროაქტიულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ(2024 წლის 13 დეკემბერი ბრ. N2-335);

4. სკოლის საგანგებო მართვის გეგმა;
5. დირექტორის ბრძანება პერსონალურ მონაცემების დაცვის მექანიზმების დამტკიცების შესახებ;
6. დამლაგებლის შრომითი ხელშეკრულება;
7. სკოლის შინაგანაწესი;
8. საჯარო სკოლის კლასის დამრიგებლის სამოქმედო გეგმა;
9. საჯარო სკოლის დირექტორის 2024 წლის 12 მარტის ბრძანება N1-11 „სკოლაში ვიზიტორთა აღიცხვის ჟურნალზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის" შესახებ;
10. საჯარო სკოლის კლასის დამრიგებლის სამოქმედო გეგმა;
11. საჯარო სკოლის პერსონალური მონაცემების დაცვის წესი;
12. საჯარო სკოლის დირექტორის ბრძანება N2-09 „სკოლის პერსონალური მონაცემების დაცვის წესისა და მონიტორინგის მექანიზმების დამტკიცების შესახებ " დამტკიცების შესახებ;
13. საჯარო სკოლის მრჩეველთა საბჭოს სხდომის ოქმი;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა**

**3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით**

სსიპ ქალაქ სამტრედიის N1 საჯარო სკოლის შენობა განთავსებულია ქალაქ სამტრედია საკადასტრო კოდი N 34.08.55.396 მიწის ფართობია 12332კვ.მ, შენობა-ნაგებობის ჩამონათვალი: N1 საერთო ფართით 3221,8 კვ.მ.(დამხმარე ნააგებობები: N2, N3, N4) (ამონაწერი საჯარო რეესტრიდან). 2023-2025 წლებში სკოლას ჩაუტარდა სრული რეაბილიტაცია. საბოლოო მიღება ჩაბარების აქტი ჯერ არ გაფორმებულა, რადგან მიმდინარეობს სამხარაულის სამსახურის მიერ შემოწმება. სკოლა სრულად უზრუნველყოფილია ახალი ავეჯით. სკოლაში არის საბუნებისმეტყველო მეცნიერებების თანამედროვე ლაბორატორია (ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია) თავისი აღჭურვილობით, 1 კომპიუტერული ლაბორატორია, ბიბლიოთეკა; 2 რესურს ოთახი შესაბამისი ავეჯით, 1 სპორტული დარბაზით, 1 გარე მოედანი; სააქტო დარბაზი; შენობის სამივე სართულზე არის სანიტარ-ჰიგიენური ნორმების დაცვით აღჭურვილი სველი წერტილები: გოგონებისთვის, ვაჟებისთვის, შშმ პირებისათვის და სკოლის თანამშრომლებისათვის.სკოლა აღჭურვილია კომპიუტერებით, პროექტორებით და სხვა ციფრული ტექნიკით, როომელიც ხელს უწყობს სასწავლო პროცესში თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენების ეფექტურობას. სკოლას აქვს დიდი რაოდენობით მოსწავლის მერხი და სკამი, რომელიც დასაწყობებულია. ყოველწლიურად მიმდინარეობს მატერიალურ-ტექნიკური რესურსების ინვენტარიზაცია.

**2.დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის**

სკოლის შენობაში არის საერთო სარგებლობის სივრცეები: კომპიუტერული ლაბორატორია, საბუნებისმეტყველო (ქიმიის, ბიოლოგიისა და ფიზიკის)კაბინეტი, სსსმ მოსწავლეთათვის ორი სპეციალური ოთახი და სამასწავლებლო. სკოლის ფოიე, დერეფნები და ეზო იძლევა საშუალებას სხვადასხვა აქტივობების ჩასატარებლად და სრულფასოვანი დასვენებისთვის. შემუშავებულია ლაბორატორიებითა და ბიბლიოთეკით სარგებლობის წესები. სკოლას აქვს 60 პერსონალური კომპიუტერი, 80 ლეპტოპი, 7 პრინტერი, 14 პროექტორი. ლაბორატორიაში დაცულია მოსწავლეთა უსაფრთხოების ზომები. ბიბლიოთეკასა და ლაბორატორიაში მუშაობის წესები განთავსებულია თვალსაჩინო ადგილზე. სკოლას გააჩნია მხატვრული წიგნადი ფონდი და გრიფირებული სახელმძღვანელოების ფონდი, რომელიც განთავსებულია ბიბლიოთეკის საცავში. არსებობს მკითხველთა დარბაზი, სადაც განთავსებულია საკატალოგო და საენციკლოპედიო მასალები, მეთოდური ლიტერატურა. ყოველივე ეს მუშაობს ბიბლიოთეკის მუშაობის წესის თანახმად. სკოლის ფოიეს სხვადასხვა ზონა განკუთვნილია და მოწყობილია კათედრების მიერ, სადაც ტარდება სხვადასხვა აქტივობები. სკოლის სააქტო დარბაზი სრულადაა აღჭურვილი სკამებით და კომპიუტერული ტექნიკით. სკოლა გეგმავს შეიძინოს აუდიო ტექნიკა სკოლის დარბაზისათვის.

**3.სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით**

სკოლამ წარმოადგინა ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი, ინვენტარიზაციის წიგნი. ბიბლიოთეკის საქმიანობა ეფუძნება ბიბლიოთეკის დებულებას. ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი შედგება სახელმძღვანელოების, საბავშვო ლიტერატურის, დამხმარე სახელმძღვანელოების, სერია-ქართული მწერლობა, სერია-ქართული პროზა, ქართული ლიტერატურა, უცხოური ლიტერატურისაგან.

ბიბლიოთეკარი სკოლის მოსწავლეებსა და მასწავლებელს ეხმარება სხვადასხვა ღონისძიების დაგეგმვაში. **3.5.1.3. ინდიკატორი არის დაკმაყოფილებული**

4.**სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემო**

სკოლის შენობა ქმნის ინკლუზიურ გარემოს. შენობაში, ყველა სართულზე არის ადაპტირებული სველი წერტილი, შენობაში არის ლიფტი და პანდუსი (შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის). სკოლას მეორე სართულზე განთავსებულია ბიბლიოთეკა, პირველ სართულზე დარბაზი და სასადილო. ეტლით მოსარგებლე მოსწავლეებისათვის ხელმისაწვდომია სკოლის ყველა კაბინეტი, კერძოდ, ქიმიის, ბიოლოგიის, ფიზიკისა და კომპიუტერული ლაბორატორია. ყოველივე ამის გათვალისწინებით სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს, შესაბამისად **3.5.1.4. ინდიკატორი არის დაკმაყოფილებული**

**5.სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას**

სკოლას გააჩნია კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო მატერიალური და სასწავლო რესურსები: გრიფმინიჭებული სასკოლო სახელმძღვანელოები; საგანმანათლებლო ელექტრონული რესურსები; სხვადასხვა სახის თვალსაჩინოები (რუკები, პლაკატები, მოდელები და სხვ.); ბიბლიოთეკა, სკოლის სივრცეები, ბუნებრივი გარემო და სხვ.**ისტ-ის მიმართულებით:** მოწყობილია კომპიუტერული კლასი, სადაც განთავსებულია 14 პროექტორი და ინტერნეტით უზრუნველყოფილი კომპიუტერები.**სპორტის გაკვეთილებისთვის სკოლის ეზოში მოწყობილია სპორტული მოედანი, ხელოვნური ბალახის საფარით, აგრეთვე** სკოლას აქვს სპორტული დარბაზი, რომელიც უამინდობის დროს გამოყენებულია სპორტის გაკვეთილების ჩასატარებლად.

**საბუნებისმეტყველო მიმართულებით:**

სკოლას აქვს ქიმიის, ბიოლოგიისა და ფიზიკის ლაბორატორიები შესაბამისი სივრცით და დამხმარე ოთახებით, სკოლას აქვს ხელსაწყოების და რეაქტივების, მოდელების და პლაკატების, სქემების, ცხრილების საკმარისი ჩამონათვალი, რაც სრულად უზრუნველყოფს მოსწავლეთა პრაქტიკული უნარ-ჩვევების და მაღალი სააზროვნო უნარების, მათ შორის კვლევითი სამუშაოების განხორციელების შესაძლებლობას, ასევე მაგიდების ზედაპირი არ არის აალებადი,ლაბორატორიებს აქვს ვენტილაციის კარგი სისტემა , ხოლო ქიმიის ლაბორატორიაში არ არის ამწოვი კარადა. სკოლის დირექციასთან გასაუბრებით დადგინდა, რომ სკოლა აპირებს შეისყიდოს შესაბამისი ინვენტარი. სკოლის ინფრასტრუქტურა (ღია სპორტული მოედანი, სკოლის ეზო, სპორტული დარბაზი,სააქტო დარბაზი, სარეკრეაციო სივრცე), ქმნის შესაძლებლობას, მოსწავლეებმა სკოლის ბაზაზე განახორციელონ სოციალური, კულტურული, სპორტული და შემეცნებითი აქტივობები ერთმანეთთან, სასკოლო საზოგადოებისა და თემის სხვა თანატოლ თუ ზრდასრულ წარმომადგენლებთან ერთად. **3.5.1.5. ინდიკატორი არის დაკმაყოფილებული**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1.ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;
2.ბრძანება N2-319,, სსიპ-ქალაქ სამტრედიის N1 საჯარო სკოლის მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესის დამტკიცების შესახებ'';
3.ბრძანება N2-295.,, სსიპ-ქალაქ სამტრედიის N1 საჯარო სკოლის ბიბლიოთეკის დებულების დამტკიცების შესახებ";
ვიზუალური დათვალიერება ;
4.ბრძანება N2-47 ,, სსიპ ქალაქ სამტრედიის N1 საჯარო სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ;
5.ბრძანება N2-48 ,, სსიპ ქალაქ სამტრედიის N1 საჯარო სკოლის კომპიუტერული ტექნიკის გამოყენების გეგმის დამტკიცების შესახებ";

შეფასება:

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**3.6. საინფორმაციო რესურსები**
**3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას**

სკოლა სასწავლო პროცესში აქტიურად იყენებს ტექნოლოგიებს და შესაბამისი ინფრასტრუქტურაც ხელმისაწვდომია როგორც მოსწავლეთათვის, ისე სკოლაში დასაქმებული თანამშრომლებისთვის. სკოლაში ფუნქციონირებს ტექნოლოგიებით აღჭურვილი ოთახი.

საზიარო სამუშაო სივრცეს წარმოადგენს კომპიუტერული ლაბორატორია. მასწავლებლებისათვის და მოსწავლეებისთვის განკუთვნილ ტექნიკაზე პასუხისმგებელი პირია საინფორმაციო მენეჯერი.

სკოლის კომპიუტერული ინფრასტრუქტურის აღწერიდან ჩანს, რომ ამ ეტაპზე სკოლას აქვს საკმარისი კომპიუტერების რაოდენობა, კერძოდ 60 პერსონალური კომპიუტერი, 80 ლეპტოპი, 7 პრინტერი, 14 პროექტორი. სკოლის კომპიუტერულ ლაბორატორიაში ტექნიკა გამართულ მდგომარეობაშია. კომპიუტერულ ოთახებში გაკრულია წესები ინტერნეტის სარგებლობასთან დაკავშირებით, რათა არ მოხდეს მისი არამიზნობრივად გამოყენება. ასევე კომპიუტერული ლაბორატორიით სარგებლობის წესი, რომელიც განსაზღვრავს მომხმარებლის უფლებებს (შეიყვანოს და დაარედაქტიროს ტექსტი, მოიძიოს და გადმოწეროს საჭირო მასალები; ისარგებლოს ელექტრონული რესურსით და მათი გამოყენებით იმუშაოს ლიტერატურაზე) და შეზღუდვებს (დაუშვებელია კომპიუტერებში რაიმე ფაილის წაშლა, ასევე მისი გამოყენება თამაშებისა და სხვა გართობისათვის). **3.6.1.1 ინდიკატორი არის დაკმაყოფილებული**

2. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად**

   სკოლაში არის საზიარო სამუშაო სივრცე, კომპიუტერული ლაბორატორია, სადაც საგაკვეთილო პროცესის დასრულების შემდეგ ნებისმიერ მოსწავლეს ან/და მასწავლებელს შეუძლია სკოლის კომპიუტერული ტექნიკის გამოყენება, როგორც საშინაო დავალებების შესასრულებლად, ისე პრეზენტაციების, ონლაინ ჟურნალში სამუშაოდ და ასევე ტრენინგების ჩასატარებლად. **3.6.1.2. ინდიკატორი არის დაკმაყოფილებული**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1.სკოლის კომპიუტერული ლაბორატორიით სარგებლობის წესი;
2.კომპიუტერული ტექნიკის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
3.სკოლის კომპიუტერული ტექნიკის გამოყენების გეგმა;

**3.6.2. სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი**
   სკოლას შემუშავებული აქვს საქმისწარმოების დებულება, რომელიც განსაზღვრავს სკოლაში საქმისწარმოების ორგანიზების სისტემას და ადგენს დოკუმენტებსა და მოქალაქეთა განცხადებებზე, წერილებზე მუშაობის წესს. საქმისწარმოებაზე პასუხისმგებელი პირია საქმისმწარმოებელი. მისი ფუნქციები განსაზღვრულია შრომითი ხელშეკრულებით. საქმისმწარმოებელი ელექტრონულად აღრიცხავს და არეგისტრირებს სასკოლო დოკუმენტაციას, ახორციელებს მოსწავლეების ჩარიცხვა-ამორიცხვას, უზრუნველყოფს სკოლის არქივის დაცვას, გასცემს დოკუმენტაციის დამოწმებული ასლს, ასევე უზრუნველყოფს საჯარო ინფორმაციის გაცემას, იღებს შემოსულ კორესპონდენციას, უზრუნველყოფს შემოსული კორესპოდენციის შესწავლასა და ადრესატისთვის წარდგენას და სხვა. ბრძანებები სისტემატიზებულია საკადრო და საერთო ბრძანებებად. ბრძანებები ინომრება წლიდან წლამდე, გამოცემის თარიღისა და რიგითობის მიხედვით. სკოლაში დოკუმენტების ელექტრონულ რეგისტრაციასთან ერთად მოქმედებს მატერიალური რეგისტრაციის ჟურნალებიც, რომლებიც დანომრილი, აკინძული, ბეჭედდასმული და ხელმოწერილი უფლებამოსილი პირის მიერ. **3.6.2.1 ინდიკატორი არის დაკმაყოფილებული**
2. **სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა**
   სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა (Eflow). სკოლაში eSchool-ს სისტემის მეშვეობით ხდება ბაზაში მოსწავლეთა მობილობის, სტატუსის შეჩერების, ჩარიცხვა-ამორიცხვის და დასაქმებული პერსონალის პერსონალური ინფორმაციის ასახვა. სკოლას აქვს ელექტრონული ფოსტა: samtredia1@mes.gov.ge, სადაც ხდება ზოგიერთი ინფორმაციის და დოკუმენტის მიიღება.**3.6.2.2 ინდიკატორი არის დაკმაყოფილებული**
3. **სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში**
   ვიზიტის მიმდინარეობისას, ექსპერტები გაეცნენ სკოლის პროფილს ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში. როგორც გაირკვა, სკოლას სრულად აქვს ასახული მონაცემები სკოლის ბარათზე. სრულყოფილია ინფორმაცია მასწავლებლების შესახებაც და ატვირთულია შესაბამისი მტკიცებულებები. სკოლის მიერ შერჩეული გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოების ნუსხა, ასევე ხელმისაწვდომია სკოლის პროფილზე. შესაბამისად **3.6.2.3.ინდიკატორი ინდიკატორი არის დაკმაყოფილებული**
   **4.სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან**
   როგორც უკვე აღინიშნა, სკოლა იყენებს დოკუმენტბრუნვის ელექტრონულ სისტემას. დაწესებულება სამტრედიის საგანმანათლებლო რესურსცენტრის შუამდგომლობის საფუძველზე, მიმართავს საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტროს, ასევე, სამინისტროს დაქვემდებარებაში არსებულ სხვადასხვა საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს.**3.6.2.4.ინდიკატორი არის დაკმაყოფილებული**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1.საქმისწარმოების დებულება;
2.დირექტორის ბრძანება „საქმისწარმოების დებულების დამტკიცების შესახებ “;
სკოლის სარეგისტრაციო ჟურნალების ნიმუშები;
3.Eschool -ის და Eflow - ვიზუალური დათვალიერება.

**3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით**
   სსიპ -სამტრედიის N 1 საჯარო სკოლის სახელზე შექმნილია ოფიციალური პროფილი შემდეგ მისამართზე: https://skolebi.emis.ge/ , სადაც სკოლას განთავსებული აქვს შესაბამისი ინფორმაცია და ის ასრულებს აქტიური საკომუნიკაციო საშუალების ფუნქციას. გარდა ამისა სკოლა საზოგადოებასთან კომუნიკაციისთვის აქტიურად იყენებს სოციალურ ქსელს, სადაც გახსნილი აქვს თავისი გვერდი და იძლევა წერილის მიწერის შესაძლებლობას, ასევე სკოლის ფოიეში განთავსებულია საინფორმაციო დაფა, სადაც მუდმივად ხდება სასკოლო ცხოვრებაში მიმდინარე სიახლეების გამოქვეყნება. დამრიგებლის მუშაობის დებულება განსაზღვრავს დამრიგებლის ვალდებულებას, მუდმივი კომუნიკაცია ჰქონდეს მოსწავლის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან და მიაწოდოს ყველა საჭირო ინფორმაცია მოსწავლის აკადემიური მოსწრების, დისციპლინისა და სასკოლო ცხოვრების შესახებ. **3.6.3.1. ინდიკატორი არის დაკმაყოფილებული.**

2. **სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას**
   ამისთვის, ამ ეტაპზე იყენებს ოფიციალურ ვებ.გვერდს (skolebi.emis.ge) სოციალურ ქსელს და სხვა საკომუნიკაციო საშუალებებს. სკოლის ფეისბუქ გვერდის დათვალიერებით, ჩანს რომ დაინტერესებული პირებისთვის მიწოდებული ინფორმაცია მოსწავლეებისთვის განკუთვნილი სასწავლო თუ შემეცნებითი ღონისძიებები, არის სანდო, რამდენადაც ყველა ინფორმაცია გავრცელებულია ოფიციალური გვერდიდან. **3.6.3.2. ინდიკატორი არის დაკმაყოფილებული.**

3. **საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად**

სკოლას აქვს ოფიციალური Facebook გვერდი, რომლის საშუალებითაც, კომენტარების სახით იღებს უკუკავშირს. გარდა ამისა, სამომავლოდ, სკოლა გეგმავს, გამოიყენოს სხვა საშუალებებიც და საზოგადოებისგან მიღებული უკუკავშირი გაანალიზოს და გამოიყენოს საკუთარი საქმიანობის გასაუმჯობესებლად. წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და სიტუაციის (სკოლის პირველადი ავტორიზაცია) ანალიზის შედეგად **3.6.3.3. ინდიკატორი არის დაკმაყოფილებული.**

**4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას**

როგორც უკვე აღინიშნა, სკოლის სახელზე შექმნილია ოფიციალური პროფილი. სკოლას ვებგვერდზე განთავსებული აქვს შესაბამისი ინფორმაცი და იგი ასრულებს აქტიური საკომუნიკაციო საშუალების ფუნქციას. **3.6.3.4. ინდიკატორი არის დაკმაყოფილებული.**

**5.ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა,ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია**

სკოლის ვებ-გვერდზე მოცემულია ინფორმაცია სკოლის მდებარების შესახებ, მოსწავლეთა რაოდენობა და ყველა ის ინფორმაცია, რომელსაც აღნიშნული ინდიკატორი ითვალისწინებს, გარდა სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგებისა. ავტორიზაციის ვიზიტის დროს, გაირკვა, რომ სკოლა გეგმავს აღნიშნული გეგმების შესრულების ანალიზსა და შემდეგ შედეგების გაზიარებას. წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზისა და სკოლის პირველადი ავტორიზაციის საფუძველზე, **3.6.3.5. ინდიკატორი არის დაკმაყოფილებული.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1.სკოლის ოფიციალური ვებ.გვერდის https://skolebi.emis.ge/ დათვალიერება;

2.სკოლის სოციალური ქსელის ვიზუალური დათვალიერება;

3.სკოლის შენობის ვიზუალური დათვალიერება;

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**3.7. ფინანსური რესურსები**
**3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება**
სკოლა უზრუნველყოფილია შესაბამისი ფინანსური რესურსით. სკოლის დაფინანსების ძირითადი წყაროა ვაუჩერული დაფინანსება. გარდა ამისა, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო სკოლას ურიცხავს სსსმ მოსწავლეებისათვის განკუთვნილ ფულად სახსრებს, მასწავლებელთა დანამატს. თანხის განკარგვა მიზნობრივია და სრულად ხმარდება სკოლის ინფრასტრუქტურის განვითარებას, სწავლა-სწავლების პროცესს და სკოლის განვითარებისაკენ მიმართულ სხვა აქტივობებს/ღონისძიებებს.ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით შეიძლება ითქვას ,რომ სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება **3.7.1.1. ინდიკატორი ინდიკატორი არის დაკმაყოფილებული.**

2. **სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა**
კერძოდ, სკოლის შესყიდვები ხორციელდება სკოლის მიერ დამტკიცებული სახელმწიფო შესყიდვების წლიური გეგმის შესაბამისად. შესყიდვების საფუძველს წარმოადგენს სკოლის მატერიალურ ტექნიკური კოორდინატორის მიმართვა, რომელსაც კათედრები აწვდიან ინფორმაციას მათთვის საჭირო ინვენტარის თაობაზე. სკოლა ყოველწლიურად ამტკიცებს სკოლის ბიუჯეტს სამეურვეო საბჭოს სხდომაზე. წლის ბოლოს დგება ფინანსური ანგარიშგების დოკუმენტი, სადაც დეტალურად არის აღწერილი წლის განმავლობაში შემოსული და გახარჯული ფინანსური სახსრები. **3.7.1.2. ინდიკატორი ინდიკატორი არის დაკმაყოფილებული.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*
1.საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს ოქმი ბიუჯეტის დამტკიცებაზე;

2.საჯარო სკოლის დირექტორის ბრძანება
3.საჯარო სკოლის 2024 წლის სახელმწიფო შესყიდვების წლიური გეგმის დამტკიცების შესახებ“;
4.საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს ოქმი ფინანსური საქმიანობის ანგარიში;
………………………………………………………………………………

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**4. მოსწავლეთა მხარდაჭერა**
**4.1. მოსწავლეთა უფლებების დაცვა**
**4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა**
 სკოლაში მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვას და გარანტიებს უზრუნველყოფს სკოლის შინაგანაწესი, რომელშიც გაწერილია მოსწავლეთა უფლებები და მოვალეობები, მასწავლებელთა და მოსწავლეთა ეთიკის კოდექსი, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და წესრიგის დაცვის წესი და პირობები. სკოლას ასევე შემუშავებული აქვს სხვადასხვა მარეგულირებელი დოკუმენტი: „მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერის წესი“, „გასაჩივრებისა და საჩივრის განხილვის წესი“, „სკოლის მოსწავლის, მათი მშობლის / კანონიერი წარმომადგენლის და პერსონალის კანონიერი უფლებები დაცვისა და გასაჩივრების მარეგულირებელი დოკუმენტი“. **4.1.1.1. ინდიკატორი არის დაკმაყოფილებული.**

2. **მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან**

სასკოლო რეგულაციების გამჭვირვალობაზე მეტყველებს სკოლაში თვალსაჩინო ადგილას გამოკრული შინაგანაწესი. გარდა ამისა, სკოლას ვებ გვერდზე ატვირთული აქვს აღნიშნული მიმართულებით დოკუმენტაცია. მშობლებთან, მოსწავლის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია ხელშეკრულებები. ასევე, კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციების შესახებ ინფორმაციის გაზიარება ხდება საკლასო / მშობელთა კრებებზე. **4.1.1.2. ინდიკატორი არის დაკმაყოფილებული.**

3. **მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება**

სკოლასა და მოსწავლის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია ხელშეკრულება. ხელშეკრულებაში გაწერილია სკოლის ვალდებულებები, მშობლისა და მოსწავლის უფლება-მოვალეობები. **4.1.1.3. ინდიკატორი არის დაკმაყოფილებული.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1.სკოლის შინაგანაწესი;

2.დამრიგებლის დებულება;

3.მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის და მასწავლებლის/სხვა დასაქმებულის ძირითადი უფლებები და თავისუფლებების აღმწერი დოკუმენტი;

4.სასკოლო სასწავლო გეგმა 2024-2025;

5. მშობელთა კრების ოქმი შინაგანაწესის გაცნობაზე;
6. ისგ ჯგუფის შექმნის ბრძანება;
7.მოსწავლის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული ხელშეკრლება;
8. ინდ გეგმა;
9. ბრძანება N2-49 ,, სსიპ ქალაქ სამტრედიის N1 საჯარო სკოლის მოსწავლის ტრანზიციის გეგმა დამტკიცების შესახებ“;
10. სსსმ მოსწავლის ინდივიდუალური ტრანზიციის გეგმა;
11. ბრძანება N2-317 ,,სსიპ-ქალაქ სამტრედიის N1 საჯარო სკოლის მოსწავლის, პერსონალის, მშობლისკანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის წესის დამტკიცების შესახებ“;
12. ბრძანება N2-258 ,, სსიპ -ქალაქ სამტრედიის N1 საჯარო სკოლაში სსსმ მოსწავლისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის

შემუშავების მიზნით სამუშაო ჯგუფის(ისგ) შექმნის შესახებ“;
13. ბრძანება N2-46,, სსიპ ქალაქ სამტრედიის მოსწავლეთა თვითმმართველობის დებულების დამტკიცების შესახებ“;
14. მრჩეველთა საბჭოს ოქმი;

**4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები**
   საჯარო სკოლაში მოსწავლეთა ჩარიცხვა და მობილობა რეგულირდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 11 იანვრის №04/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლის ჩარიცხვისა და მოსწავლის სტატუსის შეჩერების წესის შესაბამისად. სკოლამ ვიზიტის დროს დამატებით წარმოადგინა ბრძანებით დამტკიცებული მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები. **4.1.2.1. ინდიკატორი ინდიკატორი არის დაკმაყოფილებული.**

2. **სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს**
   სკოლა იცავს მოსწავლეთა ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს, რაც დასტურდება ელექტრონული ბაზებითა და მოსწავლეთა პირადი საქმეებით.**4.1.2.2. ინდიკატორი არის დაკმაყოფილებული.**
   **3.სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი**
   სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურებებისა სახეები, პროგრამები, შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია მოცემულია სკოლის ვებ-გვერზე. **4.1.2.3. ინდიკატორი არის დაკმაყოფილებული.**
   **4.სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული**
   სკოლას ჰყავს ინფორმაციის გავრცელებაზე პასუხისმგებელი პირი, რომელსაც ინფორმაციას აწვდიან, სკოლის საზოგადოების ოფიციალური პირები, დირექცია, კლასის დამრიგებლები, საგნის მასწავლებლები. შესაბამისად გავრცელებული ინფორმაცია არის კანონიერი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული. **4.1.2.4. ინდიკატორი არის დაკმაყოფილებული.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1.პედაგოგიური საბჭოს ოქმი საშუალო საფეხურის დაძლევაზე;

2.ბრძანება N2-93 ,,სსიპ -ქალაქ სამტრედიის N1 საჯარო სკოლის მოსწავლეთა საშუალო საფეხურის დაძლევის შესახებ “;

3. 2-307,,სსიპ-ქალაქ სამტრედიის N1 საჯარო სკოლის I გ კლასში მიხეილ გაბედავას ჩარიცხვის შესახებმოსწავლის სტატუსის შეჩერების ბრძანება;

4.ბრძანება N2-10 ,,სსიპ ქალაქ სამტრედიის N1 საჯარო სკოლის სკოლის მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ“

5.ბრძანება N2-43 ,, სსიპ ქალაქ სამტრედიის N1 საჯარო სკოლის მოსწავლეთა კლასიდან კლასში გადაყვანის შესახებ „

6.მშობელთა კრების ოქმი V კლასში მეორე უცხო ენის არჩევაზე.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები**
**4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი**

სკოლას შემუშავებული აქვს მოსწავლის ტრანზიციის გეგმა. სადაც გამოკვეთილია შემდეგი ასპექტები: ტრანზიციის პროცესის კოორდინატორი, ტრანზიციის პროცესში ჩართული პირები და მათი ფუნქცია-მოვალეობები და ის გზები, რომელთა გამოყენებითაც

ხდება მოსწავლის ახალ გარემოსთან ადაპტაცია. ტრანზიციის გეგმაში წარმოდგენილია სკოლის მიერ დაგეგმილი ნაბიჯები და აქტივობები პირველკლასელთა გარემოსთან ადაპტაციისთვის. **4.2.1.1. ინდიკატორი არის დაკმაყოფილებული.**

2. **სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან**

სკოლას აქვს შესაბამისი ინფრასტრუქტურა, ლაბორატორიები, ბიბლიოთეკა, რესურს ოთახი, ასევე შემუშავებული აქვს მოსწავლის ტრანზიციის გეგმა. გასათვალისწინებელია, რომ სკოლა გადის პირველად ავტორიზაციას, გამომდინარე აქედან, ვიზუალური დათვალიერებითა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზით, **4.2.1.2. ინდიკატორი არის დაკმაყოფილებული.**

3. **მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად**

   სკოლა მოსწავლეს/ მშობელს / კანონიერ მეურვეს რეგულარულად, ინდივიდუალურად აწვდის მოსწავლის შესახებ განმავითარებელ შეფასებას. მასწავლებლის მიერ გამოყენებული განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება ხელმისაწვდომია, როგორც მოსწავლისთვის ასევე მისი მშობლისათვის / კანონიერი მეურვისათვის, ელექტრონული ჟურნალის საშუალებით. სკოლის მხრივ უკუკავშირი გაიცემა წერილობით, ნაბეჭდი სახითაც. გარდა ამისა, აღნიშნული მიმართულებით, საჭიროების შემთხვევაში, საგნის მასწავლებლები სხვადასხვა საკონსულტაციო შეხვედრას მართავენ მოსწავლეებთან. **4.2.1. ინდიკატორი არის დაკმაყოფილებული.**

4. **სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით**

   სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში განსაზღვრულია მოსწავლისთვის ადმინისტრაციული მხარდაჭერის მექანიზმები. გარდა ამისა, დამრიგებელი წლის დასაწყისში ყველა მოსწავლესა და მშობელს აცნობს სასკოლო დოკუმენტაციას, კანონმდებლობას და შესაბამისად, საჭიროების შემთხვევაში გონივრულ ვადაში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას. **4.2.1.4. ინდიკატორი არის დაკმაყოფილებული.**

5. **სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას**

   სკოლას შემუშავებული აქვს მოსწავლის ინიციატივების მხარდაჭერის წესი. აღნიშნული დოკუმენტი მოიცავს, მოსწავლეთა ინიციატივის მხარდაჭერის, მიღებისა და ხელშემწყობ მექანიზმებს. გარდა ამისა, სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს სხვადასხვა კლუბს, როგორიცაა CineDOC-ქვეში, საბუნებისმეტყველო კლუბი, კლუბი ,,წიგნიერი'', ფრანგული კლუბი და ა.შ. **4.2.1.5. ინდიკატორი არის დაკმაყოფილებული.**

6. **მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას**

   სკოლაში მოქმედ კლუბებს შემუშავებული აქვს სხვადასხვა სახის კითხვარი და პერმანენტულად ატარებს ანონიმურ გამოკითხვებს. რომლის საშუალებითაც იგებს მოსწავლის საჭიროებებს და შემდეგ მიღებული ინფორმაციის საფუძველზე აკეთებს ანალიზს და აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას. წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზისა და სკოლის პირველადი ავტორიზაციის საფუძველზე

**4.2.1.6. ინდიკატორი არის დაკმაყოფილებული.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1. დამრიგებლის სამუშაო დებულება;
2. სადამრიგებლო პროგრამები;
3. მოსწავლის სასკოლო გარემოსთან ადაპტაციის წესის
4. კლუბის დებულება.

**4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის**

   სკოლას გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯთან, რომლის ფარგლებშიც,საბაზო საფეხურის მოსწავლეები გაეცნენ კოლეჯში სწავლების სპეციფიკას. სკოლამ ასევე გააფორმა თანამშრომლობის მემორანდუმი კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტთან, მოსწავლეები სტუმრობდნენ თავად უნივერსიტეტს, სადაც გაეცნენ უნივერსიტეტში სწავლების სპეციფიკასა და ინფრასტრუქტურას. დამამთავრებელი კლასის მოსწავლეებს სტუმრობენ სხვადასხვა უნივერსიტეტები (სეუ, სდასუ, კადეტთა სამხედრო ლიცეუმი, კავკასიის უნივერსიტეტი, ალტე) თავიანთი პროგრამების პრეზენტაციებისთვის. საშუალო საფეხურის მოსწავლეები ხშირად სტუმრობენ კიუ-ს, სადაც ისმენენ ლექციებს სხვადასხვა თემაზე და ეცნობიან უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურას. სკოლა უკვე წლებია თანამშრომლობს სსიპ - **ვლადიმირ კომაროვის თბილისის ფიზიკა-მათემატიკის N199** საჯარო სკოლასთან. გაფორმებული მემორანდუმის საფუძველზე სკოლაში ფუნქციონირებს საშაბათო სკოლის ფილიალი, სადაც სწავლობენ დაწყებითი კლასის მოსწავლეები ახლომდებარე რაიონებიდანაც. დამრიგებლები რეგულარულად ატარებენ კლასის საათებს კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის ხელშესაწყობად. მიმდინარე სასწავლო წელს X კლასში მოწვეული ჰყავდათ სხვადასხვა პროფესიის წარმომადგენლები, რომლებმაც ისაუბრეს თავიანთ პროფესიაზე, უპასუხეს მოსწავლეთა კითხვებს. **4.2.2.1.ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. **სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით**

აღნიშნული მიმართულებით აქტიურად ჩართულები არიან კლასის დამრიგებლები და ისინი პერმანენტულად აწვდიან ინფორმაციას აღნიშნულის შესახებ მოსწავლეებს, მათი ინტერესიდან და საჭიროებიდან გამომდინარე. ინფორმაცია ასევე ვრცელდება სკოლის

სოციალურ გვერდებზე და საკლასო შეხვედრებზე. წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზისა და სკოლის პირველადი ავტორიზაციის საფუძველზე, **4.2.2.2. ინდიკატორი არის დაკმაყოფილებული.**

3. **სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს**
   აღნიშნული მიმართულებით სკოლას შემუშავებული აქვს პროფესიული ორიენტაციის დაგეგმვისა და კონსულტირების გაწევის წესი. სკოლა პროფორიენტაციის მომსახურების გაუმჯობესების დაგეგმის პროცესში ითვალისწინებს მოსწავლეთა შეფასების შედეგებს. სკოლის მოსწავლეები დაარეგისტრირა სხვადასხვა პროფესიულ კურსებზე, სადაც მოსწავლეებმა შეისწავლეს მათთვის საინტერესო საქმე. მათი უკუკავშირი მნიშვნელოვანი იყო სკოლისათვის. **4.2.2.3. ინდიკატორი არის დაკმაყოფილებული.**
   დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1.სარკინიგზო კოლეჯთან გაფორმებული მემორანდუმი

2.,,კსუ“-სთან გაფორმებული მემორანდუმი

3.სსიპ **- ვლადიმირ კომაროვის თბილისის ფიზიკა-მათემატიკის N199 საჯარო** სკოლასთან გაფორმებული მემორანდუმი

4.სადამრიგებლო გეგმები

5.კლასის საათზე წარდგენილი პრეზენტაცია პროფესიების გაცნობასთან დაკავშირებით

6.სილამაზის სალონთან გაფორმებული მემორანდუმი

**4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი**
   სკოლას, ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად, სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმები და ასევე მოსწავლეთა სირთულის პირველადი მართვის მექანიზმები, რომელიც შესაბამისობაშია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის N16/ნ ბრძანებასთან. სკოლაში დასაქმებულია სპეციალური მასწავლებელი, შექმნილია ინკლუზიური განათლების დანერგვის მონიტორინგის ჯგუფი. ვიზიტის პერიოდში სკოლას ჰყავს სსსმ მოსწავლეები (32 სსსმ მოსწავლე, მათ შორის 2 შინ სწავლებაზე). სკოლაში აქტიურად მოქმედებს ინდივიდუალურ გეგმაზე მომუშავე

გუნდი. შესაბამისად მათ აქვთ საჭიროებას მორგებული გეგმები და შეხვედრების ოქმები. **4.2.3.1. ინდიკატორი არის დაკმაყოფილებული.**

2. **სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს**

   სკოლას აქვს ორი რესურსოთახი, ჰყავს 5 სპეციალური მასწავლებელი და 9 სსსმ პირის ასისტენტი. სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრულია ისგ ჯგუფის ფორმირება. ისგ ჯგუფის მუშაობა ეფუძნება მასწავლებელთა და მშობლის ერთობლივ საქმიანობას. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლეთა სირთულის პირველადი მართვის მექანიზმები, რომელიც ასევე მასწავლებელთა მხრიდან მოსწავლის სირთულის ერთობლივად დაძლევაზეა დაფუძნებული. სსსმ მოსწავლის / მოსწავლეების საჭიროებების მიხედვით შექმნილია ინდივიდუალური გეგმები. აღნიშნული მოსწავლეები აქტიურად ჩართულები არიან სასკოლო ღონისძიებებში და სასკოლო ცხოვრებაში. **4.2.3.2ინდიკატორი არის დაკმაყოფილებული.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- ბრძანება N2-222 ,, ქალაქ სამტრედიის #1 საჯარო სკოლის ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“
- ბრძანება N2-223 ,, სსიპ -ქალაქ სამტრედიის N1 საჯარო სკოლაში ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგის ჯგუფის შექმნის შესახებ“
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმა
- ინდივიდუალური ტრანზიციის გეგმები

**4.2.4. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით.** ***აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.***

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურება და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

   ამ ეტაპზე სკოლა მოსწავლეებს დამატებითი მომსახურებას არ სთავაზობს, **შესაბამისად ინდიკატორი 4.2.4.1. ვერ შეფასდება;**

2. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას**

   ამ ეტაპზე სკოლა მოსწავლეებს დამატებითი მომსახურებას არ სთავაზობს, **შესაბამისად ინდიკატორი 4.2.4.2. ვერ შეფასდება;**

3. **შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს**

   ამ ეტაპზე, სკოლას არ აქვს არც დამატებითი მომსახურეობა და არც იჯარით გაცემული ფართი. მომავლისათვის დაგეგმილი ყველა დამატებითი მომსახურეობა იქნება მოსწავლის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით.

   **შესაბამისად ინდიკატორი 4.2.4.3. ვერ შეფასდება;**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

……………………………………………………………………………

……………………………………………………………………………

……………………………………………………………………………

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

# ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

## I. ავტორიზაციის მეორე სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

**ცხრილი ივსება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე**

| სტანდარტი 2 | ექსპერტთა ჯგუფის შეფასება<br>*(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* |
|---|---|
| **სასკოლო კურიკულუმი**<br>ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური | **☒ შეესაბამება**<br>**☐ მეტწილად შეესაბამება**<br>**☐ ნაწილობრივ შეესაბამება**<br>**☐ არ შეესაბამება** |
| **კომპონენტი 2.1**<br>კურიკულუმის შემუშავება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.2**<br>კურიკულუმის განხორციელება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.3**<br>კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.4** | ☒ შეესაბამება |

| | |
|---|---|
| კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია | ☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **სტანდარტი 2** | **ექსპერტთა ჯგუფის შეფასება**<br>*(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* |
| **სასკოლო კურიკულუმი**<br>ზოგადი განათლების საბაზო საფეხური | ☒ **შეესაბამება**<br>☐ **მეტწილად შეესაბამება**<br>☐ **ნაწილობრივ შეესაბამება**<br>☐ **არ შეესაბამება** |
| **კომპონენტი 2.1**<br>კურიკულუმის შემუშავება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.2**<br>კურიკულუმის განხორციელება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.3**<br>კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.4**<br>კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **სტანდარტი 2** | **ექსპერტთა ჯგუფის შეფასება**<br>*(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* |
| **სასკოლო კურიკულუმი**<br>ზოგადი განათლების საშუალო საფეხური | ☒ **შეესაბამება**<br>☐ **მეტწილად შეესაბამება** |

| | |
|---|---|
| | **☐ ნაწილობრივ შეესაბამება**<br>**☐ არ შეესაბამება** |
| **კომპონენტი 2.1**<br>კურიკულუმის შემუშავება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.2**<br>კურიკულუმის განხორციელება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.3**<br>კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.4**<br>კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

## II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

*ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის იწერება გაერთიანებული სახით. ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის იდენტიფიცირება ხდება, მაშინ როდესაც იწერება ხარვეზი/რეკომენდაცია/რჩევა.*

### 2. სასკოლო კურიკულუმი
### 2.1. კურიკულუმის შემუშავება
### 2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას**

   სსიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის N1 საჯარო სკოლამ სასწავლო წლის ბოლოს შეიმუშავა სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტი, რომელიც მოიცავს კურიკულუმის განვითარების პროცესსა და ეტაპებს: კერძოდ, კურიკულუმის შემუშავების, დანერგვის, მონიტორინგის, შეფასების ეტაპსა და რევიზიას. მეთოდოლოგიის დოკუმენტიდან, ასევე სკოლის თვითშეფასების კითხვარის მიხედვით ირკვევა, რომ კურიკულუმის შემუშავების პროცესში ჩართულია სასკოლო საზოგადოების წევრები: მასწავლებლები, მოსწავლეები და მშობლები. გათვალისწინებულია მათი ინტერესები, შესაძლებლობლები. კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტში წარმოდგენილია მასწავლებლების ზოგადი ფუნქციები და მოვალეობები. ამავე დოკუმენტში ჩანს, კათედრის თავჯდომარის, კათედრის, დირექციის როლი სამუშაო პროცესში. დოკუმენტი ასევე ითვალისწინებს შუალედურ სასწავლო მიზნებზე მსჯელობას. ითვალისწინებს ასევე, საგანთა ინტეგრირების ეფექტურობის და მოსწავლეთა ცოდნის გამოვლენის ფორმების შესახებ მსჯელობას, ინკლუზიურ სასწავლო გარემოს, სასწავლო რესურსების შესახებ ინფორმაციას, რომელიც წინა წელს იქნა გამოყენებული. სკოლას გააზრებული აქვს მშობელთა ჩართულობის მნიშვნელობა, როგორც მოსწავლეთა სწავლის ხარისხის, ასევე ფსიქო-ემოციური განვითარების კუთხით.

   მასწავლებლებთან ინტერვიუების საფუძველზე ირკვევა, რომ კურიკულუმის შემუშავების პროცესის ნაწილი იყო კათედრებზე მასწავლებლების მიერ ინდივიდუალური ხედვის წარდგენა, კოლეგებთან ერთად განხილვა, უკუკავშირი, ასევე სასკოლო საზოგადოების სხვა წევრებთან. რამდენიმე შემთხვევაში მშობლებთან და მოსწავლეებთან კონცეპტუალური იდეების განხილვა, გამოწვევებისა და შესაძლებლობების იდენტიფიცირების მიზნით. მასწავლებლებმა თითო საფეხურსა თუ საფეხურის შესაბამის კლასში გასავლელი თემების არჩევისას, გაითვალისწინეს თავიანთი მოსწავლეების შესაძლებლობები, სახელმძღვანელოში მოცემული თემებიდან აიჩიეს მოსწავლეებისათვის საინტერესო შინაარსები რათა მეტად მამოტივირებელი გამხდარიყო სასწავლო პროცესი. სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმიდან ჩანს, რომ არაფორმალური განათლების საშუალებით მიმდინარეობს

სასკოლო საზოგადების ინტერესების გააქტიურება და განხორციელება. სკოლის მიერ წინა წლებში მშობელთა და სხვა დაინტერესებულ პირთა თანამშრომლობით განხორციელდა არაერთი პროექტი.
სასკოლო დოკუმენტში სათანადო ადგილი აქვს დათმობილი მშობელთა ჩართულობას და თანადგომას. მომავალში პედაგოგები გეგმავენ სწავლა -სწავლების პროცესში დაკვირვებას და გაანალიზებას მშობლებთან ერთად, შედეგად გამოკვეთილი საინტერსო მიგნებები და გამოცდილებები დანერგონ სასკოლო ცხოვრებაში, გაითვალისწინონ მოსწავლეთა ასაკი და პიროვნული თავისებურებები, სასკოლო საზოგადოების ყველა რგოლის ინტერესები, შესაძლებლობები, საჭიროებები და ასახონ ფორმალურ და არაფორმალურ განათლებაში.
სკოლის კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიით და დირექციასთან ინტერვიურებისას დავინახეთ, რომ მათ გათავისებული აქვთ თავიანთი როლი სკოლის საქმიანობაში; სასაწავლო გარემოს კეთილგანწყობა, თანამშრომლობითი ურთიერთობის დამყარება მასწავლებლებთან, მოსწავლეებთან და სხვა დაინტერსებულ პირებთან, პედაგოგიურ პრაქტიკის კვლევა, კურიკულუმის შესახებ ინფორმირება საზოგადოების წევრებს, საჭიროების შემთხვევაში პასუხისმგებლობების დელეგირება დახმარებისათვის სხვადასხვა პედაგოგებს, უხელმძღვანელონ ხარისხის მართვის პროცესს, გაამთლიანონ კათედრის ხელმძღვანელების მოწოდებული მასალები სასწავლო პროცესის მიმდინარეობასთან დაკავშირებით, კურიკულუმის სასკოლო საჭიროებების მიზნობრივობის ანალიზი და სხვ.
სასკოლო კურიკულუმის დოკუმენტისათვის მიმდინარე პროცესების თვალყურის დევნება და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ ნაწილს. კურიკულუმის განვითარების პროცესის ნაწილია იმის აღწერა, თუ: - რამდენად განხორციელდება პროცესები დაგეგმილი ჩარჩოს ფარგლებში (მონიტორინგი); - რამდენად მოიტანს დაგეგმილ აქტივობებს სასურველი შედეგი (შეფასება) სასკოლო კურიკულუმის დანერგვის მონიტორინგის წარმოებისთვის სკოლის დირექცია, მხარდაჭერის მიზნით, უზრუნველყოფს სასწავლო პროცესზე დაკვირვებას. დოკუმენტში მთავარი აქცენტი კეთდება იმაზე, თუ რამდენად ხორციელდება საკლასო ოთახში დაგეგმილი კომპლექსური დავალებები და რამდენად ხდება მოსწავლეების შეფასება/მხარდაჭერა ამ დავალებებზე მუშაობის პროცესში.
აღნიშნულიდან გამომდინარე, კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
აქვე აღვნიშნავთ, რომ სკოლამ 2024-2025 სასწავლო წლის ბოლოს შეიმუშავა ,,სასკოლო კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია“ და ,, სკოლის სასკოლო- სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმი“. მათ აქვს მზაობა მომავალი სასწავლო წლისათვის სასკოლო კურიკულუმი შეადგინონ თანამედროვე მოთხოვნების დონეზე. არსებული სასკოლო სასწავლო გეგმის, საგნობრივი კათედრის სხდომების ოქმების, სასწავლო წლის საბოლოო ანგარიშის დაკვირვების საფუძველზე მომავალი სასწავლო წლის სასკოლო კურიკულუმის პრაქტიკულად გაწერის დროს სასურველია გათვალისწინებულ იქნას **რჩევა;**
ა) სასკოლო კურიკულუმის პრაქტიკული ვარიანტის შემუშავებისას მეტი ყურადღება მიაქციონ საგანმანათლებლო პარადიგმის რეალიზებასთან დაკავშირებულ გამოწვევებს სკოლის ინსტიტუციურ განვითარების მესაბამისად;

ბ) მოხდეს სასკოლო კურიკულუმის დაგეგმვის შეფასების კრიტერიუმების/ინდიკატორების დეტალური გაწერა, რომლითაც შეფასდება თუ რამდენად სწორად, გამართულად დაიგეგმა სასკოლო კურიკულუმი;

გ) სკოლის პრიორიტეტების, სასკოლო თემის მოლოდინების, ადგილობრივი ხელმისაწვდომი რესურსების გათვალისწინებით სკოლის ფილოსოფიისა და ხედვის შესაბამისი განხორციელებული აქტივობების არსის შესახებ, რომლებიც გათავისებულია აქვს სკოლას სასკოლო კულტურის შემადგენელ ნაწილად, ნარატივის სახით აღიწეროს კურიკულუმის კონცეპტუალურ ნაწილში;

დ) გასული სასწავლო წლის, სკოლის ,,სასკოლო სასწავლო გეგმა“-ში, თავი ,,ძირითადი მეთოდიკური ორიენტირები“, რიგი ორიენტირები ზოგადი სახითაა გაწერილი, სასურველია ისინი, სკოლის ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებული, კონკრეტული შინაარსით გაწერილ იქნას მომავალ სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმაში;

**2.1.1.1. ინდიკატორი არის დაკმაყოფილებული.**

**2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები**

სსიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის N1 საჯარო სკოლის სასკოლო კურიკულუმის შემუშავება ხდება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად და კურიკულუმის განვითარებაში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლებისა ინტერესებს. კურიკულუმის შექმნის პროცესში მასწავლებლები ითვალისწინებდნენ გასულ სასწავლო წლის მოსწავლეთა შედეგებს, სხვადასხვა პროექტის განხორციელების დროს გამოკვეთილ მოსწავლეთა საჭიროებებს, ინტერსებს, სურვილებს, მასწავლებელთა მიგნებებს, პრობლემებს. კათედრის სხდომებზე ხდება წინა წლის გამოცდილების გაზიარება, კათედრათა შორის იმ სასწავლო თემების გამოკვეთა, რომელთა ინტეგრირება დაეხმარება მოსწავლეს ამ თემის სიღრმისეულად გაგებაში, ასევე მსჯელობა იმ საკითხებზე, რომელზეც მეტი საზოგადოებრივი ინტერესი იკვეთება.

კურიკულუმის შემუშავებისას სხვადასხვა კათედრა ერთმენეთთან კომუნიკაციის საფუძველზე გეგმავს კომპლექსური დავალებების რაოდენობას. საგნობრივი კურიკულუმები შემუშავებულია საგნის მასწავლებლების მიერ კოლეგებთან, რიგ შემთხვევაში მშობლებთან თანამშრომლობით, მოსწავლეების ინტერესების, შესაძლებლობების გათვალისწინებით, რაც დადგინდა მათთან ინტერვიუს საშუალებით. მასწავლებლებთან გასაუბრებით დადასტურდა, რომ ისინი ცდილობენ პოზიტიური, სასკოლო საზოგადოების მხარდაჭერაზე ორიენტირებული სასკოლო კულტურის შექმნას, მოსწავლეზე ორიენტირებული, საფეხურის პროგრამების კურიკულუმში ასახვას, მოსწავლის სწავლის შედეგების ანალიზს, განმავითარებელი შეფასების სისტემის დახვეწას, არაფორმალური განათლების ხელშეწყობას, გეგმავენ მშობელთა ინფორმირებას თუ რისი სწავლა უწევთ მათ შვილებს. სკოლას გააზრებული აქვს საზოგადოების ჩართულობის და თანამშრმლობის მნიშვნელობა.

კურიკულუმებში ასახულია სასკოლო თემის, დაინტერესებული მხრის ინტერესები, შესაძლებლობები და პრიორიტეტები. შემუშავების პროცესში გათვალისწინებულ იქნა აგრეთვე რეგიონის შესაძლებლობები, პრიორიტეტები და ინტერესები, რაც დადგინდა ინტერვიურების საშუალებით.

სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების კითხვარიდან ჩანს, რომ არაფორმალური განათლების საშუალებით მიმდინარეობს სასკოლო საზოგადების ინტერესების გააქტიურება და განხორციელება. სასკოლო საზოგადოება გეგმავსა და ახორციელებს სხვადასხვა მიმართულების სასკოლო პროექტებს, მათ შორის თემის საჭიროებიდან გამომდინარე სოციალურ პროექტებს. მსგავსმა აქტივობებმა ხელი

შეუწყო სასკოლო საზოგადოების დაახლოებას. მომავალში პედაგოგები გეგმავენ სწავლა -სწავლების პროცესის დაკვირვების და გაანალიზების შედეგად გამოკვეთილი საინტერსო მიგნებები და გამოცდილებები უფრო აქტიურად დანერგონ სასკოლო ცხოვრებაში, გაითვალისწინონ მოსწავლეთა ასაკი და პიროვნული თავისებურებები, სასკოლო საზოგადოების, თემის, დაინტერესებული პირების ყველა რგოლის ინტერესი, შესაძლებლობზები, საჭიროებები და ასახონ ფორმალურ და არაფორმალურ განათლებაში. აღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ჩაითვალოს, რომ **2.1.1.2. ინდიკატორი ინდიკატორი არის დაკმაყოფილებული.**

3. **კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

სსიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის N 1 საჯარო სკოლამ წარმოადგინა 2024-2025 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა, რომელიც შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ, შეთანხმებულია სამეურვეო საბჭოსთან და დამტკიცებულია პედაგოდიური საბჭოს სხდომაზე. სკოლის კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტში გაწერილია, რომ სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისას სკოლა ითვალისწინებს საზოგადოების ინტერესებს, შეხედულებებს, შესაძლებლობებსა და პრიორიტეტებს. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლითა და სკოლაში ვიზიტისას მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ კურიკულუმის შემუშავებაში ძირითადად არიან ჩართული მასწავლებლები, რომელთაც ფასილიტაციას უწევს სკოლის დირექცია. გააზრებული აქვთ, რომ კურიკულუმის შემუშავება ციკლური პროცესია და მასში ჩართულობა გულისხმობს მთელი წლის მანძილზე მიმდინარე პროცესებში თანამონაწილეობას. კურიკულუმის მიმდინარე ვერსია, რომელიც სკოლამ ავტორიზაციის პროცესში წარმოადგინა, გასაუბრებით დადასტურდა, რომ არის გაზიარებული და შეთანხმებული. საგნობრივი კურიკულუმების შემუშავებისას კათედრები ერთობლივად გეგმავენ სკოლაზე და მოსწავლეებზე ორიენტირებულ აქტივობებს, ითვალისწინებენ თავინთი მოსწავლეების სურვილებსა და სახელმძღვანელოში მოცემული თემებიდან ირჩიევენ მოსწავლეებისათვის საინტერესო მასალას, რათა მეტად მამოტივირებელი გახდეს სასწავლო პროცესი. კურიკულუმის შემუშავებისას, მასწავლებლებმა გაითვალისწინეს კოლეგების შესაძლებლობები, რაც გულისხმობს იმას, რომ თითოულ საფეხურზე თუ შესაბამის კლასში კომპლექსურ დავალებების რაოდენობების შერჩევისას გააანალიზეს კოლეგების მზაობა ამ დავალებების განსახორციელებლად. გაითვალისწინეს ის, რომ სასწავლო პროცესი დაძლევადი ყოფილიყო თავად მასწავლებლებისათვისაც რათა ამ პროცესში არ დაზარალებულიყო მოსწავლის ინტერესი და საჭიროება. ამასთან ერთად, თემებისა და საკითხების შერჩევისას, გარდა მოსწავლეებთან კომუნიკაციისა, კოლეგებმა ერთად შეაჯერეს და აირჩიეს ის თემები და საკითხები, რაც შესაძლებლობას მისცემდა უკეთ და მეტად ეფექტურად მიეღწიათ სტანდარტით განსაზღვრული საფეხურის შედეგებისათვის. ასევე, ერთობლივად შეთანხმდნენ ძირითად და დამხმარე რესურსებზე და შეფასების ინსტრუმენტებზე.

როგორც ინტერვიუმ აჩვენა, კათედრებზე პასუხისმგებლობების დელეგირება მოხდა თანაბრად და ეფექურად. პედაგოგებმა აღნიშნეს, მომდევნო სასწავლო წლისთვის კიდევ უფრო მეტად გააძლიერებენ სასკოლო საზოგადოების ყველ რგოლის ჩართვას შემუშავების პროცესში და უფრო მეტად გამოკვეთენ მოსწავლეთა ინტერესებს და შესაძლებლობებს სწავლა- სწავლების პროცესში. კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგიაზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ მასწავლებლები და სკოლის ადმინისტრაცია კურიკულუმის შემუშავების დროს მეტად გაითვალისწინებს განვლილი სასწავლო წლის შედეგებს აღწერენ და

კოლეგებს გაუზიარებენ ინფორმაციას თითოეული მოსწავლის მიღწევებთან დაკავშირებით, მონაწილეობას მიიღებენ კათედრის წევრებთან ერთად სასწავლო პროცესის ძლიერი და სუსტი მხარეების გაანალიზებაში.

სკოლა აღნიშნავს, რომ სამომავლოდ, 2025-2026 სასწავლო წელს, გეგმავს კურიკულუმის შემუშავების პროცესში მეტად ჩართოს ყველა დაინტერესებული მხარე. აღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ჩაითვალოს, რომ **2.1.1.3. ინდიკატორი არის დაკმაყოფილებული.**

4. **კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

სსიპ სამტრდიის მუნიციპალიტეტის N1 საჯარო სკოლის კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია განსაზღვრავს სასკოლო კურიკულუმთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირებისთვის და მათი მხრიდან უკუკავშირის მისაღებად სხვადასხვა საკომუნიკაციო არხების გამოყენებას. კერძოდ, ელექტრონული ფოსტა, დოკუმენტების ელექტრონული ბრუნვის სისტემა, სოციალური მედია, ბეჭვდითი მასალები, საჯარო ღონისძიებები-ინტერაქტიული ორმხრივი კომუნიკაცია აუდიტორიასთან.

სკოლის კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. მასწავლებლებს აქვს მიკუთვნებულობის განცდა სასკოლო კურიკულუმის მიმართ. სასკოლო კურიკულუმი და მისი მხარდამჭერი მასალები ხელმისაწვდომია და საჯაროა თითოეული მათგანისთვის. წლის დასაწყისში ეწყობა მშობლებთან შეხვედრები, კლასში შემსვლელი საგნის მასწავლებლები და დამრიგებლები აცნობენ წლის განმავლობაში განსახორციელებელ სამოქმედო გეგმებს, ისმენენ მშობლების უკუკავშირს.

სკოლა მომავალში გეგმავს სასკოლო კურიკულუმი ხელმისაწვდომი იყოს სასკოლო საზოგადოების ყველა რგოლისთვის. ამისთვის აქტიურად გამოიყენებენ სოციალური ქსელს, ვებ გვერდს და სხვადასხვა პლატფორმებს. ეს ხელს შეუწყობს მშობელთა ინფორმირებულობას, სანდოობას და გაზრდის სასკოლო საზოგადოების ჩართულობას. სასწავლო წლის დასაწყისში კურიკულუმის საბოლოო ვერსიას გააცნობენ მოსწავლეებსაც და მშობლებსაც. კურიკულუმი ხელმისაწვდომი იქნება ყველა დაინტერესებული პირისათვის.აღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ჩაითვალოს, რომ **2.1.1.4. ინდიკატორი არის დაკმაყოფილებული.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1.სკოლის სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
2.სკოლის სასკოლო-სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმების დამტკიცების შესახებ.
3.სკოლის საგნობრივი კურიკულუმები ყველა კლასისთვის;
4.ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის და საგნობრივი ექსპერტების მიერ მოწოდებული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისა და საგნობრივი კურიკულუმის შეფასების ფორმა;
5. სასკოლო სასწავლო გეგმა;

6.,,საჯარო სკოლაში 2023-2024 /სასწავლო წლის შეჯამება- ანგარიში“, პედ საბჭოს ოქმი 2024.09.N1.;
7. ,,საჯარო სკოლაში 2024-2025 სასწავლო წელს მიმდინარე საქმიანობის შეჯამება-ანგარიში“ პედ. საბჭოს ოქმი 2025.0620.N 5 .“;
8.სამეურვეო საბჭოს ოქმი2024.09. N 7;
9.მშობლისა და მოსწავლის კითხვარი;
10.საგნობრივი კათედრების  სხდომის ოქმები;
11.სადამრიგებლო გეგმები;
12.საგანთა ჯგუფის სწავლების მიზნები;
13.სკოლის თვითშეფასების ფორმა;
14.ბრიტანეტის საბჭოს კვლევა;
15.სამოქმედო სამიებო კვლევა;

### 2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის  მოთხოვნებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას**

| | |
|---|---|
| საბუნებისმეტყველო მეცნიერებები | სამივე საფეხურზე საფეხურის  საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩო შედგენილია გრძელვადიანი მიზნების გათვალისწინებით.  ცალკეული საკითხები მუშავდება კომპლექსური დავალებებით,სადაც ჩანს  მოსწავლეებისათვის ნაცნობი ცხოვრებისეული კონტექსტების გათვალისწინება და სამიზნე ცნებასთან კორელაცია.  უმეტეს შემთხვევაში პედეაგოგებს აქვთ თემატური მატრიცები სადაც წარმოდგენილი აქტივობები პასუხობს კონსტრუქტივისტული მიდგომის მახასიათებლებს. კერძოდ ცალკეულ კომპონენტებში ჩანს დიფერენცირებული მიდგომები და კეთებით სწავლების სტრატეგიები. |
| საზოგადოებრივი მეცნიერებები | სამივე საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები არის ასაკობრივი შესაძლებლობების გათვალისწინებით შემუშავებული  და  წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. ყოველივე ეს კარგად  გამოჩნდა მათ მიერ განხორციელებულ კომპლექსურ/შემოქმედებითი ტიპის  დავალებებში. კურიკულუმის შემუშავებისას პედაგოგებმა საგნობრივი სტანდარტით გათვალისწინებული გრძელვადიანი მიზნების მისაღწევად დაგეგმეს კომპლექსური დავალებებით სწავლება, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლეებში შესასწავლი საკითხის მიმართ ინტერესისა და ცნობისმოყვარეობის გაზრდას. |

| | |
|---|---|
| | მოსწავლე ისწავლის, როგორ წარმართოს საკუთარი სწავლის პროცესი, დააკვირდეს, რას გაართვა თავი მარტივად, რა წინააღმდეგობები შეხვდა გზად და როგორ გადალახა ისინი მასწავლებლის დახმარებით. კომპლექსური დავალებების შერჩევისას გათვალისწინებულია მოსწავლის ინდივიდუალური შესაძლებლობები, მზაობა, გამოცდილება, ინტერესები და სურვილები. ასევე, ყველა სტრატეგია, მეთოდი, აქტივობა თუ რესურსი მორგებულია მოსწავლის ინდივიდუალურ საჭიროებებს. |
| უცხოური ენები | სამივე საფეხურის საგნობრივ კურიკულუმებში იკვეთება მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომა - აქტივობები და მიზნები გათვლილია მოსწავლეთა ასაკობრივ შესაძლებლობებზე, ინტერესებსა და საჭიროებებზე, რაც ხელს უწყობს ენობრივი კომპეტენციების განვითარებას საფეხურების მიხედვით.<br>**რჩევა:** სასურველია გაგრძელდეს კოორდინირებული მუშაობა დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის კურიკულუმების გადახედვაზე, რათა ყველა საფეხურზე უკეთ დამკვიდრდეს ეროვნული გეგმის პრიორიტეტები და მიზნობრივი ენობრივი კომპეტენციები. |
| ესთეტიკური აღზრდა | ესთეტიკის კათედრის წარმოდგენილ კურიკულუმში ორიენტირება ხდება გრძელვადიან მიზნებზე, უპირატესობა ენიჭება კომპლექსური ტიპის დავალებებს, რომლებიც განიხილება შუალედურ სასწავლო მიზნად და თავისთავად ორიენტირებულია მოსწავლის მრავალმხრივ განვითარებაზე. კურიკულუმებში ასახულია აქტუალური, ნაცნობი თემები, აქტივობები და რესურსები. შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებულ პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. კურიკულუმის ჩარჩოს გაცნობისა და მასწავლებლებთან გასაუბრებისდან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ,რომ კათედრაზე საგნის მასწავლებლებს აქვთ მზაობა დაგეგმონ მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესი. |

| | |
|---|---|
| სახელმწიფო ენა | შემუშავებული კურიკულუმი იქმნება მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით. კურიკულუმის ჩარჩოებში გაწერილი შემოქმედებითი დავალებები ,რესურსები, მოსწავლეთა ასაკის, ინტერესებისა და საჭიროებების გათვალისწინებითაა შერჩეული. |
| მათემატიკა | კურიკულუმი იძლევა მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების განხორციელების შესაძლებლობას. კურიკულუმში მოცემული საკითხები, რესურსები, შუალედური მიზნები ითვალისწინებს მოსწავლეთა წინარე ცოდნას და გამოცდლებასა. ძირითადი კონტექს-მაგალითები ეფუძნება მოსწავლეთა ნაცნობ კონტექსტებს. მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით შესაძლებელია სხვადასხვაგვარი რესურსების გამოყენება, მაგ. ინტერნეტ რესურსები, დამატებითი ლიტერატურა, კომპიუტერი, პროექტორი, პლაკატები, გეომეტრიული სხეულები სივრცითი წარმოსახვისათვის, სახაზავი და საზომი ინსტრუმენტები, ბიბლიოთეკა, რესურსოთახი; მოსწავლეთა ინტერესებისა და საჭიროებების შესაბამისად იგეგემება კლასგარეშე აქტივობები_ კლუბური და საწრეო მუშაობები.<br>**რჩევა:** (სწავლების სამივე საფეხურზე) სასურველია კურიკულუმებში აისახოს საათების განაწილება თემების მიხედვით. |
| სპორტი | სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიიდან გამომდინარე და ინტერვიუს დროს სკოლის მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ პედაგოგები სკოლის, მატერიალური ბაზის და მოსწავლეების საჭიროებების გათვალისწინებით გეგმავენ და კოლეგიალურად შეიმუშავებენ სასკოლო კურიკულუმებს, რომელშიც ჩართულია სასკოლო საზოგადოება - მასწავლებლები, მშობლები, მოსწავლეები და დირექცია. სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებში შერჩეული მრავალფეროვანი სასწავლო პრაქტიკული და თეორიული შინაარსის თემებით (მძლეოსნობა, კალათბურთი, პროექტული სწავლება, ფრენბურთი, ფეხბურთი, ლაშქრობა და ძალისმიერი ვარჯიშები) გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები, მათი შესაძლებლობანი და ასაკობრივი თავისებურებები. |

| | |
|---|---|
| ტექნოლოგიები | კომპიუტერული ტექნოლოგიების მასწავლებლების მიერ შემუშავებული საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩო (II-VI კლასი) მიზნად ისახავს მე-3 თაობის ესგ-ს სტანდარტების განხორციელებას და მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის განვითარებას. კურიკულუმი ორიენტირებულია სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესებაზე და შუალედურ მიზნებად მოიცავს სამიზნე ცნებებსა და კომპლექსური დავალებების იდეებს, რომლებიც ეფუძნება მოსწავლეთა ინტერესებსა და საჭიროებებს. ეს ხელს უწყობს ცოდნის ტრანსფერს, უნარების განვითარებასა და გამთლიანებულ სწავლებას. ინტერვიუებისას მასწავლებლებმა გამოხატეს კომპლექსური დავალებების მნიშვნელობა და გააზრებული ჰქონდათ ცნებებს შორის კავშირები, საგნის ძირითადი მიზნები და სარეკომენდაციო რესურსების გამოყენება. ისინი აქტიურად ნერგავენ კომპლექსურ/შემოქმედებით დავალებებს, აანალიზებენ გამოწვევებს და აფასებენ მიღებულ დადებით შედეგებს. კურიკულუმის ჩარჩო მოიცავს კომპიუტერულ ტექნოლოგიებს, ინფორმაციულ და ციფრულ წიგნიერებას, და სამიზნე ცნებების სრულ სპექტრს. რესურსების შერჩევა ემყარება გრძელვადიან მიზნებს და სწავლება ეფუძნება მოსწავლის მოტივაციასა და ცხოვრებისეულ გამოცდილებას. კურიკულუმი ორიენტირებულია გრძელვადიან შედეგებზე, რომლებიც განისაზღვრება საფეხურის დონეზე. შუალედური მიზნები და შინაარსი იქმნება მოსწავლეთა საჭიროებების, ინტერესებისა და წინარე ცოდნის გათვალისწინებით. მიზნები მუშავდება სამგანზომილებიანი მიდგომით, რომელიც აერთიანებს ცოდნას, უნარებსა და დამოკიდებულებებს. კომპლექსური/შემოქმედებითი დავალებები ხელს უწყობს შემოქმედებითი და ლოგიკურ-ალგორითმული უნარების განვითარებას. |
| ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური | დაწყებითი კლასების, საგნობრივი კათედრის მიერ შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას; წარმოდგენილი კურიკულუმები შედგენილია ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით. შერჩეული კომპლექსური დავალებები მიემართება გრძელვადიან სამიზნე ცნებებს ,გათვალისწინებულია მოსწავლის ასაკობრივი თავისებურებები,საჭიროებები და შესაძლებლობები. |

## 2. კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს

| | |
|---|---|
| საბუნებისმეტყველო მეცნიერებები | საგნობრივ კურიკულუმებში თემის ფარგლებში მუშავდება ყველა სამიზნე ცნება. კურიკულუმის ჩარჩოთი დგინდება , რომ პედაგოგები სხვადასხვა საკითხების სწავლებისას აქტიურად იყენებენ დამატებით სასწავლო ელექტრონულ და მატერიალურ რესურსებს. კომპლექსური დავალებით შეთავაზებული აქტივობები მოსწავლეებისთვის მამოტივირებელია. წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები ისევე როგორც სხვადასხვა აქტივობა ემსახურება გრძელვადიან მიზნებს რასაც პედაგოგების მიერ წარმოდგენილი წლიური და შუალედური ანალიზიც ადასტურებს. |
| საზოგადოებრივი მეცნიერებები | სამივე საფეხურის კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს და ხელს უწყობს ისეთი უნარების განვითარებას, როგორიც არის კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა, თანამშრომლობა, პრობლემის გადაჭრა, სწავლის პროცესის მონიტორინგი, პასუხისმგებლობა და სხვა. სამიზნე ცნებების გააზრებას ხელს შეუწყობს სწორად და მიზნობრივად შერჩეული კომპლექსური დავალებები. კურიკულუმებში ძირითადად სტანდარტით გათვალისწინებული ყველა სამიზნე ცნება/ცნებები მუშავდება, თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში სამიზნე ცნება ან არასწორად არის მითითებული, ან გამორჩენილია; ასევე, დასაზუსტებელია ქვეცნებები, კერძოდ:<br>**დაწყებითი საფეხური**<br>**მე და საზოგადოება**<br>*მესამე კლასი*<br><br>პირველ თემაში არ მუშავდება სამიზნე ცნება „პიროვნება“; მეორე და მესამე თემებში კი არ მუშავდება „პიროვნება“ და „ცვლილება“.<br>*მეოთხე კლასი*<br>პირველ თემაში არ მუშავდება სამიზნე ცნებები „საზოგადოება“ და „ცვლილება“; მეორე თემაში კი არ მუშავდება „პიროვნება“.<br>**ჩვენი საქართველო**<br>*მეხუთე კლასი*<br>პირველ თემაში არ მუშავდება სამიზნე ცნებები „მეურნეობა“, „საზოგადოება“, „მრავალფეროვნება“, „სახელმწიფო“; მეორე თემაში არ მუშავდება „სივრცე“, „მეურნეობა“, „დრო“, „საზოგადოება“; მესამე თემაში არ მუშავდება „მეურნეობა“, „საზოგადოება“, „სახელმწიფო“; მეოთხე თემაში არ მუშავდება „მეურნეობა“, „დრო“, „სახელმწიფო“; მეხუთე |

| | |
|---|---|
| | თემაში არ მუშავდება „სივრცე“, „საზოგადოება“, „სახელმწიფო“; მეექვსე თემაში არ მუშავდება „სივრცე“, „დრო“, „საზოგადოება“, „სახელმწიფო“.<br>*მეექვსე კლასი*<br>კურიკულუმში არ არის წარმოდგენილი სტანდარტით გათვალისწინებული ყველა სავალდებულო თემა; კონკრეტულად, კურიკულუმში არ არის გაწერილი სტანდარტით განსაზღვრული სამი სავალდებულო თემა: „1. აფხაზეთი“, „2. თბილისი“ და „3.სახელმწიფო-ჩვენი საქართველო“. მეორე თემაში არ მუშავდება სამიზნე ცნებები „მეურნეობა“ და „მრავალფეროვნება“. საკითხები არასრულყოფილად არის წარმოდგენილი, რაც ყველა სამიზნე ცნების დამუშავდების შესაძლებლობას არ იძლევა.<br>**საბაზო საფეხური**<br>**გეოგრაფია**<br>გეოგრაფიის მე-7, მე-8 და მე-9 კლასების კურიკულუმებში თითოეულ თემაში ერთი, ან ორი სამიზნე ცნება მუშავდება. მაგ. თემაში „დედამიწა“ მუშავდება მხოლოდ „გეოგრაფიული მოვლენა, გეოგრაფიული პროცესი; თემაში „აფრიკა“ – „მდგრადი განვითარება“ და „გეოგრაფიული გარსი“; ასევე თემაში „ავსტრალია და ოკეანეთი“ (რომელიც ჩასასწორებელია კურიკულუმში) მხოლოდ ერთი საკითხია წარმოდგენილი. თემაში „ევროპა“ კი მხოლოდ „მდინარე დუნაი“ აქვს მასწავლებელს განხილული. თემაში „დასავლეთი საქართველო“ პედაგოგი განიხილავს მხოლოდ კოლხეთის დაბლობს. არ ჩანს რომელი საკითხებით დაამუშავებს მასწავლებელი თითოეულ თემას და სამიზნე ცნებებს თემის ფარგლებში.<br>**ისტორია**<br>მე-7, მე-8 და მე-9 კლასეების კურიკულუმებში თითოეულ თემაში ერთი, ან ორი საკითხია წარმოდგენილი. მაგ. თემაში „პრეისტორია/ქვის ხანა“ ვხვდებით ორ საკითხს 1. პალეოლითის ხანა და 2. საქართველო მიწათმოქმედებისა და მეღვინეობის უძველესი კერა. თემაში „ახალი დრო (საქართველო და მსოფლიო XVII – XIX საუკუნეებში)“ განხილულია ასევე ორი საკითხი. თითოეულ თემაში დეტალურად უნდა იყოს წარმოდგენილი ყველა ის საკითხი, რომელსაც განიხილავს მასწავლებელი თემის ფარგლებში და დაამუშავებს ამა თუ იმ სამიზნე ცნებას.<br>მე-8 კლასის კურიკულუმში არ წერია თემების სახელწოდება.<br>მე-9 კლასის კურიკულუმში, მეორე თემაში არ მუშავდება სამიზნე ცნება „სივრცე“.<br>**მოქალაქეობა**<br>მე-7 კლასის კურიკულუმში, მეორე თემაში არ მუშავდება სამიზნე ცნებები „ სამოქალაქო მონაწილეობა“ და „მდგრადი განვითარება“. მეოთხე თემაში არ მუშავდება „საზოგადოება“ და „დემოკრატია“. მეხუთე თემაში კი არ მუშავდება „დემოკრატია“ და „სამოქალაქო მონაწილეობა“. |

მე-9 კლასის კურიკულუმში პირველ თემაში არ მუშავდება სამიზნე ცნებები „საზოგადოება“ და „მდგრადი განვითარება“, მეორე თემაში „საზოგადოება“ და „დემოკრატია“, მესამე თემაში „საზოგადოება“, „სამოქალაქო მონაწილეობა“ და „მდგრადი განვითარება“, ხოლო მეოთხე თემაში არ მუშავდება „საზოგადოება“ და „დემოკრატია“.

**საშუალო საფეხური**

**გეოგრაფია**

მე-10 და მე-11 კლასების კურიკულუმებში პირველ და მეორე თემებში არ მუშავდება სამიზნე ცნება „გეოგრაფიული გარსი“; ასევე, მეორე თემაში არასწორად არის მითითებული სამიზნე ცნება „გეოგრაფიული მოვლენა, გეოგრაფიული პროცესი“. არცერთ თემაში არ ჩანს რომელი საკითხებით დაამუშავებს მასწავლებელი თითოეულ სამიზნე ცნებას თემის ფარგლებში.

**ისტორია და საქართველოს ისტორია**

მე-10 კლასის კურიკულუმში პირველ თემაში არ მუშავდება სამიზნე ცნება „დრო“;

ისტორიის და საქართველოს ისტორიის კურიკულუმებში მითითებულია მხოლოდ ის საკითხები, რომელიც მუშავდება კომპლექსური დავალების ფარგლებში, სხვა საკითხები არ ჩანს კურიკულუმებში.

მე-12 კლასის ისტორიის კურიკულუმში თემების ნაწილში მოცემულია ქვეთემები. სავალდებულო თემები უნდა დაკონკრეტდეს სტანდარტის მიხედვით. ამავე კურიკულუმში ყველა თემაში არ მუშავდება ყველა სამიზნე ცნება. ასევე, გაუგებარია რას ნიშნავს ჩანაწერი „ირიბად დასამუშავებელი ცნებები“.

**მოქალაქეობა**

მე-11 კლასის კურიკულუმში, პირველ თემაში არ ჩანს რომელი საკითხებით მუშავდება სამიზნე ცნება „მდგრადი განვითარება“.

მე-12 კლასის კურიკულუმში მეორე თემა არასწორად არის წარმოდგენილი. უნდა იყოს „გლობალური ეკონომიკა და საქართველო“. ასევე, პირველ თემაში სამიზნე ცნება უნდა იყოს „სამოქალაქო მონაწილეობა“.

**პროექტული სწავლება მოქალაქეობაში**

მე-10 და მე-12 კლასებში განხორციელებულ პროექტში უნდა ჩანდეს რომელი სამიზნე ცნება/ცნებები დამუშავდება და ასევე, სტანდარტის მიხედვით დაკონკრეტდეს პროექტის ტიპი.

***<u>ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით სკოლას სამივე საფეხურზე მიეცა რჩევები:</u>***

- სასურველია, ყველა თემაში ყველა სამიზნე ცნება დამუშავდეს;
- სამიზნე ცნებებისა და თემების სახელწოდებები შესწორდეს შესაბამისი საფეხურისა და საგნის სტანდარტის მიხედვით;

| | |
|---|---|
| | ➢ სასურველია, კურიკულუმში აღწერილი იყოს სტანდარტით გათვალისწინებული ყველა სავალდებულო თემის სწავლების პრინციპები;<br>➢ სასურველია, კურიკულუმში დეტალურად ჩანდეს რომელი სამიზნე ცნება რომელი საკითხით/საკითხებით დამუშავდება;<br>➢ უმჯობესია, კურიკულუმებში გაიწეროს კომპლექსური/შემოქმედებითი ბუნების დავალებების ის რაოდენობა, რომლის განხორციელებაც რეალურად მოხდება სასწავლო წლის განმავლობაში;<br>➢ სასურველია, თითოეულ ცნებასთან მიმართებაში დაზუსტდეს ქვეცნებები, აღნიშნული პრაქტიკა დანერგილია საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრაზე, რაც იკითხება ზოგიერთი კლასისა და საგნის კურიკულუმში. |
| უცხოური ენები | დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები ეფუძნება ეროვნულ გეგმის მიზნებს, განსაკუთრებით - ენობრივი კომპეტენციების განვითარებასა და ფუნქციური ენის გამოყენებას.<br>**რჩევა:** სასურველია გაგრძელდეს კურიკულუმების გამდიდრება შემოქმედებითი და მოსწავლეთა საჭიროებებზე მორგებული აქტივობებით, რომლებიც თემის ფარგლებში გააქტიურებენ ყველა სამიზნე ცნებას და ხელს შეუწყობენ ენობრივი კომპეტენციების პრაქტიკულ განვითარებას რეალურ კონტექსტში. |
| ესთეტიკური აღზრდა | შექმნილი კურიკულუმები (მუსიკა/სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება) ითვალისწინებს საგნობრივ მოთხოვნებს და მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზანს, სასწავლო კურიკულუმებში გაწერილი სამიზნე ცნებები მოსწავლეებს აძლევს საშუალებას საკუთარ გამოცდილებასთან გამოიყენოს ახალი ცოდნა და უნარები.<br><br><br><br>**რჩევა-**<br>დაწყებითი საფეხურის კურიკულუმში სწორად უნდა იყოს გაწერილი სტანდარტის შედეგის ინდექსი. მაგ.: I-IV კლ. — **ს.გ.დაწყ.(I)**; V-VI კლ. — **ს.გ.დაწყ.**(II). სასურველია, ასევე, შემუშავდეს |

| | |
|---|---|
| | დაწყებით და საბაზო საფეხურზე ერთნაირი კურიკულუმის ჩარჩო და თითოეული თემატური ბლოკისთვის შეივსოს რესურსების გრაფა, რათა თვალნათლივ გამოჩნდეს, როგორ ამუშავებს მასწავლებელი ე.ს.გ.-ში გათვალისწინებულ სავალდებულო თემატურ ბლოკებს, სამიზნე ცნებებსა და ქვეცნებებს და როგორ აღწევს შედეგს. |
| სახელმწიფო ენა | შემუშავებული კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. სასწავლო პროცესში გააზრებული და გათვალისწინებულია გლობალური ფუნქციური უნარები,მაკრო ცნებები,სავალდებულო თემები, სამიზნე ცნებები და შედეგები, რომლებიც მუშავდება შემოქმედებითი დავალებებითა და პროექტებით,რასაც ადასტურებს სახელმწიფო ენის კათედრის მიერ განხორციელებული აქტივობების რეფლექსიები.. |
| მათემატიკა | მათემატიკაში საგნობრივი კურიკულუმები დაგეგმილია გრძელვადიან სამიზნე ცნებებზე ორიენტირებით. გათვალისწინებულია სავალდებულო თემები. სწავლების პროცესი ეფუძნება ნაცნობ კონტესტებზე დაყრდნობით ცოდნის აგების პრინციპს. კურიკულუმით გათვალისწინებული შუალედური მიზნები ითვალისწინებს მოსწავლეთა მიერ ცოდნის ფუნქციურ კონტექსტებში გამოყენების შესაძლებლობას. **რჩევა**:(სწავლების სამივე საფეხურზე) მათემატიკის კურიკულუმებში კომპლექსური დავალების იდეაში სასურველია გამოკვეთილი იყოს შემოქმედებითი პროდუქტი, რომელსაც ქმნიან მოსწავლეები კონკრეტულ საკითხებთან მიმართებით; |
| სპორტი | ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მასწავლებლების მიერ წარმოდგენილი კურიკულუმები შედგენილი და მორგებულია მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზებზე. კურიკულუმის ფორმა ისე არის დაგეგმილი, რომ გათვალისწინებულია მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწიებილო |

| | |
|---|---|
| | სტანდარტის მოთხოვნები და პრინციპები. კურიკულუმში გაწერილი თემები მორგებულია სკოლაში არსებულ მატერიალურ ბაზასა და ინვენტარს რასაც ადასტურებს ინტერვიუს მსვლელობის დროს სკოლის პედაგოგი. სკოლის პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ კურიკულუმის შედგენის დროს გათვალისწინებულია მოსწავლის ინტერესები, შესაძლებლობანი და ასაკობრივი თავისებურებანი. წარმოგდენილი კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებისაკენ (ფიზიკური თვისებები, ორგანიზებულობა და თვითკონტროლი, ცხოვრების ჯანსაღი წესი).<br><br>**რჩევა:**<br><br>სკოლას საბაზო და საშუალო საფეხურის კურიკულუმები წარმოდგენილი აქვს სამი სასწავლო თემით (მძლეოსნობა; ფეხბურთი და ფრენბურთი). წასასურველია სკოლამ საბაზო და საშულო საფეხურის კურიკულუმებში არსებული სასწავლო თემები უფრო მრავალფეროვანი და საინტერესო გახადოს, ამისათვის საჭიროა კურიკულუმში მოხდეს, ეროვნული სასწავლო გეგმის გათვალისწინებით განსაზღვრული, როგორც თეორეული ასევე პრაქტიკულად გასანხორციელებელი სასწავლო თემების დამატება, სკოლაში არსებული მატერიალური ბაზის და ინვენტარის გათვალისწინებით. |
| ტექნოლოგიები | კომპიუტერული ტექნოლოგიების საგნობრივი ჯგუფის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ინტერვიუს ანალიზმა აჩვენა, რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ ეროვნული სასწავლო გეგმის საკითხების ურთიერთმიმართება და საგნის მიზანი. კომპლექსური დავალებები მიემართება კონკრეტულ ცნებებსა და ქვეცნებებს, აღსანიშნავია ორიგინალური, გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებული დავალებები. ასევე, ციფრული ტექნოლოგიების ინტეგრირებით ხორციელდება პროექტები, ინტეგრირებული გაკვეთილები და ღონისძიებები, რაც ხელს უწყობს გლობალური ფუნქციური უნარების განვითარებას.<br><br>ინტერვიუში მასწავლებლებმა დეტალურად აღწერეს კომპლექსურ დავალებებზე მუშაობის პროცესი და ეტაპები. კომპლექსური დავალებების დაგეგმვისას ითვალისწინებენ სამიზნე ცნებებსა და მკვიდრ წარმოდგენებს, შეფასების კრიტერიუმებიც მათთან კორელაციაშია. |

| | |
|---|---|
| | კურიკულუმისა და ინტერვიუების ანალიზი აჩვენებს, რომ პედაგოგებს გააზრებული აქვთ კომპლექსური დავალებების როლი — ისინი ხელს უწყობს კრიტიკულ აზროვნებას, შემოქმედებით მიდგომას, თანამშრომლობას, დამოუკიდებელი მსწავლის როლის ჩამოყალიბებას, რეფლექსიასა და მეტაკოგნიტურ სტრატეგიებს. |
| ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური | დაწყებითი კლასების საგნობრივი კურიკულუმები(ბუნება,მათემატიკა,ქართული) მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს , კომპლექსური ბუნების დავალებების მეშვეობით უზრუნველყოფს, სტანდარტის შედეგების მიღწევას, სასწავლო ერთეულების(ცნება, კონტექსტ- მაგალითი, კომპლექსური დავალება, რესურსი) მიხედვით. |

3. **კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას**

| | |
|---|---|
| საბუნებისმეტყველო მეცნიერებები | სკოლის წარმოდგენილი დოკუმენტაციით კურიკულუმის ჩარჩო, ცალკე წარმოდგენილი ელექტრონული რესურსების ნუსხა, ფოტო მასალა. იკვეთება, რომ სკოლა აქტიურად იყენებს სასწავლო საგანმანათლებლო რესურსს , რაც იძლევა იმის საშუალებას ვიფიქროთ , რომ შესაძლებელია წარმატებით მიაღწიონ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგებს. |
| საზოგადოებრივი მეცნიერებები | კურიკულუმში წარმოდგენილი საგანმანათლებლო რესურსი სწორად და მიზნობრივად არის შერჩეული. ისინი მრავალფეროვანია და ითვალისწინებს მოსწავლის ინდივიდუალურ საჭიროებებს. პედაგოგები ძირითად სასწავლო რესურსად იყენებენ გრიფირებულ სახელმძღვანელოებს. ამასთანავე, მითითებული აქვთ სხვადასხვა ელექტრონული რესურსი და დამხმარე მასალა, რაც ხელს უწყობს აქტიური და ჩართულობაზე ორიენტირებული |

| | |
|---|---|
| | სწავლის პროცესის განხორციელებას და უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების ეფექტურად მიღწევას. |
| უცხოური ენები | შერჩეული რესურსები მრავალფეროვანია და შეესაბამება ენის სწავლის მიზნებს. ისინი ხელს უწყობენ მოსწავლეთა ჩართულობას და მიზნობრივი უნარების განვითარებას.<br><br>**რჩევა:** სასურველია სამივე საფეხურზე გაგრძელდეს IT ტექნოლოგიებისა და მრავალფეროვანი ციფრული რესურსების ინტეგრაცია ძირითად სასწავლო რესურსებთან, ეროვნული სასწავლო მიზნებისა და საგნობრივი სტანდარტის შესაბამისად; ეს გააძლიერებს მოსწავლეთა ჩართულობას და ხელს შეუწყობს ენობრივი უნარების მრავალმხრივ განვითარებას. |
| ესთეტიკური აღზრდა | ესთეტიკის კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევებს.<br><br>**რჩევა-**<br><br>სასურველია, კიდევ ერთხელ გადაიხედოს რესურსებისთვის განკუთვნილი ველი. ცარიელი ველები ყველგან უნდა შეივსოს. |
| სახელმწიფო ენა | კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსები:გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოები, დამატებითი ელექტრონული თუ ბეჭდური რესურსები, მოსწავლეთა ასაკის, ინტერესებისა და საჭიროებების გათვალისწინებითაა შერჩეული და უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. |

| | |
|---|---|
| მათემატიკა | კურიკულუმებში ასახულია როგორც ძირითადი რესურსი (გრიფირებული სახელმძღვანელო), ისე დამატებითი რესურსები, ინტერნეტ-პლატფორმები, რომელთა გამოყენებითაც მოსწავლე ეცნობა სასწავლო საკითხს და შეუძლია მოამზადოს შემოქმედებითი პროდუქტი. |
| სპორტი | კურიკულუმებში გაწერილი თეორიული შინაარსის თემები და მოწყობილი სხვადასხვა სპორტული ღონისძიებები/ფესტივალები - (მძლეოსნობა, ფრენბურთი და ფრენბურთი), რომელშიც ჩართულია ყველა მოსწავლე, რასაც ადასტურებენ მასწავლებლები ინტერვიუს მსვლელობის დროს - იძლევა სწავლების თავისუფალ არჩევანს, თითოეულ ბავშვს აქვს შემოქმედებით პოცესში აქტიური მონაწილეობის შესაძლებლობა საკუთარი შესაძლებლობების, ინტერესებისა და ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით. სასწავლო პროცესში აქტიურად არის გამოყენებული მოსწავლეთა განსხვავებული ხედვები, მათ მიერ პრობლემის იდენტიფიცირებისა და გადაჭრის ალტერნატიული გზების ძიება. სკოლაში სწავლა-სწავლების პროცესში აქცენტი კეთდება ისეთი რესურსების გამოყენებაზე, რომლებიც უზრუნველყოფენ მოსწავლეებში განსხავებული უნარ-ჩვევების და ფიზიკური თვისებების გამოვლენას. მოსწავლეები ჩართული არიან ისეთ აქტივობებში, რომლებიც მათ შეძენილი ფიზიკური თვისებების; ორგანიზებულობის და თვითკონტროლის; ჯანსაღი ცხოვრების წესის პრაქტიკაში გამოყენების საშუალებას აძლევს. ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სკოლის პედაგოგების მიერ დაგეგმილი სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს ცოდნის სამივე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული) კატეგორიის წარმოდგენას. კურიკულუმები უზრუნველყოფს მოსწავლეების მიერ თეორიული ცოდნის გამოყენებას ფიზიკურ აქტივობებში და მათ გადატანას ახალი აქტივობების შესწავლის პროცესში. მასწავლებელი უზრუნველყოფს მოსწავლეები ცოდნის ორიენტირებას მარტივიდან რთულისაკენ. |
| ტექნოლოგიები | კომპიუტერული ტექნოლოგიების კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას |

| | |
|---|---|
| | |
| ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური | მრავალფეროვანი რესურსები უზრუნველყოფს კურიკულუმით განსაზღვრული სასწავლო მიზნების მიღწევას. **რჩევა**:სასურველია, კურიკულუმში მითითებული რესურსების მიზნობრიობის დაზუსტება, გათვალისწინება,დაკონკრეტება,ლინკებისა და გამოყენებული მასალის სწორად მითითება. |

4. **სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს**

| | |
|---|---|
| საბუნებისმეტყველო მეცნიერებები | წარმოდგენილ კურიკულუმში იკვეთება სწავლის დიფერენცირებული მიდგომები. ისგ.-და სსსმ. მოსწავლეებისათვის გათვლილი ადაპტირებული კომპლექსური დავალებები , ასევე მთელ კლასზე გათვლილი აქტივობებისა და შესაქმნელი პროდუქტების დიფერენცირება. მოსწავლეთათვის თავისუფალი არჩევანის მიცემა პროდუქტის სხვადასხვა ფორმით(პოსტერი , ბუკლეტი ესე მოდელი და. ა.შ.) წარმოდგენაზე. რესურსების თანაბარი ხელმისწავდომობა წარმოდგენილი ფოტომასალით,ადასტურებს, რომ სასწავლო პროცესში გამოყენებულია ინკლუზიური და დიფერენცირებული მიდგომები. |
| საზოგადოებრივი მეცნიერებები | სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ჩანს, რომ სასწავლო პროცესი იგეგმება მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომებით, სადაც მოსწავლე განიხილება, როგორც კონკრეტული გამოცდილების, ინტერესებისა და მზაობის მქონე ინდივიდი. განსხვავებული შინაარსის კომპლექსური დავალებები, მრავალფეროვანი მეთოდები და სტრატეგიები, სხვადასხვა შემოქმედებითი პროდუქტი, რომელიც უნდა შექმნან მოსწავლეებმა კომპლექსური დავალებების ფარგლებში, ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს. ინკლუზიური გარემოს შექმნის მიზნით პედაგოგები ახდენენ კომპლექსური დავალების |

| | |
|---|---|
| | პირობის მოდიფიცერებას. მოსწავლეებს აძლევენ საშუალებას თავად აირჩიონ შესასრულებელი პროდუქტებიდან მათთვის სასურველი და მასზე იმუშაონ.<br><br>ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებში ჩანს როგორ ახდენს მასწავლებელი შემოქმედებითი ტიპის დავალების მოდიფიცირებას სსსმ მოსწავლეებისთვის და რამდენად ქმნის მათთვის ინკლუზიურ გარემოს. |
| უცხოური ენები | წარმოდგენილი დოკუმენტაცია (მათ შორის, ინდივიდუალური სასწავლო გეგმები, მოდიფიცირებული შემოქმედებითი ტიპის დავალებები, შესაბამისი აქტივობები, რესურსებითა და შეფასების რუბრიკებით) ცხადყოფს, რომ სასწავლო პროცესში გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებები. სკოლაში უზრუნველყოფილია დიფერენცირებისა და ადაპტაციის შესაძლებლობა, რაც ხელს უწყობს ინკლუზიური გარემოს შექმნას.<br><br>**რჩევა:** სასურველია, უცხო ენების მასწავლებლებმა მომავალშიც აქტიურად გამოიყენონ დიფერენცირებული და ადაპტირებული სასწავლო აქტივობები, რაც უზრუნველყოფს ყველა მოსწავლის ეფექტურ ჩართულობას და ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებულ სწავლებას. |
| ესთეტიკური აღზრდა | ხელოვნებისა და მუსიკის კურიკულუმებში გამოიკვეთა შეთავაზებული დავალებების კომპლექსური ხასიათი, რაც მოსწავლეებს შესაძლებლობას აძლევს, საკუთარი აზრი, ცოდნა და დამოკიდებულება მათთვის ეფექტური და მრავალფეროვანი გზით გამოხატონ. მასწავლებლებთან გასაუბრების საფუძველზე დასტურდება, რომ სწავლების პროცესში დავალებები მორგებულია მოსწავლეთა საჭიროებებს – ხდება პირობების ადაპტირება, სირთულის დონის დიფერენცირება და რესურსების შერჩევა ინდივიდუალური თავისებურებების მიხედვით.<br>ეს მიდგომა ზრდის მოსწავლეთა ჩართულობას, ქმნის მოტივაციას და უმაგრებს საფუძველს ცნობიერ სწავლებას – მოსწავლეები ხვდებიან, რატომ სწავლობენ და როგორ გამოიყენონ ნასწავლი პრაქტიკაში. |

| | |
|---|---|
| სახელმწიფო ენა | სკოლის მიერ მოწოდებული დოკუმენტაციით.ჩანს, რომ სკოლაში მოქმედებს ისგ მონიტორინგის ჯგუფი,გაწერილია სამოქმედო გეგმა, შემუშავებულია დასკვნები. წარმოდგენილი აქვთ ასევე მიმდინარე სასწავლო წელს გამოყენებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმა და ადაპტირებული კომპლექსური დავალებები.გათვალისწინებულია თითოეული მოსწავლის ინდივიდუალური საჭიროებები და შესაძლებლობები.<br><br>წარმოდგენილი კურიკულუმების ჩარჩოში ჩანს დიფერენცირებული მიდგომა, ინტერვიუს პროცესშიც მასწავლებლებმა ისაუბრეს დიფერენცირებული სწავლების გამოცდილებასა და მეთოდებზე,დიფერენცირების სტრატეგიებსა და მნიშვნელობაზე, წარმოადგინეს ნიმუშები თავიანთი პრაქტიკიდან. |
| მათემატიკა | მათემატიკის სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიური სწავლების მიდგომებს. მასწავლებლები ცდილობენ გამოკვეთონ მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებები და ინტერესები, ამის გათვალისწინებით ნერგავენ დიფერენცირებული სწავლების მეთოდებს და უზიარებენ ერთმანეთს გამოცდილებას. სკოლის დოკუმენტაციიდან და მასწავლებლებთან საუბრისას ჩანს, რომ ამ მიმართულებით სკოლაში მიმდინარეობს მუშაობა, იგეგმება დიფერენცირებულ მიდგომაზე ორიენტირებული გაკვეთილები, წარმოდგენილი ქონდათ მათემატიკის კათედრაზე შემუშავებული დიფერენცირებული დავალებები სწავლების თითოეულ საფეხურზე რომელიც გამოიყენეს საჭიროებისამებრ. მათი კურიკულუმები იძლევა მოდიფიცირების საშუალებას, გათვალისწინებული რესურსების და სასწავლო საკითხების მიხედვით. მოსწავლეს ეძლევა საშუალება თავის უნარის, გამოცდილებისა და ინტერესების შესაბამისად შექმნას შემოქმედებითი პროდუქტი. სკოლის თვითშეფასების კითხვარში აღწერილი მრავალფეროვანი აქტივობები ასევე იძლევა დიფერენცირების საშუალებას.<br><br>**რჩევა**: მათემატიკა: სასურველია, სამივე საფეხურის კურიკულუმებში გაწერილი შემოქმედებითი დავალებების იდეა ყველგან ჩამოყალიბდეს მოკლედ, გამოკვეთონ შემოქმედებითი პროდუქტი და შესაძლებელი იყოს ამ პროდუქტების დიფერენცირება, მოსამზადებელი პროდუქტების არჩევა. |

| | |
|---|---|
| სპორტი | სკოლა უზრუნველყოფს ფიზიკურ აღზრდაში სასწავლო პროცესის დიფერენცირებულ და ინკლუზიურ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მიდგომებს, რასაც ადასტურებენ სკოლის პედაგოგები იტერვიუს მსვლელობის დროს. სკოლას მე-3 კლასში ჰყავს სსმ მოსწავლე ფიზიკურ აღზრდასა და სპორტში, რომელთანაც მუშაობა ხდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმით, რასაც ადასტურებს მასწავლებელი ინტერვიუს მსვლელობის დროს. მასწავლებელმა გამოთქვა მაღალი მზაობა, რომ 2025-2026 სასწავლო წელს ინდ გეგმა ჩაშენებული იქნება კომპლექსურ დავალებებში. სსიპ ქალაქ სამტრედიის N 1 საჯარო სკოლის საჭიროებების შესწავლის შედეგებიდან გამომდინარე, სკოლა მომავალში მეტად უზრუნველყოფს მოსწავლეების მაქსიმალურ ჩართვას სასწავლო პროცესში. |
| ტექნოლოგიები | „კომპიუტერული ტექნოლოგიების“ კურიკულუმში წარმოდგენილია მრავალფეროვანი, მოსწავლეზე მორგებული სასწავლო შინაარსი, მასალა და ელ. რესურსები, რაც ხელს უწყობს მოსწავლის ჩართულობას და ცოდნის ეტაპობრივ კონსტრუირებას.ინტერვიუში პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებების მიხედვით ცვლიან აქტივობებს, სთავაზობენ დიფერენცირებულ მიდგომებსა და მრავალფეროვან რესურსებს. მათ აძლევენ მოსწავლეებს შესაძლებლობას, გამოხატონ საკუთარი აზრი, ცოდნა და დამოკიდებულება მისთვის ეფექტური გზებით. შეფასება განიხილება, როგორც საშუალება სწავლის გაუმჯობესებისთვის. სკოლამ წარმოადგინა ინდივიდუალური გეგმა, შეფასების რუბრიკები და თვითრეფლექსიის დოკუმენტები, სადაც ჩანს მოსწავლეთა ინტერესების და თავისებურებების გათვალისწინება. |
| ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური | დაწყებითი კლასების საგნობრივ კურიკულუმებზე დაყრდნობით,შეიძლება ითქვას, რომ კომპლექსური დავალებების პროდუქტის შექმნის დროს არჩევანის შესაძლებლობა აქვს მოსწავლეს.შედაგოგები მოსწავლეთა ინტერესების, უნარებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით ახდენენ სასწავლო აქტივობების დაგეგმვას, სასწავლო რესურსების შერჩევასა და გარემოს ადაპტირებას.<br>**რჩევა**:სასურველია, კურიკულუმში აისახოს სასწავლო წლის განმავლობაში მიღებული გამოცდილების შესაბამისი ჩანაწერები დავალებების დიფერენცირებასთან დაკავშირებით. |

| | |
|---|---|
| | |

5. მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს

| | |
|---|---|
| საბუნებისმეტყველო მეცნიერებები | სკოლამ სამივე საფეხურისათვის წარმოადგინა განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები.<br>თემისა და ზოგიერთ შემთხვევაში განხორციელებული კომპლექსური დავალების საკითხთან მიმართებაში წარმოდგენილი შეფასება მკაფიო კრიტერიუმებითა და პედაგოგის უკუკავშირით.<br>ასევე დამატებით გადმოგზავნილ დოკუმენტაციაში მოცემულია მოსწავლეთა ურთიერთშეფასების, თვითშეფასების სქემები და განმავითარებელი შეფასების ზოგიერთი სხვა ინსტრუმენტი.<br>აღნიშნული გარემოება ადასტურებს, რომ სკოლა მუშაობს/აქვს მზაობა სწავლებისას გამოიყენოს შეფასების სისტემა, რაც აკამყოფილებს ე.ს.გ.-თი განსაზღვრულ შეფასების პრინციპებს. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პირველად გადმოგზავნილ დოკუმენტაციაში<br>დაწყებით საფეხურზე მე-4 კლასის კურიკულუმში (დანართი N3) განმავითარებელ შეფასებასთან ერთად მოცემულია განმსაზღვრელი შეფასების გრაფა,<br>მე-5 კლასში თემა „ეკოსისტემა“ , განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა რომელიც ისწავლება I სემესტრში .იმის გათვალისწინებით, რომ ბუნებისმეტყველებას მე-5 კლასში და ქიმიას ერთი და იგივე პედაგოგი ასწავლის<br>სკოლას ეძლევა<br>**რჩევა :** მნიშვნელოვანია პედაგოგის გამოცდილება( შეფასების სტანდარტთან შესაბამისად წარმოების კუთხით) რომელიც გამოყენებული უნდა იყოს დაწყებით საფეხურზე შეფასების |

| | |
|---|---|
| | რუბრიკების შემუშავებისას , ე.ს.გ-თან და საგნობრივ სტანდართან შესაბამისობაში მოსაყვანად/ სრულყოფისათვის.<br><br>• სასურველია II, III, კლასებში შეიქმნას მსგავსად დაწყებით საფეხურზე წარმოდგენილი განმავითარებელი შეფასების რუბრიკებისა (I, IV, VI)კლასებში.<br>• სასწავლო პროცესის და მოსწავლეთა მიღწევების ეფექტური მონიტორინგისა და შეფასების მიზნით ,საგან ბუნებისმეტყველებაში, არსებული შეფასების რუბრიკების (თემის ფარგლებში შემუშავებული) გარდა შემუშავდეს, კონკრეტულ საკითხზე/ დავალებაზე მორგებული, შეფასების რუბრიკები/სქემები .<br>• მე- 5 კლასის კომპლექსური დავალების ანალიზში მოცემულია განმავითარებელი შეფასების რუბრიკა შედეგის გრაფაში (ბუნება 5, 3)-ის ინდექსი, რაც არ ემთხვევა მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმაში წარმოდგენილ გრძელვადიან მიზნებს<br>• დაწყებითი საფეხურის განმავითარებელი შეფასების რუბრიკა იწერება სამიზნე ცნებებისა და მკვიდრი წარმოდგენების გათვალისწინებით ინდექსების გარეშე.<br>• სტანდარტით გათვალისწინებული სამიზნე ცნების, შედეგის, გრაფაში ჩანაწერი უნდა გაკეთდეს სტანდარტში ასახული ინფორმაციის სიზუსტით. |
| საზოგადოებრივი მეცნიერებები | სკოლაში სამივე საფეხურზე პედაგოგები იყენებენ როგორც განმსაზღვრელ, ასევე, განმავითარებელ შეფასებას. მტკიცებულებებად წარმოდგენილია ზოგადი და კონკრეტული დავალებისთვის შექმნილი შეფასების სქემები. სკოლაში, წელიწადში ორჯერ ტარდება დიაგნოსტიკური წერა, რაც შესაძლებლობას იძლევა შეაფასონ თითოეული სამიზნე ცნების გააზრების ხარისხი და შესაბამისი საჭიროებების გათვალისწინებით დაგეგმონ/გადაგეგმონ შემდგომი პროცესი. |
| უცხოური ენები | სამივე საფეხურზე მასწავლებლები იყენებენ როგორც განმსაზღვრელ, ასევე განმავითარებელ შეფასებას, რაც დაკავშირებულია სასწავლო მიზნებთან და ეხმარება მოსწავლეებს საკუთარი პროგრესის გააზრებაში. აღსანიშნავია ორივე ტიპის შეფასების რუბრიკების მრავალფეროვნება, მათ შორის დიფერენცირებული, ადაპტირებული |

| | |
|---|---|
| | აქტივობებისთვის. ეს მრავალფეროვნება ხელს უწყობს ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებულ შეფასებას და მოსწავლეთა მოტივაციის ზრდას.<br><br>**რჩევა:** რეკომენდებულია დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურზე გაგრძელდეს შეფასების რუბრიკების შემუშავება თემებზე, საკითხებსა და სამიზნე ცნებებზე მორგებით, დავალების ტიპისა და საფეხურის გათვალისწინებით. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმოს პოზიტიური უკუკავშირის გამოყენებას მოსწავლეთა პროგრესის წახალისებისთვის. |
| ესთეტიკური აღზრდა | ესთეტიკის კათედრის მასწავლებლებმა წარადგინეს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება. პედაგოგები იყენებენ/გამოიყენებენ შეფასების ინსტრუმენტებს/რუბრიკებს, რომლებიც ეფუძნება<br><br>გრძელვადიან სამიზნე ცნებებსა და მკვიდრ წარმოდგენებს. ინტერვიუს დროს და გადმოგზავნილი დოკუმენტაციის ანალიზის საფუძველზე (შეფასების რუბრიკები) გამოიკვეთა, რომ ესთეტიკის კათედრას გააზრებული აქვს განმავითარებელი შეფასების მნიშვნელობა მოსწავლეთა განვითარებისა და სწავლა-სწავლების პროცესის სრულყოფისთვის. |
| სახელმწიფო ენა | სასწავლო პროცესში განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების გამოყენება დასტურდება მოწოდებული რუბრიკებით, რომლებიც ზოგად წარმოდგენას ქმნის ყველა საფეხურის ფარგლებში ამ ტიპის შეფასებების გამოყენებაზე.<br><br>**რჩევა**: სასურველია, განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება ეყრდნობოდეს სტანდარტით გათვალისწინებული მიღწევის ინდიკატორებს და მიემართებოდეს როგორც შუალედურ, ასევე გრძელვადიან მიზნებს.სასურველია სკოლამ განმავითარებელი შეფასების რუბრიკები შექმნას საკითხსა და ქვესაკითხებზე დაყრდნობით, დეტალურად, კონკრეტულად აღწეროს, რას შეიძლება ელოდოს მოსწავლისგან,რათა მან შეძლოს საკუთარი სწავლის პროცესის გაუმჯობესება .რუბრიკის შედგენისას იხელმძღვანელოს სამივე საფეხურის (დაწყებითი,საბაზო,საშუალო) სტანდარტში მითითებული |

| | |
|---|---|
| | ინდიკატორებით_შეარჩიოს სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენებისთვის ყველაზე ადეკვატური ერთი ან რამდენიმე ინდიკატორი და დააკონკრეტოს დავალების პირობის გათვალისწინებით. |
| მათემატიკა | მათემატიკის საგანში შემუშავებულია განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომელიც მიემართება საგნობრივი სტანდარტებით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. ორიენტირებულია ფუნქციურ-კომპონენტურ უნარებზე, ემსახურება მოსწავლეთა მიღწევების აღიარებას და მათ განვითარებაზეა ორიენტირებული.<br><br>**რჩევა**- საბაზო და საშუალო საფეხურზე მათემატიკის კათედრაზე განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკების შექმნისას უმჯობესია, კრიტერიუმები თემის ფარგლებში მოსწავლეთა შედეგების ინდიკატორების მიხედვით იქნას შედგენილი. შეფასების რუბრიკები სასურველია გადამუშავდეს და შემოქმედებით დავალებაზე მეტად იყოს მორგებული და მეტად მიემართებოდეს კონკრეტულ სამიზნე ცნებებს.<br><br>შეფასების რუბრიკების ნაწილი ემყარება სამიზნე ცნებებს, ნაწილი კი უფრო ზოგადი ხასიათისაა.<br><br>სასურველია, სამივე საფეხურზე, მომავალში კათედრა მთლიანად გადავიდეს ისეთ შეფასების რუბრიკებზე, რომლებიც დამყარებული იქნება მოსწავლის მიერ სამიზნე ცნებების გააზრებაზე. |
| სპორტი | სკოლას აქვს წარმოდგენილი ფიზიკურ აღზრდასა და სპორტში განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები რომლებიც ეყრდნობა სტანდარტში წარმოდგენილი შედეგების მიღწევის ინდიკატორებს. განმსაზღვრელი შეფასება გაწერილია თემის მიხედვით და მიემართება სამიზნე ცნებებისაკენ. ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ ფიზიკურ აღზრდასა და სპორტში განმავითარებელი შეფასების რუბრიკა მიზანმიმართულად გამოიყენება, საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე განსაკუთრებით აქტიურად გამოიყენება საგაკვეთილო პროცესში სიტყვიერი კომენტარები, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლის განვითარებას. მასწავლებლის მიერ გამოყენებული სიტყვიერი კომენტარი გამომდინარეობს თემის ფარგლებში ტექნიკის შესრულების დროს სწორ და |

| | |
|---|---|
| | ზუსტ მითითებებში თუ როგორ უნდა შესრულდეს კოკრეტულ მომენტში შეთავაზებული ტექნიკა სწორად, რომელიც მოსწავლეთა ინდივიდუალურ შესაძლებლობებზეა მორგებული და ორიენტირებული. |
| ტექნოლოგიები | კომპიუტერული ტექნოლოგიების მასწავლებლებმა წარადგინეს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასები. პედაგოგები იყენებენ/გამოიყენებენ შეფასების ინსტრუმენტებს/რუბრიკებს, რომლებიც ეფუძნება<br><br>გრძელვადიან სამიზნე ცნებებსა და მკვიდრ წარმოდგენებს. ინტერვიუს დროს და გადმოგზავნილი დოკუმენტაციის ანალიზის საფუძველზე (შეფასების რუბრიკები) გამოიკვეთა, რომ კომპიუტერული ტექნოლოგიების კათედრას გააზრებული აქვს განმავითარებელი შეფასების მნიშვნელობა მოსწავლეთა განვითარებისა და სწავლა-სწავლების პროცესის სრულყოფისთვის. შეფასების დიზაინი, რომელსაც იყენებს მასწავლებელი განმავითარებელი შეფასებისას ქმნის მნიშვნელოვან პლატფორმას მოსწავლის მრავალმხრივი გაცნობისა და შესწავლისთვის. განმსაზღვრელი შეფასება კი წარმოადგენს სწავლის შედეგების აღწერას საგნობრივი სტანდარტების მოთხოვნებთან/ კრიტერიუმთან და მიღწევის საერთო მაჩვენებელთან მიმართებით შეფასების ეს ფორმა მართულია მასწავლებლის მიერ და ძირითადად ხორციელდება, როგორც პროცესის შემაჯამებელი რაიმე თემის, თავის, სემესტრის, საკითხის და ა.შ. დასასრულს. კომპიუტერული ტექნოლოგიების პედაგოგებმა საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოში დაგეგმილ ყველა კომპლექსურ დავალებასთან მიმართებით უკვე აქვთ შემუშავებული და წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები. |
| ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური | დაწყებითი კლასების პედაგოგებს აქვთ გააზრებული, თუ როგორ უნდა შეაფასონ მოსწავლეები კრიტერიუმების მიხედვით და დაადგინონ მათი მიღწევების დონე ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებთან მიმართებით. აქედან გამომდინარე, მოსწავლის შეფასების სისტემა მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს. |

| | |
|---|---|
| | **რჩევა:**სასურველია დაწყებითი კლასების კათედრაზე გააქტიურდეს პედაგოგთა თანამშრომლობა, შეფასების რუბრიკებში სხვადასხვა შესაძლებლობების მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებისა და კურიკულუმში შესაბამისი აქტივობების გაწერისათვის. |

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

*სასკოლო-სასწავლო გეგმა;საგნობრივი კურიკულუმები; კათედრის ოქმები;სადამრიგებლო პროგრამა;ინკლუზიური განათლების პროგრამა; ინდივიდუალური სასწავლო გეგმები ; საკლუბო მუშაობის ანგარიშები; კურიკულუმის ანალიზის ფორმები; გაკვეთილების რეფლექსიები; შეფასების რუბრიკები; სადიაგნოსტიკო შეფასების ანალიზი;შემაჯამებელი წერის ანალიზები,დიფერენცირებული დავალებები;*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

| *დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა* | *საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა* | *საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა* |
|---|---|---|
| ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

## 2.2. კურიკულუმის განხორციელება

### 2.2.1. სასწავლო პროცესი ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად**

| | |
|---|---|
| საბუნებისმეტყველო მეცნიერებები | მოწოდებული დოკუმენტაციით იკვეთება სასწავლო სასკოლო გეგმასა და საგნობრივ კურიკულუმს შორის კორელაცია. სასწავლო საგნის საათობრივი დატვირთვა და სემესტრული განაწილება შეესაბამება კურიკულუმში გაწერილი თემის თუ ძირითადი საკითხებისთვის დათმობილი საათების რაოდენობას. წარმოდგენილი სასწავლო თემები და მიზნები დაგეგმილ და განხორციელებულ აქტივობებთან შესაბამისობაშია. აღნიშნულს ადასტურებს თემატური მატრიცები რომელიც სამივე საფეხურის ძრითადად ყველა კლასში არის მოცემული. სკოლამ წარმოადგინა დაგეგმილი/განხორციელებული გაკვეთილის გეგმები და მოსწავლეთა ნამუშევრები. ასევე სასწავლო პროცესში გამოყენებული საგანმანათლებლო რესურსები<br>შემაჯამებელი დავალებების რაოდენობა წარმოდგენილი ანალიზებით.სასწავლო საგნის საათობრივი დატვირთვა და სემესტრული განაწილება შეესაბამება კურიკუკუმში გაწერილი თემის თუ ძირითადი საკითხებისთვის დათმობილი საათების რაოდენობას,<br>არსებული მდგომარეობით შესაძლოა ითქვას , ზემოთ აღნიშნული ყველა აქტივობა და მტკიცებულება დაგეგმილი კურიკულუმის შესაბამისია. |
| საზოგადოებრივი მეცნიერებები | სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. იგი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს; თითოეულ კურიკულუმში განსაზღვრულია სასწავლო მიზნები, ამოცანები და შედეგები კონკრეტული საგნის, კლასისა და საფეხურის მიხედვით; სასწავლო პროცესში გამოყენებულია მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომები; პედაგოგებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ სასწავლო პროცესში მოუწიათ კურიკულუმებში გარკვეული ცვლილებების შეტანა, რასაც გაითვალისწინებენ მომდევნო |

| | |
|---|---|
| | სასწავლო წლის დაგეგმვისას. ცვლილებები ძირითადად ეხებოდა კომპლექსური/შემოქმედებითი დავალებების რაოდენობას. ზოგიერთ კლასში დაგეგმილი ჰქონდათ 6-7 კომპლექსური დავალება, პედაგოგებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ სხვადასხვა მიზეზით, ვერცერთ კლასში და საგანში ვერ მოესწრო იმ რაოდენობის შემოქმედებითი დავალებების განხორციელება, რაც კურიკულუმით ჰქონდათ დაგეგმილი და მოუწიათ მათი შემცირება.<br>**სკოლას მიეცა რჩევა:**<br>კურიკულუმებში გაწერონ იმ რაოდენობის კომპლექსური/შემოქმედებითი ტიპის დავალება, რამდენის განხორციელებაც მათი გამოცდილებით შესაძლებელია. |
| უცხოური ენები | სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის და საგნობრივი სტანდარტის მიზნების შესაბამისად. შერჩეული აქტივობები და მეთოდები ხელს უწყობს ენობრივი კომპეტენციების ეტაპობრივ განვითარებას;<br><br>ინტერვიუზე პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ საჭიროების შემთხვევაში განახორციელებენ ცვლილებებს, მოსწავლეთა ინტერესებისა და საჭიროებების გათვალისწინებით.<br><br>**რჩევა:** სასურველია, შენარჩუნდეს და გაძლიერდეს ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებული, ინტერაქციული და პრაქტიკული აქტივობების გამოყენება, რომლებიც ხელს შეუწყობს კომუნიკაციურ უნარებს და გაზრდის საგაკვეთილო პროცესში ყველა მოსწავლის ჩართულობას. |
| ესთეტიკური აღზრდა | კურიკულუმში ჩაშენებული კომპლექსური დავალებებიდან და წარმოდგენილი სხვა მასალებიდან, იკვეთება,რომ მოსწავლეები აქტიურად არიან ჩართული შემოქმედებით პროცესში. ინტერვიუს პროცესში პედაგოგებმა ისაუბრეს მათ მიერ განხორციელებულ სხავადასხვა აქტივობებზე, რაც იძლევა იმის დასკვნის საფუძველს ,რომ სასწავლო პროცესი წარიმართება კურიკულუმის შესაბამისად. |
| სახელმწიფო ენა | შემუშავებული კურიკულუმები იქმნება მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით.კურიკულუმის ჩარჩოებში გაწერილი შემოქმედებითი დავალებები, რესურსები, |

| | |
|---|---|
| | მოსწავლეთა ასაკის, ინტერესებისა და საჭიროებების გათვალისწინებითაა შერჩეული.მოსწავლეები მონაწილეობენ პროექტებში,გაწევრიანებული არიან სხვადასხვა კლუბში, აქტიურად მონაწილეობენ სასკოლო თუ კლასგარეშე აქტივობებში, რაც ხელს უწყობს საგნობრივი კონტექსტების პიროვნული პრიზმიდან დანახვას და ემსახურება მოსწავლეთა პიროვნულ და ფსიქო -სოციალურ განვითარებას.კურიკულუმს ახლავს დანართები თემატური მატრიცების/გეგმების სახით, რომლებშიც ჩანს კონსტრუქტივისტული მიდგომა. |
| მათემატიკა | წარმოდგენილი კურიკულუმები წარმოადგენს 2024-2025 სასწავლო წლისათვის შემუშავებულ კურიკულუმებს, სასწალო პროცესი წარიმართებოდა მოცემული კურიკულუმების შესაბამისად. კათედრა გეგმავს კათედრაზე გაანალიზების შემდეგ კურიკულუმის განხორციელების პროცესში გამოკვეთილი წინააღმდეგობებისა და მიღწევების შესაბამისად ცვლილებები შეიტანოს კურიკულუმში. |
| სპორტი | საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას; მასწავლებლის მიერ შეთავაზებული პრაქტიკული აქტივობები და რესურსი უზრუნველყოფს შემოქმედებითი უნარების განვითარებას. კურიკულუმებში გაწერილი თემები და მასზე დართული ჰიპერლინკები, - რომლებიც ასახავენ სხვდასხვა სპორტის სახეობის ისტორიებს, ზოგადგანმავითარებელ ვარჯიშებს, მოთელვით ვარჯიშებს და ცხოვრების ჯანსაღ წესს - ხელს შეუწყობენ მოსწავლეთა ფიზიკურ, გონებრივ, ფსიქო-ემოციურ განვითარებას და კეთილდღეობას. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით; სასწავლო პროცესი ისე არის დაგეგმილი, რომ მოსწავლეები ეცნობიან საგნობრივ საკითხებს/თემებს, პირობას, პრაქტიკულად ანხორციელებენ შეთავაზებულ კომპლექსურ დავალებებში მოცემულ ტექნიკის შესწავლას და შემდეგ წინარე ცოდნაზე დაშენებით ხდება ახალი ცოდნის კონსტრუირება. აღნიშნული პროცესი მოსწავლეს დაეხმარება ახალი აქტივობების გააზრებასა და უკეთ ათვისებაში. საბოლოოდ, მოსწავლის მიერ იქმნება კონკრეტული შემოქმედებითი პროდუქტი: შიდა სასკოლო/საკლასო ფესტივალი, რომელიც ფასდება შესაბამისი კრიტერიუმებით. |

| | |
|---|---|
| | **რჩევა:** სასურველია სკოლამ საბაზო და საშუალო საფეხურის კურიკულუმებში წარმოდგენილი სასწავლო თემები გაამრავალფეროვანოს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული როგორც თეორიული ასევე პრაქტიკულად გასანხორციელებელი თემებით. |
| ტექნოლოგიები | სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად — დოკუმენტაციისა და ინტერვიუების ანალიზი აჩვენებს, რომ მასწავლებლები სწავლების პროცესში ეყრდნობიან კურიკულუმში ასახულ მიზნებს, სამიზე ცნებებს, საკითხებს. ისინი იყენებენ სამგანზომილებიან მიდგომას, ითვალისწინებენ მოსწავლეთა ინტერესებსა და საჭიროებებს, და იყენებენ კომპლექსურ/შემოქმედებით დავალებებს, მრავალფეროვან ციფრულ რესურსებსა და სხვადასხვა სწავლების ფორმატს. დაგეგმვა ეფუძნება ინდიკატორებსა და შეფასების ინსტრუმენტებს, რაც უზრუნველყოფს კურიკულუმთან შესაბამისობას და მოსწავლეთა აქტიურ ჩართულობას. |
| ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური | დაწყებითი საფეხურის სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად.<br>**რჩევა**:კურიკულუმების შემუშავებისას დაწყებითი კლასების საგნობრივმა კათედრამ უზრუნველყოს და გაითვალისწინოს საგნის კურიკულუმის შეთანხმებული დიზაინის შესაბამისობა სასკოლო კურიკულუმთან. |

## 2. სკოლა მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე

სასკოლო დოკუმენტაციის შესწავლის, დაწესებულების ადმინისტრაციისა და თანამშრომლების გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ სასწავლო პროცესის სრულყოფილ განხორციელებისათვის წამოჭრილი გამოწვევის, რაც ეხებოდა სკოლის მატერიალურ ტექნიკური ბაზის სრული რეაბილიტაციას, დასაძლევად სკოლამ შემხვედრ საჭიროებებს წარმატებით მოარგო სასწავლო პროცესთან დაკავშირებული შესაბამისი ქმედებები.

2.2.1.2. ინდიკატორი არის დაკმაყოფილებული

3. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი

| | |
|---|---|
| საბუნებისმეტყველო მეცნიერებები | სკოლამ წარმოადგინა შესაბამისი დოკუმენტაცია განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები თემისა და კომპლექსური დავალების ფარგლებში მასწავლებლის უკუკავშირით. დიაგნოსტიკური შეფასების ანალიზი VI, IX ,X კლასში. შემაჯამებელი დავალებების ანალიზი. განმავითარებელი შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტი მოსწავლეთა თვითშეფასება, ურთიერთშეფასება გასასვლელი ბარათები და სხვა. აღნიშნულის საფუძველზე, შესაძლოა ითქვას, რომ სამივე საფეხურზე შეფასება მკაფიო კრიტერიუმებით შეესაბამება სტანდარტით განსაზღვრული შეფასების პრინციპებს. |
| საზოგადოებრივი მეცნიერებები | პედაგოგები მოსწავლეთა ცოდნის შესაფასებლად იყენებენ განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების როგორც ზოგად, ასევე კონკრეტული შემოქმედებითი დავალებისთვის შექმნილ რუბრიკებს, რომლებიც კოლეგების ერთობლივი თანამშრომლობით არის შექმნილი. მოსწავლეებმა წინასწარ იციან რა მოლოდინები აქვთ პედაგოგებს მათ მიმართ და რისი ცოდნა მოეთხოვებათ კონკრეტულ სამიზნე ცნებასთან დაკავშირებით. მრავალფეროვანი შემოქმედებითი დავალებები და დეტალურად გაწერილი შეფასების სქემები გვაფიქრებინებს, რომ სკოლაში შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, და სანდო. |
| უცხოური ენები | შეფასების სისტემა ეფუძნება ეროვნული გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს. გამოყენებული კრიტერიუმები და მრავალფეროვანი ფორმები ხელს უწყობს მოსწავლის პროგრესის სამართლიან და გამჭვირვალე შეფასებას. |

| | |
|---|---|
| | **რჩევა:** გირჩევთ მომავალშიც განაგრძოთ შეფასების მრავალფეროვანი ფორმების აქტიური გამოყენება და საჭიროების მიხედვით, პერიოდულად განაახლოთ, რათა შეესაბამებოდეს სასწავლო პროცესის მოთხოვნებს და მოსწავლეთა საჭიროებებს;<br><br>ასევე, სასარგებლოა მასწავლებლების გამოცდილების გაზიარება ინსტრუმენტების გამოყენების საუკეთესო პრაქტიკის გამოვლენისა და დანერგვის მიზნით, რაც კიდევ უფრო გააუმჯობესებს შეფასების ხარისხსა და მოსწავლეთა მოტივაციას. |
| ესთეტიკური აღზრდა | კათედრაზე შემუშავებულია განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების სისტემა, რომელიც სწავლა-სწავლების განუყოფელი ნაწილია და ცნობილია სკოლის საზოგადოებისთვის, რომლის მთავრი კომპონენტი ობიექტურობის დაცვაა, რაც ხაზგასმით ადასტურებს რომ შეფასება არის სანდო და ვალიდური. ორივე საგანში -ხელოვნება, მუსიკა ვიყენებთ როგორც განმავითარებელ ასევე განმსაზღვრელ შეფასებებს. წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ რომ მასწავლებელი იყენებს მრავალფეროვან ინსტრუმენტს განმავითარებელი შეფასებისთვის და აქვს შედგენილი განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები.აქვთ მზაობა დახვეწონ და გაამრავალფეროვნონ შეფასების რუბრიკები. |
| სახელმწიფო ენა | სასკოლო სასწავლო გეგმის თანახმად, მოსწავლეები ფასდებიან როგორც მიმდინარე საკლასო დავალებების,რომელშიც ინტეგრირებულია საშინაო დავალება, ისე შემაჯამებელი დავალებების მიხედვით. სახელმწიფო ენაში.მასწავლებელთა მიერ შეფასების პროცესი მოიაზრება სასწავლო პროცესის ნაწილად და ორიენტირებულია მოსწავლეთა მხარდაჭერაზე. შეფასების სისტემა შემუშავებული და გააზრებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. შეფასების რუბრიკები თანხმდება კათედრებზე, მოსწავლეები და მშობლები იცნობენ შეფასების სისტემას. მასწავლებლები აანალიზებენ მოსწავლეთა მიღწევებს,.იყენებენ განმავითარებელ და განმსაზღვრელ შეფასებას. აღსანიშნავია,რომ ზოგიერთი განმავითარებელი შეფასების წარმოდგენილი რუბრიკა ეფუძნება საგნობრივი სტანდარტით გათვალისწინებულ შედეგების მიღწევის ინდიკატორებს. მოსწავლეთა |

| | |
|---|---|
| | ვერიფიკაცია ხორციელდება ვალიდურობის, სანდოობის, გამჭვირვალობის, სამართლიანობისა და ობიექტურობის პრინციპებზე დაყრდნობით.შემუშავებული და წარმოდენილი შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმის თანახმად, სკოლა აანალიზებს მოსწავლეთა შედეგებს და იღებს შესაბამის გადაწყვეტილებებს. **რჩევა:** სასურველია ,სამივე საფეხურზე შეფასება ეყრდნობოდეს სტანდარტით გათვალისწინებული მიღწევის ინდიკატორებს და მიემართებოდეს როგორც შუალედურ, ასევე გრძელვადიან მიზნებს. შეფასების სანდოობისთვის კარგი იქნება მეტად გამოიყენონ კონკრეტულ საკითხზე, შემაჯამებელ დავალებაზე, თუ შემოქმედებით პროდუქტზე მორგებული შეფასების კრიტერიუმები, სადაც გათვალისწინებული იქნება შესაფასებელი დავალების თითოეული ელემენტი. |
| მათემატიკა | სკოლაში წარმოებს ორ კომპონენტში_საკლასო და შემაჯამებელ დავალებაში განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება. წარმოდგენილ შეფასების რუბრიკებში განსაზღვრულია შეფასების მიზანი. შეფასების კრიტერიუმები ხაზს უსვამს მოსწავლეთა ძალისხმევას - რა შეუძლია და მიემართება გრძელვადიან მიზნებს, ფასდება მხოლოდ ის მიმართულება, რომელიც რუბრიკითაა განსაზღვრული და მოსწავლეთათვის ცნობილია თუ რაში ფასდებიან, უზრუნველყოფილია თანაბარი სამართლიანობა. **რჩევა:** სასურველია, კათედრამ გაითვალისწინოს, რომ შეფასების რუბრიკები მომავალში უფრო მეტად იყოს ორიენტირებული გრძელვადიან მიზნებზე და მომავალში ყველა თემის შემაჯამებელ ან შემოქმედებით დავალების რუბრიკებში ყველა სამიზნე ცნების აღქმა-გააზრება შეფასდეს მოცემული საკითხის კონტექსტში. კარგი იქნება თუ სკოლაში ინტენსიურად იმუშავებენ კათედრები შეფასების სისტემის გადამუშავებაზე და შექმნიან უფრო მეტ კონკრეტულ დავალებაზე მორგებულ შეფასების რუბრიკებს. |
| სპორტი | მასწავლებლები ფლობენ განმავითარებელი შეფასების სიტყვიერ კომენტარს და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებს კომპლექსური დავლებებიდან გამომდიარე, რასაც აქტიურად იყინებენ პრაქტიკაში კომპლექსური დავალების შეჯამების დროს, უზიარებენ |

| | |
|---|---|
| | ერთმანეთს გამოცდილებას. ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მასწავლებლების მიერ გამოყენებული განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები სრულად აკმაყოფილებს მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწიებულ საგნის შეფასების სისტემის ვალიდურობას, რომელიც არის გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი. |
| ტექნოლოგიები | დოკუმენტაციისა და ინტერვიუების ანალიზი აჩვენებს, რომ სკოლაში არსებობს დეტალურად შემუშავებული შეფასების რუბრიკები, რომლებიც განკუთვნილია კომპლექსურ დავალებებზე მუშაობის დროს შეფასების კრიტერიუმებისა და მოლოდინების გასაზიარებლად.<br><br>მასწავლებლებს ესმით, რომ წინასწარ უნდა აცნობონ მოსწავლეებს შეფასების კრიტერიუმები, რაც ეხმარება სწავლის სწორ დაგეგმვას და თვითშეფასების განვითარებას. ასეთი მიდგომა ქმნის გამჭვირვალე და სამართლიან გარემოს, სადაც მოსწავლეები კარგად ხვდებიან, რაზე ეფუძნება მათი შეფასება.შეფასება ფოკუსირებულია როგორც შედეგზე, ასევე მოსწავლის განვითარების პროცესზე, რაც ზრდის სისტემის სანდოობასა და ობიექტურობას. |
| ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური | სკოლის მიერ მოწოდებული ,დაწყებითი საფეხურის განმავითარებელი შეფასების რუბრიკებში, გათვალისწინებულია სამიზნე ცნებებზე, შედეგებზე ორიენტირება. მოსწავლეების შეფასება ხდება სასწავლო პროცესზე დაკვირვებით.დაწყებითი კლასების კათედრას გააჩნია განმავითარებელი შეფასების გამოყენების ინსტრუმენტები,არსებობს საგნების მიხედვით შეფასების რუბრიკების ბაზა,რომელსაც იცნობს სასკოლო საზოგადოება.<br><br>**რჩევა:**განმავითარებელი შეფასების რუბრიკის კრიტერიუმები უნდა იყოს კონკრეტული და არა ზოგადი. |

## 4. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი

მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობითა და პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ სკოლას აქვს შემუშავებული შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი. ვერიფიკაციის მექანიზმი მოიცავს შემდეგ საკითხებს: შერჩევის

მექანიზმი (რისკების სისტემა); ვერიფიკაციის პროცესზე პასუხისმგებელი პირი; ვერიფიკაციის განმახორციელებელი პირები; ვერიფიკაციის პროცედურა (დასკვნა, დასკვნის განხილვა, სამოქმედო გეგმა და ა.შ). პედაგოგებმა ინტერვიუს დროს წარმოადგინეს როგორ აფასებენ მოსწავლეებს და აღწერეს პროცესი თუ როგორ აანალიზებენ მოსწავლეთა შეფასებებს, აღწერეს რამდენად თანმიმდევრულია მოსწავლეთა შეფასება, მათი სწავლის დინამიკა. მათ ესმით, რომ ეს ანალიზი სასწავლო პროცესის განუყოფელი ნაწილია და ილუსტრაციაა იმისა, თუ რამდენად ასრულებს შეფასების სისტემა მოსწავლის მხარდაჭერის ფუნქციას, რამდენად წარმოადგენს ის სწავლა-სწავლების პროცესის საყრდენს.

არსებული შეფასების სისტემის ეფექტიანობის განსასაზღვრად იყენებენ შემაჯამებელი , დიაგნოსტიკური წერების ანალიზებს, შექმნილი აქვთ ხარისხის მართვის ჯგუფი, რომლის საფუძველზეც ესწრებიან ერთმანეთს გაკვეთილებზე და აწვდიან უკუკავშირს. მომდევნოს სასწავლო წლისთვის კათედრაზე განისაზღვრა, რომ სასწავლო წლის მანძილზე ორჯერ ჩაატარდება დიაგნოსტიკურ შეფასება, განსაზღვრულია საგანთა რაოდენობაც.

სკოლამ 2024-2025 სასწავლო წლის ბოლოს, დირექტორის ბრძანებით, განსაზღვრა ვერიფიკაციის მექანიზმის განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირები, რომელთაც დაეკისრათ 2025 წლის იანვრის თვეში დამტკიცებული ვერიფიკაციის მექანიზმის მიხედვით განახორციელონ შესაბამისი სამუშაოები. ბრძანებითვე დირექტორს დამტკიცებული აქვს ვერიფიკაციის გეგმა, რომელიც საჭიროებს მეტ კონკრეტიკას. ინტერვიურების დროს სკოლა ახალი სასწავლო წლიდან გეგმავს სასკოლო პრაქტიკაში დამკვიდრებული მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმები აქციოს წერილობით დოკუმენტად, ვერიფიკაციის სასკოლო სისტემის გადახედვას, ვინაიდან, თვლიან, რომ ამ ეტაპზე სკოლაში მოქმედი ვერიფიკაციის მექანიზმი საჭიროებს დახვეწას. აღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ჩაითვალოს, რომ **2.2.2.4. ინდიკატორი არის დაკმაყოფილებული**

5. **სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით**

სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/ მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას კანონმდებლობით დადგენილი წესით. როგორც წლიური, ასევე საფეხურის ნიშნები და საგნის მასწავლებლების ანალიზის საქმის მწარმოებლისთვის მიწოდებას უზრუნველყოფს დამრიგებლი. აღნიშნული ფორმები ინახება ერთ ბაინდერშისკოლის მიერ განსაზღვრულ ადგილზე. ყოველი წლის ბოლოს იწერება ბრძანებები კლასის დაძლევასთან დაკავშირებით დამრიგებლების მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას კანონმდებლობით დადგენილი წესით. სკოლა იცავს დოკუმენტის წარმოების და მათ შენახვასთან დაკავშირებულ რეგულაციას. სკოლის მიერ დადგენილია შეფასების მექანიზმი, რომელიც ითვალისწინებს მოსწავლის შემაჯამებელი სამუშაოების, პორტფოლიოებისა და პროექტების შენახვის წესს და ფორმას, რომელიც არის როგორც ელექტრონული, ასვე მატერიალური. სკოლაში ელექტრონული ჟურნალის მეშვეობით ხდება შეფასების აღიცხვა, ხოლო ინფორმაციის და შეფასებების მატერიალურად ასახვა მოსწავლის პირად საქმეში. გასაუბრებისას მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ შემაჯამებელი წერის მტკიცებულებები მატერიალური სახით ინახება კათედრაზე, მინიმუმ 3 წლის ვადით. აღნიშნულიდან გამომდინარე, **2.2.2.5. ინდიკატორი არის დაკმაყოფილებული**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1.სსიპ -ქალაქ სამტრედიის საჯარო სკოლის სკოლის ვერიფიკაციის მექანიზმის დამტკიცების სესახებ 2025. 25.01;
2.სსიპ -ქალაქ სამტრედიის საჯარო სკოლაში ვერიფიკაციის მექანიზმის განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირების განსაზღვრისა და ვერიფიკაციის განხორციელების გეგმის დამტკიცების სესახებ 2025.25.06 ;
3.საგნობრივი კათედრის ოქმები;
4.სასკოლო სასწავლო გეგმა;
5.შემაჯამებელი დავალებები/მოსწავლეთა შეფასებები;
6.სტრატეგიული განვითარების გეგმა;
7.მოსწავლეთა შეფასების რუბრიკები;
8.საგნობრივი კურიკულუმები;
9.სადამრიგებლო პროგრამა;
10.ინკლუზიური განათლების პროგრამა;
11.ინდივიდუალური სასწავლო გეგმები ;
12.საკლუბო მუშაობის ანგარიშები;
13.კურიკულუმის ანალიზის ფორმები;
14.გაკვეთილების რეფლექსიები;
15. სადიაგნოსტიკო შეფასების ანალიზი;

## 2.2.2. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილია შესაბამისი რესურსით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში**

| | |
|---|---|
| საბუნებისმეტყველო მეცნიერებები | სკოლის წარმოდგენლი დოკუმენტაციით კურიკულუმის ჩარჩო, ცალკე წარმოდგენილი ელექტრონული რესურსების ნუსხა, ფოტო მასალა. იკვეთება, რომ სკოლა აქტიურად იყენებს სასწავლო საგანმანათლებლო რესურსს, რაც იძლევა იმის საშუალებას ვიფიქროთ, რომ |

| | |
|---|---|
| | შესაძლებელია კათედრამ თავისი საქმიანობით წარმატებით მიაღწიოს კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგებს. |
| საზოგადოებრივი მეცნიერებები | სკოლაში საზოგადოებრივი მეცნიერებების სწავლებისას გამოიყენება როგორც გრიფირებული სახელმძღვანელოები, ასევე, სხვა დამხმარე რესურსი. კერძოდ, ელექტრონული რესურსი, ვიდეო რესურსი, სხვადასხვა საგანმანათლებლო პლატფორმები, რუკები, პოსტერები, პლაკატები. მასწავლებლებთან ინტერვიუდან ირკვევა, რომ რესურსების შერჩევა ხდება აქტივობების, შუალედური და გრძელვადიანი მიზნების შესაბამისად და რესურსების შერჩევისას ასევე ითვალისწინებენ მოსწავლეთა ინტერესებსა და საჭიროებებს. |
| უცხოური ენები | სასწავლო პროცესში ინტეგრირებულია ძირითადი და დამატებითი რესურსები, რომლებიც შეესაბამება კურიკულუმით განსაზღვრულ მიზნებს და ხელს უწყობს უცხო ენაში ენობრივი კომპეტენციების განვითარებას.<br>**რჩევა:** სასურველია უცხო ენების მასწავლებლებმა მომავალშიც გააგრძელონ სასწავლო პროცესში მრავალფეროვანი და ინტერაქტიული რესურსების გამოყენება, განსაკუთრებით ციფრული პლატფორმების, რაც უზრუნველყოფს მოსწავლეთა აქტიურ ჩართულობასა და ენობრივი უნარების განვითარებას. |
| ესთეტიკური აღზრდა | კურიკულიმში ჩაშენებულია სასწავლო რეესურსები, როგორც ძირითადი გრიფირებული სახელმძღვანელოს ასევე დამატებით რესურსების სახით.<br><br>კურიკულიმში ჩაშენებულია სასწავლო რეესურსები,როგორც ძირითადი გრიფირებული სახელმძღვანელოს ასევე დამატებით რესურსების სახით .<br><br>**რჩევა:** სასურველია სახვით და გამოყენებითი ხელოვნების კურიკულუმში რესურსები ყველა თემის ფარგლებში ჩაშენდეს, როგორც ძირითადი გრიფირებული სახელმძღვანელოს ასევე დამატებით რესურსების სახით . |
| სახელმწიფო ენა | სასწავლო პროცესში გამოიყენება კურიკულუმით განსაზღვრული გრიფმინიჭებული ძირითადი სასკოლო სახელმძღვანელო, სწავლა-სწავლების პროცესში ჩანს დამხმარე |

| | |
|---|---|
| | სასწავლო რესურსების გამოყენება სქემების,მედიატექსტებისა თუ დამატებითი საკითხავის სახით. კურიკულუმით გათვალისწინებული ყველა რესურსი ემსახურება ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული მიზნების მიღწევას. |
| მათემატიკა | სკოლა ძირითად სასწავლო რესურსად იყენებს გრიფირებულ სახელმძღვანელოებს. დამატებითი ელექტრონული რესურსების გამოყენებისთვის სკოლას აქვს კომპიუტერული ლაბორატორია, გამართული ინტერნეტი. საკლასო ოთახებში განთავსებულია შესაბამისი მატერიალური რესურსი: კომპიუტერეი, პროექტორი, ცრილები და სხვა. |
| სპორტი | ვინაიდან სკოლას აქვს კომპლექსური დავალებებით მუშაობის გამოცდილება რასაც ადასტურებენ სკოლის მასწავლებლები ინტერვიუს მსვლელობის დროს, სასწავლო პროცესის დაგეგმვისას, გათვალისწინებულია კურიკულუმში თანდართული ჰიპერლინკებისა და გრიფირებული სახელმძღვანელოს გამოყენება. მასწავლებლები ქმნიან ერთგვარ ბაკს და უზიარებენ ერთმანეთს ციფრულ რესურსებს, წინა სასწავლო წლის გამოცდილების საფუძველზე შეიმუშავეს კურიკულუმები და ნერგავენ კომპლექსურ დავალებებს, რომლებიც მორგებულია სკოლის მატერიალურ ბაზაზე და ინვენტარზე. |
| ტექნოლოგიები | **კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში** — დოკუმენტაციისა და ინტერვიუების მიხედვით, სკოლაში სასწავლო რესურსების შერჩევა ეყრდნობა კურიკულუმის მოთხოვნებს. ძირითადი რესურსები მოიცავს სამინისტროს მიერ შეთავაზებულ ელ.რესურსს „school.emis.ge".ასევე იყენებენ საერტაშორისო პლატფორმებს: scratch.mit.edu; code.org; khanacademy და ა.შ. აღნიშნული რესურსები ხელს უწყობს სასწავლო პროცესის დიფერენცირებასა და ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებას.მასწავლებლები აქტიურად იყენებენ და საჭიროებისამებრ ცვლიან რესურსებს, რაც ზრდის სწავლების ეფექტიანობას და კურიკულუმთან შესაბამისობას. |
| ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური | სასწავლო პროცესისთვის შერჩეული რესურსები მრავალფეროვანია,ძირითად რესურსად მითითებულია საგნის გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოები,თუმცა პედაგოგები წარმატებით იყენებენ სხვადასხვა ლიტერატურას,ინტერნეტრესურსებს,საკუთარი და მოსწავლეთა ხელით შექმნილ დიორამებს,პლაკატებს,პრეზენტაციებს. |

## 2. სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას

| | |
|---|---|
| საბუნებისმეტყველო მეცნიერებები | სამივე საფეხურზე საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნის სწავლებისას სკოლის მიერ წარმოდგენილია კლასებისა და თემების მიხედვით დალაგებული საგანმანათლებლო დამხმრე რესურსი და ფოტო მასალა რის საფუძველზეც , შეიძლება ითქვას , რომ სკოლა აქტიურად იყენებს დამხმარე რესურსს საგნობრივი სტანდარტით გათვალისიწინებული თემების, საკითხებისა და სამიზნე ცნებებთან მიმართებით სწავლების დროს. კომპლექსური დავალების განხორციელებისას. |
| საზოგადოებრივი მეცნიერებები | სკოლა როგორც სასწავლო წლის დასაწყისში, ასევე წლის ბოლოს ახდენს დამხმარე რესურსის შერჩევას, გადამოწმებასა და დამტკიცებას. კათედრაზე რესურსები მოწმდება იმის მიხედვით, თუ რამდენად შეესაბამება ისინი ეროვნულ სასწავლო გეგმის მოთხოვნებსა და ასაკობრივ თავისებურებებს. სკოლამ მტკიცებულების სახით წარმოადგინა ძირითადი და დამხმარე რესურსების ნუსხა. ვალიდაციას ახორციელებს საზოგადოებრივი მეცნიერებების მასწავლებელთა ჯგუფი და ადმინისტრაცია. აღნიშნული პროცესი ხელს უწყობს სწავლის ხარისხის ამაღლებას და თანმიმდევრულობას სასწავლო პროცესში. |
| უცხოური ენები | დამხმარე რესურსები შერჩეულია კვალიფიციური კადრის, პედაგოგების აქტიური ჩართულობით, თითოეული საფეხურისა და ენის დონის სპეციფიკის გათვალისწინებით და სკოლაში მიზნობრივად გამოიყენება. |
| ესთეტიკური აღზრდა | გასაუბრების შედეგად გამოვლიდა, რომ სკოლა უზრუნველყოფს სასწავლო რესურსების ვალიდაციას, რადგან ის მნიშვნელოვანია მოსწავლეთა დაცვისთვის, რომ არ მიიღოს გადაუმოწმებელი არასწორი ინფორმაცია ,აღნიშნეს, რომ რესურსი აუცილებლად უნდა ემთხვეოდეს საგნის კონკრეტულ თემატიკას ,ასაკობრივ დონეს და პროგრამას. |
| სახელმწიფო ენა | წარმოდგენილი სასკოლო-სასწავლო გეგმის, საგნობრივი კათედრის დებულების თანახმად, სკოლა დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას უზრუნველყოფს საგნობრივი კათედრის შეხვედრებით. |

| | |
|---|---|
| | მასწავლებელთა და მოსწავლეთა უკუკავშირი რესურსის გამოყენების შემდეგ,პრაქტიკაში გამოვლენილი ძლიერი და სუსტი მხარეების გაზიარება უზრუნველყოფს დამხმარე რესურსის ვალიდაციას. |
| მათემატიკა | კურიკულუმით გათვალისწინებული დამატებითი რესურსები განსაზღვრულია საგნობრივ კათედრებზე განხილვის შედეგად. მასწავლებელთა და მოსწავლეთა უკუკავშირი რესურსის გამოყენების შემდეგ, პრაქტიკაში გამოვლენილი ძლიერი და სუსტი მხარეების გაზიარება უზრუნველყოფს დამხმარე რესურსის ვალიდაციას. |
| სპორტი | სკოლაში შექმნილია მოსწავლეთა საჭიროებებზე მორგებული სასწავლო გარემო, ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ კურიკულუმებში ჩაშენებული ჰიპერლინკები არის სასწავლო თემის შესაბამისი და ვალიდური. |
| ტექნოლოგიები | დოკუმენტაციისა და ინტერვიუების საფუძველზე ჩანს, რომ სკოლაში მოქმედებს პროცედურები, რომლებიც უზრუნველყოფენ დამხმარე სასწავლო რესურსების ხარისხის შეფასებას და შესაბამისობას სასწავლო მიზნებთან. მასწავლებლები აქტიურად აწარმოებენ რესურსების გამოკვლევას და ირჩევენ მხოლოდ ეფექტურ და მიზნობრივ მასალებს.<br><br>ვალიდაციის პროცესში გათვალისწინებულია რესურსების შესაბამისობა კურიკულუმთან, მოსწავლეთა საჭიროებებთან და სასწავლო მიზნებთან. ეს უზრუნველყოფს იმას, რომ რესურსები რეალურად ეხმარებიან სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას და მოსწავლეთა წარმატებას. |
| ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური | სკოლაში არსებული და გამოყენებული დამხმარე რესურსების ვალიდაცია ხდება სკოლის დირექციის, დაწყებითი საგნების კათედრასთან თანამშრომლობით. |

**3. კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით**

მცირეკონტინგენტიანი სკოლა უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა.

ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/ მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.

| | |
|---|---|
| საბუნებისმეტყველო მეცნიერებები | სკოლას აქვს კეთილმოწყობილი და სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სამი ლაბორატორია. მათ შორის პროექტორი, ლეპტოპები, სასწავლო პროცესში მოსწავლეთა მიერ შექმნილი პროდუქტები, სკოლაში არსებული მრავალფეროვანი თვალსაჩინოება -პოსტერები, მოდელები, ექსპერიმენტის ჩასატარებლად საჭირო ხელსწაყოები, რაც წარმოადგენს საკმარის მასალას სწავლის შედეგების მისაღწევად.<br>რეკომენდაცია: იმის მიუხედავად, რომ საბუნებისმეტყველო ლაბორატორიაში არსებობს სრულყოფილი სავენტილაციო სისტემა, საბაზო და საშუალო საფეხურზე კეთებით სწავლების სტრატეგიის ხელშესაწყობად და ექსპერიმენტების ჩატარების დროს უსაფრთხოების ყველა წესის დაცვის მიზნით აუცილებელია სკოლამ გონივრულ ვადებში უზრუნველყოს გამწოვი სისტემის დამონტაჟება და სამუშაო მაგიდებზე დამცავი მუშამბების გამოყენება . |
| საზოგადოებრივი მეცნიერებები | სკოლაში არსებული მატერიალური რესურსი უზრუნველყოფს კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. პედაგოგებმა გასაუბრების დროს აღნიშნეს, რომ თითოეული მოსწავლისთვის ხელმისაწვდომია როგორც მატერიალური, ასევე, არამატერიალური რესურსი, საკლასო სივრცე აღჭურვილია საჭირო ინვენტარით, რაც საშუალებას აძლევს მოსწავლეებს აქტიურად ჩაერთონ სწავლის პროცესში, ხოლო პედაგოგს უადვილებს მრავალფეროვანი და საინტერესო გაკვეთილების დაგეგმვასა და ჩატარებას. |
| უცხოური ენები | პედაგოგებმა ინტერვიუზე განაცხადეს, რომ სასწავლო გარემო უზრუნველყოფილია საჭირო მატერიალური რესურსით, რაც ხელს უწყობს ყველა მოსწავლის ჩართულობას, სასწავლო პროცესის ეფექტიან წარმართვასა და უცხო ენების ათვისებას.<br>**რჩევა:** სასურველია, გაგრძელდეს არსებული რესურსების რაციონალური გამოყენება და მათი შევსება საჭიროების შესაბამისად, მათ შორის ციფრული და ვიზუალური მასალით, რაც კიდევ უფრო გააძლიერებს ენის პრაქტიკული გამოყენების შესაძლებლობებს. |

| | |
|---|---|
| ესთეტიკური აღზრდა | დოკუმენტაციისა და ინტერვიუების მიხედვით, სკოლაში სწავლების ეფექტიანობა ხელშეწყობილია საჭირო ტექნიკური და მატერიალური ბაზით. |
| სახელმწიფო ენა | სკოლა უზრუნველყოფს  მოსწავლეებს სასწავლო მასალებითა და ტექნოლოგიებით: ძირითადი სასწავლო რესურსით-გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოებით, გრაფიკული ორგანიზატორებით, ციფრული რესურსებით, კომპიუტერით,პროექტორით,ინტერნეტთან წვდომითა და ინკლუზიური მასალებით. |
| მათემატიკა | სკოლას აქვს შესაბამისი მატერიალური რესურსი მათემატიკის საგნობრივ კურიკულუმებში გათვალისწინებული სწავლის შედეგებზე გასასვლელად, რომელსაც პედაგოგები და მოსწავლეები იყენებენ საჭიროებისამებრ; |
| სპორტი | სკოლაში მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობა განსაზღვრულია ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, ინვენტარი და დამხმარე მასალები შეესაბამება მოსწავლეთა რაოდენობას, რაც საბოლოო ჯამში უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის გეგმაზომიერად განხორციელებას. |
| ტექნოლოგიები | დოკუმენტაციისა და ინტერვიუების მიხედვით, სკოლაში სწავლების ეფექტიანობა ხელშეწყობილია საჭირო ტექნიკური და მატერიალური ბაზით. სასწავლო პროცესი სრულად არის უზრუნველყოფილი კომპიუტერული ტექნოლოგიებით, რაც საშუალებას აძლევს მოსწავლეებს აქტიურად ჩაერთონ სწავლების სხვადასხვა ფორმებში.<br><br>მათთვის გათვალისწინებულია კომპიუტერების საკმარისი რაოდენობა, რათა ჯგუფში თითოეულმა მოსწავლემ მიიღოს ინდივიდუალური და ხარისხიანი სწავლების შესაძლებლობა. ეს უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას და პრაქტიკული უნარების განვითარებას.<br><br>სკოლას ასევე აქვს, ციფრული განვითარების/ტრანსფორმაციის გეგმა. კომპიუტერული ლაბორატორია აღნიშნული გეგმის მიხედვითაა მოწყობილი. |
| ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური | სკოლა, კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას უზრუნველყოფს მოწავლეთა საჭიროებებზე მორგებული და შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. |

4. **სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი**

   საგნობრივი ექსპერტების შეფასებით, სკოლას ჰყავს კომპეტენტური პედაგოგები, რომლებიც აკმაყოფილებენ კანონმდებლობით დადგენილ სტანდარტებს. მათ აქვთ შესაბამისი განათლება და პროფესიული კვალიფიკაცია, რაც უზრუნველყოფს კურიკულუმის ხარისხიან განხორციელებას.სკოლაში დასაქმებული 59 მასწავლებლიდან 5 არის სპეციალური მასწავლებელი. მათ შორის 3 უფროსი სპეციალური მასწავლებელი და 2 უსტატუსო სპეციალური მასწავლებელი, რომლებიც დარეგისტრირებულნი არიან გამოცდაზე. სკოლაში დასაქმებული მასწავლებლებიდან: 7 მენტორის სტატუსის მქონე მასწავლებელი; 13 წამყვანი სტატუსის მქონე მასწავლებელი; 33 უფროსის სტატუსის მქონე მასწავლებელი; 1 მაძიებლობის სტატუსის მქონე მასწავლებელი; სკოლაში ყველა საგანს ასწავლის მასწავლებელი, რომელსაც შესაბამისი საგნის გამოცდა აქვს ჩაბარებული. რამდენიმე მასწავლებელს ჩაბარებული აქვს 2 ან 3 სხვადასხვა საგნის გამოცდა. არის რამდენიმე გამონაკლისი. კერძოდ: დაწყებით საფეხურზე საგანს ფიზიკური აღზრდა და სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება ასწავლიან განათლების დაწყებითი საფეხურის მქონე მასწავლებლები, რომლებიც წლებია ასწავლიან ამ საგანს შესაბამის კლასებში და წელს უკვე დარეგისტრირებულნი არიან შესაბამისი საგნის გამოცდაზე. მომავალი სასწავლო წლიდან ყველა მასწავლებელს ექნება შესაბამისი საგნის გამოცდა ჩაბარებული.

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1.სასკოლო-სასწავლო გეგმა;

2.საგნობრივი კურიკულუმები;

3.კათედრის ოქმები;

4.სადამრიგებლო პროგრამა;

5.ინკლუზიური განათლების პროგრამა;

6.ინდივიდუალური სასწავლო გეგმები ;

7.საკლუბო მუშაობის ანგარიშები;

8.კურიკულუმის ანალიზის ფორმები;

9.გაკვეთილების რეფლექსიები;

10.შეფასების რუბრიკები;

11.საჯარო სკოლის თანამშრომელთა პირადი საქმეები.

სადიაგნოსტიკო შეფასების ანალიზი;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

| *დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა* | *საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა* | *საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა* |
|---|---|---|
| ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

**2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება**

**2.3.1. მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად**
   ,,სსიპ ქალაქ სამტრედიის N1 საჯარო სკოლის სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ“ ბრძანების დოკუმენტი მიღებულია 2024-2025 სასწავლო წლის ბოლოს. სასკოლო საზოგადოების წევრების მხრიდან მომავალში დაგეგმილი კურიკულუმის მონიტორინგი აღქმულია არა კონტროლის, არამედ მხარდაჭერის მექანიზმად.ინტერვიურებისას გაირკვა, რომ მასწავლებლები იცნობენ მონიტორინგისა და შეფასების ინსტრუმენტებს და გამოიყენებენ კურუკულუმის განხორციელების პროცესში შესაძლო აღმოჩენილი პრობლემების აღმოსაფხვრელად. მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ სამომავლოდ ასევე გეგმავენ მოქნილი ჯგუფის შექმნას, რომელიც ორიენტირებული იქნება,

კურიკულუმით გასაზღვრული საქმიანობების მონიტორინგი და შეფასება განხორციელდება უფრო ეფექტურად. ჯგუფის წევრები იქნებიან დირექციის წარმომომადგენლები და მასწავლებლები. მონიტორინგი მოხდება მინიმუმ სემესტრში ორჯერ და ყოველი სემესტრის ბოლოს. შესაბამისად, მომავალი სასწავლო წლისთვის სკოლას აქვს მზაობა კურიკულუმის მონიტორინგისა და შეფასების მიმართულებით. **2.3.1.1. ინდიკატორი არის დაკმაყოფილებული**

2. **მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას**

სასკოლო ცხოვრების სასწავლო პროცესში პროცესში ჩართული არის სასკოლო საზოგადოება, რომელთაც წამოჭრილი პრობლემის ნათლად დანახვისა და მისი გადაჭრისათვის დამხმარე ინსტრუმენტად მონიტორინგისა და შეფასების დოკუმენტი აქვთ შექმნილი. გაწერილი დოკუმენტის მიხედვით სასკოლო საზოგადოების წარმომადგენლები ერთმანეთს გაუზიარებენ თავიანთ გამოცდილებას, რა გამოუვიდათ უკეთესად, რის განხორციელება ვერ შეძლეს და დაასახელებენ მიზეზებს, რათა ერთად დასახონ პრობლემის გადაჭრის გზა. ეს ხელს უწყობს მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებას და გამოხატავს სასკოლო საზოგადოების წევრების ერთგვარ მხარდაჭერას.

სკოლა გეგმავს სასწავლო წლის განმავლობაში ორჯერ განახორციელოს კურიკულუმის იმპლემენტაციიის მონიტორინგი. კათედრის წევრებთან ინტერვიუსას გამოიკვეთა, რომ კურიკულუმი, როგორც პრობლემის გადაჭრის გზა და საშუალება გათავისებულია მათ მიერ. შესაბამისად, შეიძლება დავასკვნათ, რომ კათედრის მიერ მონიტორინგისათვის შერჩეული და შემუშავებული მექანიზმი უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების მხარდაჭერას, პრობლემის გადაჭრის გზების ძიებასა და ეფექტურ სასწავლო პროცესს. მასწავლებლებთან პირად საუბარში გაირკვა,რომ სკოლა და კათედრები მუშაობენ ამ მიმართულებით, გეგმავენ მასწავლებელთა მხარდაჭერასა და დახმარებას, მათ პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვასა და ხელშეწყობას კონკრეტულად ამ სეგმენტშიაც.

**2.3.1.2 ინდიკატორი არის დაკმაყოფილებული**

3. **მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას**

სკოლის მიერ შექმნილი კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის მიხედვით, მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების მხარდაჭერასა და დახმარებას. კათედრების წევრებისა და დირექციის თანამშრომლობით, მონიტორინგი და შეფასება წარიმართება, როგორც მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირებით ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებით, ისევე სკოლის ბაზაზე მასწავლებელთა პროფესიული განვითარებით, პედაგოგიკურ პრაქტიკასთან დაკავშირებული პრობლემების იდენტიფიცირებითა და სკოლის განვითარებით. აღნიშნული მეთოდოლოგია კიდევ დამუშავების ეტაპზეა. სამომავლოდ აისახება თუ როგორ (რა საშუალებებით) განხორციელდება სასკოლო სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესის მონიტორინგი და შეფასება. სკოლაში ფუნქციონირებს ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, რომელიც ახორციელებს მასწავლებლის შიდა შეფასებას.

სკოლას გააზრებული აქვს რომ მონიტორინგი და შეფასება ემსახურება მხარდაჭერას და დახმარებას იმ გამოწვევების დაძლევაში, რომელსაც აწყდებიან კურიკულუმის დანერგვისა თუ განხორციელების პროცესში. მომავალში პედაგოგები კვლავ

გეგმავენ ურთიერთდასწრებას, გამოცდილების გაზიარებას, მცირე ჯგუფებში მუშაობას, ერთობლივ აქტივობებს. ყოველივე ეს დაეხმარებათ როგორც მოსწავლეთა ასევე მასწავლებელთა პროფესიული საჭიროებების იდენტიფიცირებაში. ისინი დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ მშობელთა ჩართულობას უკუკავშირის მისაღებად. სკოლა და სასკოლო საზოგადოება გამოხატავს მზაობას დახვეწონ, სრულყონ და განავითარონ კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის მონიტორინგის მექანიზმები. აღნიშნულიდან გამომდინარე,

**2.3.1.3 ინდიკატორი არის დამაკმაყოფილებული**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1.სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმა;
2.სკოლის კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ;
3.სკოლის ვერიფიკაციის მექანიზმის დოკუმენტით;
4.სკოლაში ვერიფიკაციის მექანიზმის განხორციელებსზე პასუხისმგებელი პირების განსაზღვრისა და ვერიფიკაციის განხორციელების გეგმის დამტკიცების შესახებ;
5.ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის და საგნობრივი ექსპერტების მიერ მოწოდებულისაგნობრივი კურიკულუმის შეფასების ფორმა;
6.სკოლის თვითშეფასება;
7.საგნობრივი კურიკულუმები;
8.სკოლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში ჩართულ მასწავლებელთა ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება;
9.სკოლაში ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის სხდომის ოქმი N 2;
10.კითხვარი მშობლისათვის. კითხვარი მოსწავლისათვის;

## 2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს**

სკოლაა აქვს საჭიროებაზე მორგებული შეფასების მოდელი. სასკოლო კურიკულუმი ისეა გაწერილი თითოეული საგნის მიხედვით, რომ იძლევა საშუალებას, მასწავლებელი ინტეგრირებულად დააკვირდეს პროცესებს და გაითვალიწინოს მრავალმხრივი მონაცემები და მრავალფეროვანი მეთოდით მიიღოს სრული სურათი შეფასებასთან დაკავშირებთ. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ სასწავლო პროცესის შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს, მათ შორის, მასწავლებლის დაკვირვებას, ყოველდღიური სასწავლო პროცესის შეფასების დინამიკას, შემაჯამებელი დავალებების ანალიზს, კათედრის ხელმძღვანელის, დამრიგებლის, დირექციის უკუკავშირს. მასწავლებლებმა ასევე აღნიშნეს, რომ შეფასების პროცესში იყენებენ ისეთ წყაროებს, როგორებიცაა: მოსწავლის წინარე ცოდნა და გამოცდილება, მოსწავლის ფსიქო-ემოციური მდგომარეობა, რესურსებზე ხელმისაწვდომობა, მშობლების უკუკავშირი, დამრიგებლის უკუკავშირი, კლასში შემსვლელი სხვა საგნების მასწავლებელთა უკუკავშირი და სხვა. ამაში მათ ეხმარებათ შერჩეული სადიაგნოსტიკო ინსრუმენტიც. შეფასების შედეგად ირკვევა რამდენად მოაქვს დაგეგმილ აქტივობებს სასურველი შედეგი. მოსწავლეების შეფასება ხდება : საკლასო, შემაჯამებელ დავალებებში. მოსწავლის პრობლემის, მისი გამომწვევი მიზეზების შესახებ ინფორმაციის შეგროვება იგეგმება სხვადასხვა წყაროებზე დაყრდნობით: მოსწავლეებთან, მათ მშობლებთან, თითოეული საგნის პედაგოგთან, დამრიგებელთან გასაუბრების შედეგად მოპოვებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით. ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე დაიხვეწება განმსაზღვრელ/განმავითარებელი შეფასების რუბრიკები. კათედრებზე ახალი სასწავლო წლიდან გეგმავენ სტატისტიკური ანალიზისათვის საჭირო მექანიზმის შემუშავებას და ანალიტიკური რუბრიკების უფრო ხშირად გამოყენებას რათა განმავითარებელი შეფასების დანერგვას შეუწყონ ხელი. მასწავლებლებს აქვთ სწორი ხედვა. აღნიშნულიდან გამომდინარე, **2.3.2.1. ინდიკატორი არის დაკმაყოფილებული**

## 2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით

სკოლაში მნიშვნელოვანია, რომ შეფასების განხორციელების დროს გათვალისწინებულია მრავალი კონტექსტი. ეს კონტექსტებია: კლასის კლიმატი, მოსწავლეთა აკადემიური მოსწრება, სწავლის პერიოდი, თემა, საკითხი, მოსწვალეთა ინტერესები და ა.შ. წარმოდგენილი დოკუმენტებიდან და გასაუბრებიდან გამოიკვეთა, რომ სკოლას აქვს მზაობა და შესაძლებლობა, რომ შეფასება განახორციელონ კონსტრუქტივისტული პრინციპების გამოყენებისა და ცოდნათა ურთიერთდაკავშირების მიხედვით, ცოდნის სამივე კატეგორიის ცოდნის შესაბამისად.

საგნობრივ ურიკულუმებში გაწერილია კომპლექსური დავალების იდეა. კომპლექსური დავალებებით სწავლება კი გულისხმობს მოსწავლეების მზაობის, უნარების, შესაძლებლობების გათვალისწინებას. სკოლა, შეფასების მიზნიდან გამომდინარე, ახალი სასწავლო წლიდან სრულყოფილი ინფორმაციისთვის დააკვირდება და შეისწავლის მოსწავლის მზაობას სხვადასხვა კონტექსტებით და ფოკუსირებული დაკვირვების შედეგად შეფასება აგრეთვე განხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით; მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ შეფასების პროცესში ძირითადად ითვალისწინებდნენ რამდენიმე კონტექსტს: თანამშრომლობს თუ არა მოსწავლე თანაკლასელებთან წყვილსა და ჯგუფებში, როგორ იყენებს საკლასო სივრცეში არსებულ რესურსებს სასწავლო მიზნებისათვის. ასევე, საშინაო დავალებების წარდგენისას, ჩანს თუ არა ინდივიდუალიზმი, რამდენად ავლენს მოსწავლე ინიციატივას არაფორმალური აქტივობების განხორციელებისას. მომავალი სასწავლო წლისთვის მასწავლებლებს აქვთ სრული მზაობა საგაკვეთილო

პროცესი განხორციელდეს სხვადასხვა სტრატეგიების გამოყენებით (ჯგუფური მუშაობა, წყვილებში მუშაობა, ინდივიდუალური, პრეზენტაცია, მოსწავლეზე დაკვირვება). შესაბამისად შეფასებაც წინასწარ შექმნილი შეფასების რუბრიკების საშუალებით განხორციელდება; გამოიკვლიონ მოსწავლეთა ინტერესები, შესაძლებლობები, დაადგინონ კლასის საჭიროებები. სკოლას ამ მხრივ აქვს სწორი ხედვა. მასწავლებლები ცდილობენ შეისწავლონ რამდენად ეფექტურია მათ მიერ გადადგმული ნაბიჯები სწავლის შედეგების თვალსაზრისით და ა.შ. აღნიშნულიდან გამომდინარე, **2.3.2.2. ინდიკატორი არის დაკმაყოფილებული**

### 3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები

2024-2025 სასწავლო წლისთვის სკოლამ შეარჩია სადიაგნოსტიკო შეფასების ინსტრუმენტი 1, რომლის მიზანია: მოსწავლეთა შედეგების საფუძველზე ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგების შეფასება. მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მათ აქვთ გამოცდილება მოსწავლეთა ცოდნის დონის განსაზღვრის მიზნით, შეაგროვონ გარკვეული მონაცემები და კვლევის საფუძველზე გამოავლინონ მოსწავლეთა საჭიროებები. სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში წარმოდგენილი აქვთ, ინფორმაციის მოძიების, პრეზენტაციის, ჰოლისტური შეფასების რუბრიკა, დისკუსიის შეფასებები რუბრიკები. ახალ კურიკულუმში იგეგმება რაოდენობრივი და თვისებრივი მეთოდების გამოყენება, სტატისტიკური მონაცმების შეგროვების მექანიზმის გაწერა და ყველაზე ტიპური და გამოყენებადი მეთოდების: ანკეტირების, გამოკითხვის, ინტერვიუს, ფოკუს-ჯგუფთან დიალოგის, თვისებრივი და რაოდენობრივი დაკვირვების დანერგვა სკოლაში.

ინტერვიუს საუძველზე დადგინდა, რომ კათედრებს აქვთ დაგეგმილი გამოიყენონ ინფორმაციის შეგროვების რაოდენობრივი და თვისებრივი მეთოდები მონაცემთა შეგროვებისათვის. აქვე გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესის შეფასება მიმდინარეობს ურთიერთდასწრების, თვითშეფასების, ურთიერთ შეფასების, მოსწავლეებთან საკლასო დავალების, კომპლექსური დავალების, შემაჯამებელი სამუშაოს შესრულების, ზეპირი გამოკითხვის, პროექტების დაგეგმვისა და განხორციელების საფუძველზე, რაც იძლევა სწავლა-სწავლების პროცესის შეფასებისა და ესგ მოთხოვნებთან შესაბამისობის ანალიზის შესაძლებლობას. მასწავლებლებმა ასევე აღნიშნეს, რომ სკოლის მიერ 2025-2026 სასწავლო წელს ინიცირებულია სადიაგნოსტიკო ტესტები სხვადასხვა კომპეტენციების მიხედვით, სასწავლო პროცესზე დაკვირვება, მოსწავლეთა თვითშეფასების ფორმები, მოსწავლეთა გამოკითხვა დაეხმარება მათ, მოაგროვონ მონაცემები, როგორც თითოეულ მოსწავლეზე, ასევე კათედრების ჭრილში. ქართული ენისა და ლიტერატურის, მიმართულებით სათანადოდ იქნება განხორციელებული სადიაგნოსტიკო შეფასება, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლეთა საჭიროებათა გამოსავლენად მონაცემების შეგროვებას. მათემატიკის, ტექნოლოგიების ფიზიური აღზრდის, საზოგადოებრივი მეცნიერებების, ესთეთიკის საგნობრივი ჯგუფის მასწავლებლები გასაუბრებისას აღნიშნავენ, რომ მათ გააზრებული აქვთ , რომ შეფასება ეს არის მონაცემთა მიზნობრივი შეგროვებისა და ანალიზის პროცესი. მისი ვალიდურობა დამოკიდებულია ბევრ მნიშვნელოვან ფაქტორზე, მათ შორის მონაცემთა მოპოვების მეთოდებზე. სიტუაციის, მოვლენის, მოსწავლის უნარისა და შესაძლებლობებისა თუ სხვა ასპექტების შესწავლისას გადამწყვეტია მაქსიმალურად ამომწურავი და ვალიდური ინფორმაციის მიღება, რაც შესაძლებელია მხოლოდ და მხოლოდ საკითხისადმი მრავალმხრივი მიდგომით, რაც შესწავლის მრავალფეროვანი მეთოდების გამოყენებას გულისხმობს. სკოლას

გააზრებული აქვს, რომ მნიშვნელოვანია შეფასების დაგეგმვისას სწორად იყოს შერჩეული კვლევის მეთოდები, სტრატეგიები, რათა სწორად დაისვას კითხვები, შემუშავდეს ამ კითხვებზე საპასუხო ამოცანები იმ ინფორმაციის მოსაგროვებლად, რაც დაეხმარება სასკოლო ცხოვრების, სასწავლო პროცესის და მოსწავლის მიღწევის გაუმჯობესებაში. ამ მიმართულებით მონაცემთა შეგროვების და შემდგომში მათი ანალიზისა და სასკოლო განვითარებისათვის გამოყენების მეთოდოლოგია შემუშავების პროცესშია და სამომავლოდ წარმოდგენილი იქნება ერთობლივად შემუშავებულ მეთოდოლოგიურ დანართში. კურიკულუმში იგეგმება სტატისტიკური მონაცმების შეგროვების მექანიზმის გაწერა და ყველაზე ტიპური და გამოყენებადი მეთოდების ანკეტირების, გამოკითხვის, ინტერვიუს, ფოკუს-ჯგუფბთან დიალოგის, თვისებრივი და რაოდენობრივი დაკვირვების დანერგვა სკოლაში. სკოლა გამოხატავს მზაობას გააუმჯობესოს და დანერგოს შეფასებისას მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები; აღნიშნულიდან გამომდინარე, **2.3.2.3. ინდიკატორი არის დაკმაყოფილებული**

## 4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით

სსიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის N1 საჯარო სკოლაში წარმოდგენილი დოკუმენტაციით (სკოლის ვერიფიკაციის მექანიზმი, სასკოლო-სასწავლო გეგმა, სკოლის თვითშეფასების ფორმა) და ადგილზე ვიზიტით დგინდება, რომ მოსწავლის შეფასება ხორციელდება ხედვის სხვადასხვა პერსპექტივებისა და მოსწავლეზე მოქმედ სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით. მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთ, რომ შეფასებისას ითვალისწინებენ სხვადასხვა ფაქტორს: მოსწავლეთა ძლიერი და სუსტი მხარეები, ფსიქო-ემოციური მდგომარეობა, მშობელთა ჩართულობა და მხარდაჭერა სასწავლო პროცესში, მოტივაცია, მოსწავლის სტატუსი, მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებები. ასევე, სასწავლო პროცესის შეფასებისას გათვალისწინებულია სხვადასხვა ფაქტორი: დრო, სივრცე, გარემო, რაც გულისხმობს მოსწავლის დიფერენცირებული პროფილის შემუშავებას, სხვადასხვა უნარის დიაგნოსტირებას. მასწავლებლებთან გასაუბრებითა და სკოლის მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების ფორმის ნარატივიდან იკვეთება, თუ როგორ ხდება შეფასებისას სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინება. მოსწავლეთა ცოდნის დონის განსაზღვრის მიზნით, კათედრები გეგმავს სასკოლო კურიკულუმით განსაზღვრული შეფასების სისტემა იყოს კომპლექსური და მოიცვას სხვადასხვა მიმართულება. შეფასება წარმართოს სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით: განმსაზღვრელ/განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, მოსწავლეზე დაკვირვება, მოსწავლეთა და მასწავლებელთა თვითშეფასების რუბრიკების გამოყენება.

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებიდან (თვითშეფასების ფორმით) ჩანს, რომ სკოლა მხედველობაში იღებს მოსწავლის მოტივაციას, შესაძლებლობებს. სასკოლო-სასწავლო გეგმის მიხედვით მოსწავლის შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით, შეფასებისას მასწავლებელი ხედვის სხვადასხვა პერსპექტივებსა და მოსწავლეზე მოქმედ სხვადასხვა ფაქტორს ითვალისწინებს. ინტერვიუს დროს აღნიშნეს რომ, უფრო მეტად გაითვალისწინებენ მოსწავლეთა ინდივიდუალურობას, კომპლექსური დავალების განხორციელების პროცესში დიფერენცირებულ მიდგომებს და სასკოლო კურიკულუმში ასახულ კომპლექსური დავალებების განმსაზღვრელ და განმავითარებელ შეფასებებზე იმუშავებენ. ამავე დროს გაითვალისწინებენ მოსწავლეთა ინდივიდუალიზმს, ამის დასადგენად კი პედაგოგები თვითშეფასების სხვადასხვა აქტივობის გამოყენებას გეგმავენ.

პედაგოგები ცდილობენ გააუმჯობესონ ისეთი სტრატეგიების დანერგვა, რომელიც ორიენტირებული იქნება თითოეული მოსწავლის ინტერესისა და უნარის დადგენაზე. აღნიშნულიდან გამომდინარე,**2.3.2.4. ინდიკატორი არის დამკმაყოფილებული**

დასტურდება (მტკიცებულებები):
*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1.შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა;
2.კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია;
3. ვერიფიკაციის მექანიზმი;
4. პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში ჩართულ მასწავლებელთა ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება;
5. თვითშეფასების ფორმა;
6. შემუშავებილი კურიკულუმები;
7.სასკოლო სასწავლო გეგმა;
8.მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგები;
9.განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები;
10.კათედრის ოქმები;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

| *დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა* | *საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა* | *საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა* |
|---|---|---|

| | | |
|---|---|---|
| ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

## 2.4. კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

## 2.4.1. წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი**

სსიპ სამტრედიის N1 საჯარო სკოლას წარმოდგენილი აქვს კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტი, რომლის მიხედვითაც გაცნობიერებული აქვთ კურიკულუმის განვითარების საჭიროება, გააზრებული და გადანაწილებული აქვთ პასუხისმგებლობა, თუ როგორ დაგეგმონ და განახორციელონ კურიკულუმის განვითარების ეტაპები, სასწავლო წლის ბოლოს მოახდინონ პროცესების რეფლექსია, აღწერონ მიღწეულ შედეგები, გადასინჯონ და რევიზიის შემდეგად შეიმუშაონ რეკომენდაციები, რაც მნიშვნელოვნად დახვეწს და განავითარებს სამომავლოდ კურიკულუმს.

დირექციას აქვს მზაობა, რომ შემუშავებული მექანიზმების მიხედვით გააზრებულად და თანმიმდევრულად წარიმართოს მიმდინარე სასწავლო წელს კურიკულუმის დაგეგმვისა და დანერგვის , შემდეგ მონაცემების შეგროვება და დამუშავების მენეჯმენტი, წლის ბოლოს კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტების ჩამოყალიბება. აღნიშნულიდან გამომდინარე,

**2.4.1.1. ინდიკატორი არის დაკმაყოფილებული**

2. **კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს**

კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტში ასახულია კურიკულუმის განვითარების ძირითადი პრინციპები, რომელებიც დაკავშირებულია სასკოლო და საგნობრივ კურიკულუმების გადასინჯვასთან და რევიზიის პროცესთან. მეთოდოლოგიის დოკუმენტში მოცემულია შემდეგი ჩანაწერი: „კურიკულუმის განახლება ხდება ყოველწლიურად მთელი წლის განმავლობაში შეგროვებული მონაცემების საფუძველზე; სასკოლო კურიკულუმის რევიზიის პროცესში გადაწვეტილებები მიიღება მონიტორინგისა და შეფასების ეტაპზე გამოკვეთილი პრობლემების შესწავლის საფუძველზე.“

ვინაიდან, სკოლას აქვს კომპლექსური ტიპის დავალებების ჩატარების გამოცდილება სკოლა გეგმავს წინა სასწავლო წლის კურიკულუმების ანალიზის საფუძველზე დანახული მიგნებები ასახოს ახალი სასწავლო წლის კურიკულუმში.

მასწავლებლებს აქვთ მზაობა სასკოლო კურიკულუმი მომავალ წელს უფრო გამართულ დოკუმენტად აქციონ. მათი თქმით, სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას მუდმივად უნდა ხორციელდებოდეს კურიკულუმების ანალიზი. მასწავლებლები მზად არიან, რათა მუშაობა მიმდინარეობდეს მუდმივ რეჟიმში. გადამუშავებული კურიკულუმის შემუშავების დროს მასწავლებლები გაითვალისწინებენ, როგორც კურიკულუმების გადამუშავების დროს მიღებულ საკუთარ, ისე კოლეგათა მიერ გაზიარებულ გამოცდილებას. ისინი საგნობრივი კურიკულუმების შემუშავების პროცესს განიხილავენ კათედრაზე ,შ ეაჯერებენ თუ რა კავშირი და განსხვავებებია დაგეგმილ და განხორციელებულ კურიკულუმებს შორის. სკოლაში მომდევნო სასწავლო წლის საბაზო საფეხურის კურიკულუმების შედგენისას კოორდინირებულად მუშაობდნენ საგნობრივი კათედრები.

დოკუმენტებისა და დირექციასთან ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ ისინი ყოველწლიურად ახდენენ სასკოლო კურიკულუმის ანგარიშს სასკოლო სასკოლო საზოგადოებასთან თუმც ანგარიშში სასკოლო დონე შედარებით ნაკლებადაა წარმოდგენილი. სასწავლო წლის განმავლობაში საგნობრივი კურიკულუმის განხორციელებისას მიღებული გამოცდილება, შეფასების შედეგად დანახული მიგნებები აისახება ახალი სასწავლო წლის საგნობრივ კურიკულუმში. ეს აისახება როგორც კლასის დონეზე, ასევე საფეხურის დონეზეც. მენეჯმენტთან მსჯელობასა და გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა მზაობა, პროცესების მონიტორინგისა და შედეგების ანალიზზე დაყრდნობით სკოლამ შეიმუშავოს კურიკულუმის გადამუშავებული ვერსიები და მიგნებები ასახოს გაამუშავებულ კურიკულუმებში.

**რჩევა:** სასურველია, რომ სკოლის მიერ ყოველი წინა წლის კურიკულუმის რევიზიისა და ანგარიშის წარმოდგენისას, საკლასო და საკათედრო დონეზე საკითხების განხილვების პარალელურად მეტი ყურადღება დაეთმოს სასკოლო დონეზე კურიკულუმის მონიტორინგისა და შეფასების საკითხებს. **2.4.1.2. ინდიკატორი არის დაკმაყოფილებული**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1.სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
2.სკოლის სასკოლო-სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმების დამტკიცების შესახებ;
3.საგნობრივი კურიკულუმები;
4.,,საჯარო სკოლაში 2023-2024 /სასწავლო წლის შეჯამება- ანგარიში“, პედ საბჭოს ოქმი 2024.09.N1. ;
5. ,,საჯარო სკოლაში 2024-2025 სასწავლო წელს მიმდინარე საქმიანობის შეჯამება-ანგარიში“ პედ. საბჭოს ოქმი 2025.0620.N 5;
6.სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;

7.კათედრის ოქმები;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

| *დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა* | *საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა* | *საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა* |
|---|---|---|
| ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

# ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

.......................................................................................................................................................

.......................................................................................................................................................

.......................................................................................................................................................

.......................................................................................................................................................

თარიღი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი წევრი

საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი-

საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი

უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი

ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი-

ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი,, წევრი

სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი--

მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი--

სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი--

ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი--